ლიტერატურული გაზეთი

№3 (235) 15 - 28 თებერვალი 2019 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევობით ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაზა ბიბილაშვილი

პოეზია, დანარჩენი ლიტერატურა, და დანარჩენი

2018

•

ზოგს ჰგონია, თუ რამე გარითმულს დაწერ, ლექსია; ზოგს კიდევ — თუ რამე გაურითმავს დაწერ, ის არის ლექსი.

•

პოეზია მხოლოდ სათქმელი არა, თქმაც არის.
კიდევ როგორ ვთქვა, არ ვიცი.

•

არის თუ არა ლექსი პოზა?
ყველაფერ დანარჩენს თუ გამოაცლი, რატომაც არა.
ცოტა უფრო გასაგებად:
პოეზიისადმი სკეპტიკურად განწყობილთა ნაწილი პოეზიას პოზად მიიჩნევს და ამ მოტივით უბზუებს ცხვირს.
ლექსს იმ ყველაფერს თუ გამოაცლი, რაც მას ლიტერატურულ პროდუქტად და თუნდაც კონკრეტულ ფორმად („ჟანრად“) ხდის — და ამ „გამოცლის“ ტენდენცია დღეს კიდეც შეინიშნება — მისგან ალბათ მართლაც პოზაღა დარჩება.
კიდევ სხვანაირად:
ერთ შემთხვევაში, პოზას ამართლებს, მეტიც — პოზის პოზობას აბათილებს სახელოვნებო ხერხები, პირობითობები და ასე შემდეგ, მაგრამ თუ ხსენებულ ხერხებზე, პირობითობებზე უარს იტყვი და უბრალოდ დააბრეხვებ აზრს, რომლისაც, გულზე ხელი რომ დაიდო, მთლად თავადაც არ გჯერა, აი, ეგ უკვე შიშველი და თან არც ისე საამოდ საცქერი პოზა იქნება.

•

პოეზიაში გამოხატვის სპეციფიკურ ფორმებზე ხელის აღება ფერწერის სფეროში და ენაზე შეიძლება ასე გადაითარგმნოს: ხატვის ნაცვლად, ფერადი საღებავებით ვწეროთ: სახლი. მთა. ქრცვინი. ცეკვა. მრისხანე. ცისფერთვალება...

•

უკვე გვახსოვს, რომ პოეზიას არ კითხულობენ.
აღარ გვახსოვს, რომ პოეზია რაღაცამ უნდა წაგაკითხოს.

•

პოეზიას შექმნა არ სჭირდება — ის ისედაც არსებობს. შენ ლექსი უნდა შექმნა.

•

თურმე, ლექსზე მუშაობის მეეეეეერომელიღაცე დღეს შეიძლება მიხვდე, რომ აი, ამ დღეებს (ანუ შრომას) თუ არ დაინანებ და ცოტა (ნუ, ცოტაზე მეტ) სათანადო ნიჭსაც წააშველებ, ქართული ენა ყოვლისშემძლეა.

•

თუ ვარიანტებით წერას მიეჩვევი — თითქოს გინდოდეს, ყველა შესაძლო ვარიანტს შანსი მისცე — თანდათან სულ უფრო შეამცირებ შანსს, როდისმე რამის წერა დაამთავრო.

•

ასეც ხდება: თითქოს მოგყავს სიტყვები, გაუშვებ და აცდი, თავ-თავიანთი ადგილი დაიკავონ.
ან ასე: სარწყავი წყალივით მიუშვებ და ელოდები, საით გაიკვალავენ გზას, სად მეტი წავა, სად ნაკლები, ელოდები, როდის ამოავსებენ მათთვის განკუთვნილ სივრცეს...

II-III

რატი ამაღლობელი

აპრილი

სოფლის სკოლიდან ბრუნდებიან
ბავშვები სახლში,
გაზაფხულია...

წყენა

რამე გეწყინა?
აღელვებულ ზღვას მოუყევი,
როდესაც ზღვიდან
ნისლი შემოვა —
მაშინ უთხარი,
მერე კი უღრან ტყეში წადი,
ტყის სულს უამბე.
თუ ტყე შორსაა,
წარმოიდგინე მყუდრო სოფლის
ტაძარში ფრესკა,
ფრესკაზე ქრისტე —
ჯვარცმული ღმერთი,
მის წინ დადექი,
როცა შეხედავ, ვერ გაიხსენებ —
რატომ მოხვედი.

V

გიორგი ბალახაშვილი

LEGALIZE

ქვეყნად უამრავ ადამიანს უარსებია,
მიქელანჯელო, სერვანტესი, ეუსებიო...
მრავლადაც იყვნენ დუნიაზე გაიძვერები,
მზე შუბის ტარზე ძველებურად აიწვერება.
იყო ომები, დაზავება, მერე პაქტები,
მშვიდობის შიში, გამოცდილი დროში პრაქტიკა.
ერთმანეთს ცვლიდნენ ვან დეიკი, დეგა, რეპინი,
კლიმტი, შაგალი, შექსპირს მარტომ გავარეპინე
უძილობა და ინსომნია, სამი სონეტი,
უოლტ დისნეი და პოსტ საბჭოთა სასიმფსონეთი.
დარაბებს მიღმა გაზაფხული მშვიდად ჩავრაზე,
ცეცხლს შევუკეთე,
რაც დავწერე, სრული მარაზმი
და მაინც ქვეყნად რამდენ ვინმეს უარსებია,
ლუარსაბიო, უესებიო...

VIII

თემურ გაბუნია
ჯეიმზ ჯოისზე

გიორგი კაკაბაძე
ირაკლი კაკაბაძეზე

ნინო ვახანია
ზაალ სამადაშვილზე

სონია ცეკრი
გურამ დოჩანაშვილზე

ინტერვიუ
ივა ფეზუაშვილი:
„ბევრი ფიქრი, ცოტა წერა...“

პოეზია
ქეთევან ნათელაძე
კატო ჯავახიშვილი
ნინა სამხარაძე

პოეზია, დანარჩენი ლიტერატურა, და დანარჩენი 2018

•

რაც უფრო მნიშვნელოვან ტექსტს ვწერ (ან ჩანაფიქრივე იყო ასეთი, ან ვხედავ — ასეთი გამოდის), მით უფრო დიდი ცოდვა მგონია მისი სადმე მიფუჩეჩება. ვერ ვფიქრობ, რომ ტექსტს ისედაც აქვს საკმარისი ღირებულება, რომ თუნდაც მისი მოცულობა აიტანს ორიოდე ხარვეზს. ვფიქრობ, პირიქით — რაკი ეს ტექსტი სხვაზე მნიშვნელოვანი და ღირებულია, არ უნდა დავუშვა, რომ, ვთქვათ, რაიმე ტექნიკურმა ლაფსუსმა შებღალოს...

ეს მიდგომა, ერთი მხრივ, სწორი და ღირსეულია, კი. მაგრამ ცოტა სასაცილოც არის — განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ, რომ მისი წყალობით ტექსტზე მუშაობა ლამის მარადიულად გრძელდება, ხოლო თანამედროვე ლიტერატურული გარემოსთვის თითქმის სულ ერთია, რა ხარისხის ტექსტს შესთავაზებ.

კიდევ სხვა საკითხია, რამდენად ან ყოველთვის თუ გამოდის ის, რაც ასეთ — ლამის მარადიულ მუშაობას მოითხოვს.

•

აი, უკვე ამდენი თვეა, მხოლოდ იმისთვის გაწამაწიობ, რომ ქართულ ლიტერატურას ცოტათი უკეთესი (ფაქტობრივად, ორი სტრიქონით უკეთესი) ლექსი დარჩეს.

თან, შედარების შემთხვევაში, იქნებ ვერც ვერავინ გაარჩიოს, უკეთესი რომელია.

•

უცნაურია, მაგრამ აშკარად სხვადასხვა რამეა, რაც ლექსს გვაწერინებს მე, შენ, იმას, იმას, იმას, იმას...

•

წერას თუ ძალიან ადრეულ — 4-5 წლის ასაკში დაიწყებ, ბუნებრივი იქნება, შემდეგ კარგა ხანს ყველაზე უაზრო კითხვად მოგეჩვენოს კითხვა — რატომ წერ? აკი არ ეკითხებიან ადამიანს — რატომ ჭამ? რატომ დადიხარ? რატომ სუნთქავ? და ასე შემდეგ.

თუმცა ასაკის მატებასთან და ცხოვრების გაცნობასთან ერთად, ბევრჯერ დაეჭვდები, რომ ის — პირველი და ეს — მომდევნო სამი კითხვა შეიძლება მთლად ერთი კატეგორიისაც არ იყოს. მერე კი იმასაც აღმოაჩენ, რომ პოეზიის თემაზე ყველაზე რთული სწორედ ისეთი მთავარი და ანბანური კითხვებია, როგორებიცაა — „რატომ წერ?“ „რა არის პოეზია?“ და ასე შემდეგ.

ამ ორიდან პირველ კითხვაზე პასუხის გაცემის მოსურნეებს თუ მოვალეებს თითქოს ერთი მარტივი გამოსავალი აქვთ. ყოველ შემთხვევაში, მას ხშირად მიმართავენ და პასუხობენ: „სხვანაირად არ შემიძლია.“ მაგრამ ჩემი აზრით, ეს ან ზარმაცის პასუხია (ეზარება ფიქრი ან ახსნა, რატომ წერს), ან თვალთმაქცის. თუმცა არის კიდევ ერთი ვარიანტი, როცა ეს პასუხი გულწრფელია. ამ შემთხვევაში მოპასუხე გრაფომანია — მას მართლაც არ შეუძლია სხვანაირად — უნდა წეროს.

იმას კი, ვინც ამ მარტივ გამოსავალზე უარს იტყვის და პასუხის მოსაძებნად დაფიქრებას ამჯობინებს, ჯილდო ელოდება — ის აუცილებლად იპოვის პასუხს, თანაც, ერთს კი არა — რამდენიმეს! ამასთან, შეიძლება ისეთი ლამაზ-ლამაზი პასუხები იპოვოს, ლიტერატურის, პუბლიცისტიკის ან რიტორიკის ისტორიას რომ შემორჩება!

ასე იმიტომ ხდება, რომ მას სჯერა ამ პასუხის არსებობისა. და თან — როგორც ეგრეთ წოდებული სიტყვაკაზმული სფეროს წარმომადგენელი — მოძებნისას ცდილობს, პასუხი არ იყოს უბრალო, მარტივი, ულამაზო.

თუმცა ერთი პრობლემა აქაც არის, ბატონო ლამაზად მოპასუხევ: ეგ პასუხი ძნელად გამახსოვრდება; ხოლო თუ მაინც გამახსოვრდება, სხვა დროს მისი გამეორებისა გერიდება — თავი საკუთარი თავის პლაგიატორი გგონია — ალბათ იმიტომაც, რომ ეს პასუხი ერთხელ უკვე მოიფიქრე (გამოიგონე) და მერე მცირე ზომის მხატვრული ტექსტივითაც შექმენი. ასე და ამრიგად, პასუხის თავიდან ანუ მისი ახალი ვერსიის მოფიქრება გიწევს...

•

ლექსის წერა უწინარესად იქნებ შესაძლებლობის გამოყენებაა. როცა პირველი ლექსები დაიწერა, მათმა ავტორებმა ალბათ შენიშნეს, რომ ტვინი სწორედ ამისთვის ჰქონდათ მოწყობილი.

მნიშვნელოვანია — გამოიყენო შესაძლებლობა (ეს ხომ ხშირად არ ხერხდება); თუ ხვდები, რომ კიდევ უკეთესად შეგიძლია, ეცადო, კიდევ უკეთესად გააკეთო, და ასე შემდეგ...

ყოველ შემთხვევაში, შეგრძნება, რომ რაღაც მნიშვნელოვანს აკეთებ, ვფიქრობ, ახლავს ლექსის წერას; თუნდაც ვერ ხვდებოდე, რა არის ეს მნიშვნელოვანი.

მაგალითად, პოეზიის დღევანდელი ყოფის შემხედვარეს, შეიძლება გქონდეს შეგრძნება, რომ პოეზიის ისტორიისთვის წერ.

არ ვიცი, ეს ბოლო ფრაზა უფრო სევდიანად ჟღერს თუ უფრო ამბიციურად, უმნიშვნელო საქმეზე კი ნამდვილად არ მეტყველებს.

•

საკუთარ თავთან საუბრისას შეიძლება დაისვას ასეთი შეკითხვაც: რა აზრი აქვს პოეზიას (ლიტერატურულ პოეზიას), თუკი ის მაინც ვერაფერს ცვლის სამყაროში, რომელიც ისევ ბოროტებითაა სავსე. და გაიცეს ასეთი პასუხიც: მაშინ გენახა, პოეზია რომ არ იწერებოდეს...

•

პოეზია იყო, არის და იქნება. ის ხომ იმის მიუხედავად არსებობს, ვინმე თარგმნის თუ არა ლექსად. საკითხავი ის არის, რამდენად სჭირდება დღეს და რამდენად დასჭირდება ხვალ პოეზიის ლექსად თარგმნა საზოგადოებას.

ფაქტია, რომ დღევანდელ ლიტერატურულ სივრცეში პოეზიის პოზიციები არც თუ სახარბიელოა (და, ვთქვათ, პროზა კიდევ განაგრძობს ამ სივრცის მცოცავ ოკუპაციას).

თუმცა იქნებ სწორედ ფაქტმა, რომ ამ პირობებშიც კი უამრავი ვინმე ცდილობს, ლექსი წეროს, უნდა გვაფიქრებინოს: ისეთი ადამიანებიც ყოველთვის გამოჩნდებიან, პოეზიის ლექსად თარგმნას რომ იკისრებენ — ამა თუ იმ ლამაზი და მქუხარე, ან სულაც იმ საეჭვო (თუმცა სხვადასხვა მოტივით ნათქვამი) არგუმენტით, რომ „სხვანაირად არ შეუძლიათ“.

(პ. ს. „იქნება“, „ყოველთვის“ და მსგავსი ტერმინები, რა თქმა უნდა, პირობითია და მხოლოდ დროის საშუალოზე გაცილებით დიდ მონაკვეთს გულისხმობს).

•

ფეისბუქზე გამოქვეყნებული პოეზია კარგად აჩვენებს, რა დღეც უდგას. ფეისბუქს არა, პოეზიას.

ჯერ ლექსი აიღე: ან წაგეკითხვინება, ან არა. მერე, ან ვარგა, ან არა. მერე, თუ ვარგა, ძირითადად ხომ ისეა, რომ მთლიანად მაინც არ ვარგა — ალაგ უხეიროა, ალაგ არც ისე ძლიერი, ალაგ იქნებ საშინელიც კი. ნუ, მკითხველი ვინ ხარ, ეგ ცალკე საკითხია.

მერე ლაიქებსა და კომენტარებს შეხედე: რა გაიგეს, როგორ გაიგეს, რა ჰგონიათ, რომ გაიგეს, რა ჰგონიათ, რომ უნდა გაეგოთ, ვინც გაიგო, იმან რა დააკომენტარა და რა არა, რამდენად მართებულად შეაქო თუ გააკრიტიკა, რამდენად გულწრფელი იყო, რამდენად სწორად გადმოსცა აზრი...

ძალიან ძნელია, პოეზია გიყვარდეს — ამ ყველაფრის მერე მაინც.

•

მაინც ვერ გავიგე, ამ 1200-ლაიქიან ვერლიბრისტებს რატომ ეჩხირებათ თვალში კონვენციონისტების 40 ლაიქი და გამუდმებით რატომ იმეორებენ, რომ კონვენციას „ტკბილხმოვანების“ დაუმსახურებელი უპირატესობა აქვს და ლექსი, რომელიც ბევრს მოსწონს, საეჭვო ღირებულებისაა.

•

კონვენცია-ვერლიბრის დამაპირისპირებელი კამათი, რაც ჩვენებურ სოციალურ ქსელებში ასე ხშირია, არც პირველს სძენს რამეს და არც მეორეს. იმიტომ, რომ ძირითადად პრიმიტიულია და არაჯანსაღი.

გამოდის, მაგალითად, ახალბედა „კონვენციონისტთა“ არმია, რომელსაც პირველი ბწკარები გაუვლია, პირველი „ბალახი“ და „ტალახი“ გაურითმავს და ამ ეს-ესაა ნაპოვნი „პოეზიის“ დაკარგვის შიშით ათრთოლებული გაჭყვირის — ურითმო ლექსი, პოეზია კი არა, პროზაა!

და არ ანაღვლებს, ვინმე ეკითხება თუ არა იმის დადგენას, რა პოეზიაა და რა — პროზა. ის ხომ ეჭვადაც არა აქვს, რომ შესაძლოა, ეგენი მის გამოჩენამდეც დადგენილი იყოს. ბარემ ვთქვათ, რომ ასეთი „დადგენილებების“ შეცვლაც შეიძლება, მაგრამ არა იქ და ისე, სადაც და როგორც ეს არმია მანევრირებს.

თუმცა ნუ იღელვებთ — პრობლემა მარადიული არ არის და მალე თავისითაც კი მოგვარდება — რაკი ამ არმიის უდიდესი ნაწილი — „დაიხვეწს რა გემოვნებას“ — კონვენციას კეთრის კერასავით განერიდება და ვერლიბრის უკიდეგანო ველმინდვრებზე გაიშლება...

•

— ეგ პოეზია არ არის! არა, ეგ არ არის პოეზია! — იფრქვევა, ენარცხება ერთმანეთს ფუყე ფრაზები.

თითქმის ყველა ავტორის, თითქმის ყველა შემფასებლის უკან (უფრო სწორად — ავტორში და შემფასებელში) იგულისხმება თავდაცვის მექანიზმი, უზარმაზარი კომპლექსები და ასე შემდეგ, რაც საბოლოო ჯამში აზიანებს და არამყარ, პლაზმურ, თხევად, გაზობრივ კატეგორიად აქცევს რეალობაში პოეზიას.

არადა, სულ არ არის აუცილებელი, ზიზღით უარყოფდე ერთ ფორმას, როცა მეორე ფორმა მოგწონს, ან თუნდაც როცა მხოლოდ მეორე ფორმა გეხერხება (რაც უნდა ძნელი იყოს ამის აღიარება)...

ის კი შეიძლება, უბრალოდ, მოგბეზრდეს ერთი და მხოლოდ მეორეს იწყნარებდე, მაგრამ პოეზიისთვის ჯარგი აქაც არაფერია, რაკი ესეც იმას წააგავს, რომ მთლიანად პოეზია გბეზრდება და ჯერ-ჯერობით მის ნაწილსღა იტან.

ბოლოს, ისიც დასაშვებია, რომ შენ უკეთესი რამ გეგონა პოეზია, ვიდრე სინამდვილეშია, და სწორედ ეს გაძახებინებს მის ამა თუ იმ ფორმა-გამოვლინებაზე — ეს პოეზია არ არისო!

ისე, როგორც მეგობრობაზე უკეთესი რამ გვგონია ხოლმე მეგობრობა, სიყვარულზე უკეთესი რამ — სიყვარული, და როცა დავრწმუნდებით, რომ იმ უკეთესს ვერსად ვიპოვით, გავიძახით — მეგობრობა არ არსებობს! სიყვარული არ არსებობს!..

•

როგორც ვატყობ, ჩვენში კარგა ხანს არ დამთავრდება ვერლიბრისა და ეგრეთ წოდებული კონვენციის ზერელე, მდარე, დილეტანტური შედარებითი დახასიათება და არ ჩანაცვლდება ის ღირებული შეფასებებით. ზემოთქმული მიანიშნებს, რომ ამ საქმეში რევოლუციას მეც არ ვაპირებ, მაგრამ ხანდახან ალბათ მომინდება და მომიწევს თემასთან დაკავშირებული მოსაზრებების გამოთქმა. და ეჭვი მაქვს, უფრო ხშირად კონვენციის მხარეს გამოვჩნდები (თუნდაც, ერთი შეხედვით), რაკი მეჩვენება, რომ „ზედა ეშელონებში“ სწორედ ის იჩაგრება უსამართლოდ.

ამჯერად საჯაროდ გამოთქმულმა იმ მოსაზრებამ გამომიწვია, რომლის თანახმად, აუდიტორიის წინაშე ხმამაღლა წაკითხვისას კონვენცია, ვერლიბრთან შედარებით, მომგებიან პოზიციაშია, რაკი ყურისთვის უფრო საამოდ მოსასმენია (ან თუნდაც — ნაკლებად უსიამოდ მოსასმენი); და შესაბამისად, სულ ცოტა, ეჭვით უნდა შევხედოთ მას, როგორც სპეკულაციურ ფორმას პოეზიისას.

პასუხი:

ჯერ ერთი, გაუგებარია, რატომ მივიჩნევთ ლექსის ნაკლად ან საეჭვო მახასიათებლად იმას, რომ ის ყურისთვის სხვა ლექსზე საამოდ მოსასმენია და რატომ არ მივიჩნევთ ამას სულაც მის ღირსებად. მეორე: კონვენციური ლექსი გაცილებით მეტ შრომას მოითხოვს, ვიდრე ვერლიბრი. მესამე: წელიწადში ერთხელ რომელიმე დარბაზში მოპოვებული ოდნავ მეტი ტაში ნამდვილად ვერ გამოდგება ამ შრომის კომპენსაციად. მეოთხე და ასე შემდეგ: ამ შრომას, ისევე, როგორც ლექსის კეთილხმოვანებას უპირატესობად არასოდეს მიიჩნევს კონკურსის ჟიური თუ ლიტერატურული გამოცემის რედაქტორი, ხოლო უცხოელი გამომცემლები სათარგმნად და გამოსაცემად პირდაპირ მოითხოვენ მხოლოდ და მხოლოდ ვერლიბრს!

მოკლედ, დღეს ყველაზე უმადური ლიტერატურული საქმიანობა კონვენციური პოეზიის წერაა.

გმადლობთ ყურადღებისთვის.

•

კონვენცია-ვერლიბრის თემაზე დავისას სწორედ რომ „იქით არის სპეკულაცია“ სამხილ-მტკიცებულებასავით გა/ხსენება „კონვენციონისტი“ „იუთუბპოეტებისა“, რომლებსაც, სინამდვილეში, კონვენციისაც ზუსტად იმდენი გაეგებათ, რამდენიც ვერლიბრისა; თავიანთი არსებობით კი მხოლოდ იმას ეხმარებიან, რომ „ელიტურ წრეებში“ დაუსრულებლად გაგრძელდეს ვერლიბრის განუკითხავი დომინაცია და კონვენციის ათვალწუნება.

•

ასე იოლად ვერ ამოწურავს თავს რითმა და, მით უმეტეს, პოეზია.

სულ 7 მუსიკალური ბგერა არსებობს, მუსიკა კი იქმნება და იქმნება.

•

კონვენციაზე უარის თქმა იმას ხომ არ ჰგავს, ფეხბურთის თამაშზე უარი ვთქვათ და პირდაპირ პენალტები ვარტყათ კარში... ცარიელ კარში?

•

რამდენი ხანია, ჩვენში ვერლიბრი იწერება და ვერლიბრი განიკითხება. კარგი და ცუდი ვერლიბრის გამრჩევი კი — ყოველ შემთხვევაში, ღღეს — არ ჩანს. უბრალოდ, ვერლიბრი ან მიღებულია (და, ძირი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თადად, მიღებულია კონვენციის მიუღებლობის ფონზე), ან — უარყოფილი.

•

გრძელდება ლაყლაყი იმის თაობაზედ, თუ რომელია ნამდვილი პოეზია — კონვენცია თუ ვერლიბრი. ასე რჩება გამარჯვებული ცუდი კონვენცია და ცუდი ვერლიბრი.

•

დაასრულეთ ფრაზა:

„ვეფხისტყაოსანი“ ვერლიბრად რომ დაწერილიყო...

•

მეფე-პროზაიკოსი. დრამატურგების მეფე...

ამ შემთხვევაში მეფეების ლიტერატურულ ინტერესებზე არ მივანიშნებ.

იმას ვფიქრობ — ნუთუ მხოლოდ პოეტებს ახასიათებთ მონარქისტული ვნებები?

•

მგონი, უკვე ცუდია პოეტი, რომელიც რომანისტობაზე არ ოცნებობს.

თქვენ როგორ იცით?

•

როგორც მრავალ საკეთებელს, მგონი, რომანისტობასაც სჭირდება საკუთარი თავის ძალუმი სიყვარული, ბრმა თავდაჯერება, რომ შენი ყოველი მოსაზრება, ყოველი სიტყვა საინტერესოა, მნიშვნელოვანია, საჭიროა. აბა, რომანის ბოლომდე ხომ უნდა გახვიდე.

(ის სხვა თემაა, ხშირად ლექსის ბოლომდეც რომ ვერ გადიან ნამდვილად საინტერესო, მნიშვნელოვანი, საჭირო აზრებითა და სიტყვებით).

•

ლიტერატურაშიც მნიშვნელოვანია, გასცდე საკუთარი თავის სიყვარულს, მის აღქმას სამყაროს ცენტრად.

თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მკითხველი ამას დაგიფასებს, რომ მისთვის ეს უფრო გასაგები და მისაღები იქნება, ვიდრე ის, პირველი — მხოლოდ საკუთარი თავის სიყვარული, მისი აღქმა სამყაროს ცენტრად.

აკი მკითხველისთვისაც ის უფრო ნაცნობია და მშობლიური.

•

სულ რომ გამონაგონს, ალტერნატიულ სინამდვილეს ეფუძნებოდეს ლიტერატურა, მაინც მგონია, რომ მისი ერთ-ერთი მთავარი ღირებულება სიმართლეა.

ჩემთვის ლიტერატურა, რომელშიც სიმართლე არ არის, ლიტერატურა არ არის, ან ასე — მკვდარი ლიტერატურაა.

•

თუ მხატვრული ნაწარმოების მიზანი და შედეგი მხოლოდ ფანატიკოსთა ან „ფანატიკოსთა“ გაღიზიანებაა (გაშმაგებაა), მაშინ ეს „ნაწარმოები“, რბილად რომ ვთქვათ, იაფფასიანია — რაკი ხსენებულთა გაღიზიანებას და გნებავთ გაშმაგებას ძალიან ცოტა რამ ჰყოფნის.

•

გარემოს ანტილიტერატურულობის ერთი ნიშანი:

„აკრძალულ“ თემებზე ან იმიტომ არ წერ, რომ ხალხმა ალიაქოთი არ აგიტეხოს, ან იმისთვის წერ, რომ ხალხმა ალიაქოთი აგიტეხოს.

•

ლიტერატურისადმი მოკრძალებას პატივს ვცემ. მაგრამ ალბათ სწორედ მეტისმეტი კრძალვაც წაეხმარება ხოლმე მეტისმეტად ზერელე ლიტერატურული დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას; მაგალითად, ასეთის: „გალაკტიონი სუსტ ლექსს როგორ დაწერდა?!“ „განა შეიძლება ვაჟაზე უკეთესი რითმა გქონდეს?!.“

კონკრეტულად ეს ბოლო ნამდვილად მომისმენია — კარგად მახსოვს...

•

როგორ შეიძლება, გული არ აგიცრუვდეს ლიტერატურაზე, როცა მასზე ამდენ სისულელეს ისმენ და კითხულობ. და შეიძლება — არა მხოლოდ ისმენ და კითხულობ.

•

ისეთ რამეებს ვკითხულობ, რომ დარწმუნებული ვარ, ბევრი რასაც წერს, ბევრი იმას, უბრალოდ, არ წერს.

იმაზე უკეთესსაც კი.

•

ალბათ, ძალიან სევდიანია, წერა რომ ასე გიყვარს და არ იცი.

•

სამწუხაროდ, არც ისე კარგად გვაქვს საქმე, რომ ჩემი კრიტიკული შენიშვნები ერთ კონკრეტულ შემთხვევას ეხმიანებოდეს ხოლმე. ხოლო თუ რომელიმე შენიშვნას ვინმე საკუთარ თავზე (ნაწერზე და ასე შემდეგ) იღებს, არა უშავს — რაკი, ბოლოს და ბოლოს, იმასაც ვერ იტყვი, რომ ეს შენიშვნები არავისზეა.

•

როცა გარემოში „კრიტიკული კრიტიკა“ არ არსებობს და მხოლოდ მაქებარი კრიტიკა მოიძევება, როგორც იტყვიან — კრიტიკის სასარგებლოდ დროც არ მუშაობს. ანუ სავალალოა არა მხოლოდ აწმყო კრიტიკისა, არამედ და უფრო მეტად — მისი მომავალი/ც. რაკი იმ ვითარებაში, რომელშიც არავის აკრიტიკებენ, ვინმეს გაკრიტიკება ამ ვინმესგან, არა მხოლოდ მტკივნეულად, უსამართლობადაც აღიქმება. და ეს აღქმა უსაფუძვლოც აღარ არის და შეიძლება გადმოიცეს ფრაზით: რაღა მაინცდამაინც მე?!

„სამართლიანობის აღსადგენად“, ანუ იმისთვის, რომ ვინმეს სამართლიანი გაკრიტიკება სამართლიანად გამოჩნდეს, საჭირო ხდება რაღაც გრანდიოზული, ყოვლისმომცველი კრიტიკული ნაშრომის შექმნა, რომელიც, ყველა ავტორს თუ არა, ავტორთა დიდ ნაწილს მაინც მიუჩენს „კუთვნილ ადგილს“ (ბრჭყალები პირობითობის, ცდომილების უეჭველობას მიანიშნებს). ან შეიძლება ეს იყოს პატარ-პატარა კრიტიკული წერილების მასობრივი, ტოტალური ნაკადიც... თუმცა, რა თქმა უნდა, რჩება ის ვარიანტიც, რომ ნელ-ნელა, თითო-თითო წერილით გატყდეს „უწუპუწუ კრიტიკის“ ყამირი და ასე თანდათანობით მისაღები გახდეს „კრიტიკული კრიტიკა“... მანამდე კი თითოეული „მტკივნეული“ წერილი ისევ აღიქმებოდეს, როგორც უსამართლობა, და რაც უნდა სამართლიანი იყოს ის — არც მთლად უსამართლოდ.

•

არადა, როგორი აუცილებელია კრიტიკა, კარგი კრიტიკა. აბა, წარმოიდგინე, მწერალო, რომ სხვები ისევე ერკვევიან ლიტერატურაში, როგორც შენ ერკვევი — მხატვრობაში, მუსიკაში, თეატრში, კინოში... და ზოგჯერ — ლიტერატურაშიც. თუმცა ამის წარმოდგენას რა უჭირს. სინამდვილეში ხომ იმ სხვების უმეტესობა ლიტერატურაში გაცილებით უარესად ერკვევა.

•

ვინც კიდევ რამეს კითხულობთ, შეეცადეთ, რა, იყოთ მკაცრები, მოითხოვეთ ხარისხი, გაიმახვილეთ გემოვნება... რათა რამე კარგის დაწერას აზრი ჰქონდეს, რათა აზრი ჰქონდეს იმ შრომას, რაც რამე კარგის დაწერას სჭირდება, რათა რამე კარგის დამწერმა ბოლოს და ბოლოს არ დაკარგოს რამე კარგის დაწერით გახარების უნარი. აკი ისედაც ცოტა რამე უხარია...

•

ლიტერატურაზე ტყლარჭვა კიდევ ცალკე საშინელებაა, მაგრამ სხვა რა შანსი აქვს ლიტერატურას, მოდური თუ არ გახდა?

სისულელეების ლაპარაკს ხომ ხუთკაციან ელიტურ სალონურ საღამოებზეც ვერ გამორიცხავ.

•

საყოველთაოდ აღიარებულ კარგზე კარგის (ცუდზე ცუდისაც) თქმა რა ბედენა და ვაჟკაცობაა, მაგრამ დავით წერედიანის „ანარეკლი“ მიმტკიცებს, რომ თურმე შეიძლება ესეების კრებულს კითხულობდე და თან გიხაროდეს, რომ ჯერ არ დაგიმთავრებია.

•

წიგნის საჯაროდ კითხვის დღე კია, მაგრამ თურმე ჩუმად წაკითხვაც შეიძლება — მიუვა!

•

ჩემთვის უკვე გასაგებია, რომ ჩვეულებრივ ცხოვრებაში სულ ერთია, შენგან ლექსი გამოდის თუ ნაგავი, მაგრამ ეს რომ ლიტერატურულ ცხოვრებაშიც სულ ერთია, ჯერ კიდევ გაუგებარია.

•

დანარჩენს თავი დაანებე, სხვა გზაც არ არის — თუ გინდა, რომ კარგი ლიტერატურა, და განსაკუთრებით პოეზია, შექმნა, უნდა იმუშაო ნელა, წერო ცოტ-ცოტა, დღეში სულ რამდენიმე სტრიქონი.

ბევრი კარგის დაწერისთვის არც დრო გრჩება, არც — გულისყური, არც — ძალა.

წერე ნელა, ცოტა, კარგი — შენ მაინც ვერაფერს მიიღებ, ლიტერატურის ისტორიას კი ეგეც ეყოფა.

•

იცი, როდის მიხვდები, რომ წიგნის დაწერა ადვილია?

როცა ამ წიგნის სათაურის შერჩევაზე გადახვალ.

•

ვიდრე წიგნის გამოცემას, წიგნის ავტორს კი არა, მკითხველსა და გამომცემლობას არ მივულოცავთ, სერიოზულ ლიტერატურული გარემოზე ლაპარაკი ნაადრევია.

მით უფრო, რომ ჩვენებურ დღევანდელობაში მწერლისთვის წიგნის გამოსვლის მილოცვა ძირითადად დაახლოებით ისე ჟღერს, მევენახეს რომ უთხრა — გილოცავ, რომ ღვინის ქარხანამ შენი ყურძენი ჩაიბარა; მართალია — უფასოდ, მაგრამ რაც მთავარია, ის ყურძენი სახლში არ დაგილპაო!

•

„ეგ რა მწერალია — მაგისი არაფერი წამიკითხავს.“

ამ ლოგიკით არ იაროთ, თორემ ტუალეტამდეც ვერ მიხვალთ, გამომდინარე შედეგებით.

•

ზოგჯერ წერა-კითხვაც ბოროტება გეგონება.

აი, მაგალითად, რამდენი ადამიანი ვცდებით მხოლოდ იმის გამო, რომ ეგენი ვიცით.

ან გვგონია, რომ ვიცით.

•

ზოგისთვის წერაა უმთავრესი, ზოგისთვის — ამბების მოყოლა. ამიტომ არის, ერთი წერას მანამდე რომ სწავლობს (და იწყებს), ვიდრე მოსაყოლი ამბავი გაუჩნდებოდეს, მეორე კი თავიდანვე ამბებს ყვება, თუმცა შეიძლება ვერასდროს ისწავლოს წერა.

•

„ნარატივი“ „ნაროტავიდან“ მოდის?

•

პროფესიის არასწორად არჩევა ერთი სევდაა, ხოლო თუ ეს პროფესია პოეტობაა — კიდევ სხვა და განსაკუთრებული.

პ. ს. მგონი, უფრო დაკვირვებაა, ვიდრე — პირადი გამოცდილება.

•

მუზა და მუშა.

არის ასეთი პარტნიორული წყვილებიც ლიტერატურულ სივრცეში.

•

ნიჭიერი თუ წერს — უნიჭო ვარო (ან — არც ისე ნიჭიერი ვარო, ან — ჩემი ნიჭი ამ საქმეს არ ეყოფაო), შესაძლოა სიმპათიაც გამოგტყუოს. მაგრამ თუ ამას უნიჭო შვრება, ვერაფერი კარგი მოსასმენწასაკითხია — განა სწორ თვითშეფასებად ჩამოართმევ და ამ თვითშეფასებას შეუქებ, უფრო გაიფიქრებ — კეკლუცობს და კი არ იცის, რომ მართლა უნიჭოაო. სწორ თვითშეფასებადაც რომ ჩამოართვა, მაგასაც არ დაუფასებ, იტყვი — სცოდნიაო, ახალი ამბავიო, ეგ მეც კი ვიციო.

გენიოსი ვარო — კარგი მოსასმენი არავისგანაა. მაგრამ ნიჭიერს (მით უფრო, გენიოსობამდე ნიჭიერს) თუ მიეტევება, უნიჭოზე, აბა, რა გითხრათ.

მოკლედ, თუ საკუთარ გენიოსობაში ან ძალიან ნიჭიერობაში მაინც არ ხარ დარწმუნებული, ჯობს, არც ერთი თქვა და არც — მეორე.

და, შენ წარმოიდგინე, დარწმუნებული თუ ხარ, მაშინაც თავშეკავება ჯობს — რაკი შეიძლება დარწმუნებული კი ხარ, მაგრამ — სულ ტყუილად.

•

ჩემმა თაობამ წერა სულ სხვა ეპოქაში დაიწყო... ამიტომ მგონია, რომ უმცროსი და მომავალი თაობების მწერლები უკეთესად გაერკვევიან, რა და როგორ წერონ. თუ, რა თქმა უნდა, ყველაფერი ისევ მყისიერად, მერე კი ჩქარ-ჩქარა არ შეიცვალა.

•

ხელოვნება შეიძლება ჩვენი აზრების გამართლებაც იყოს. თუკი აზრი ხელოვნების მეშვეობით არის გამოხატული — ანუ აზრი ხელოვნების შექმნას უწყობს ხელს — გამართლებულია, აზრი აქვს. ეს აძლევს უფლებას... უფლება ცოტაა — კურთხევას — ურთიერდაპირისპირებულ აზრებსაც კი, გვერდიგვერდ იარსებონ.

აბა, ისე ყველაზე ბრძნული აფორიზმის გაცამტვერებაც კი შეიძლება ერთ წუთში ან ერთი წინადადებით. ამ სიბრძნეებსაც აფორიზმის ფორმატი ამართლებს.

•

თანამედროვე პერფორმანსი თითქოს კლასიკური ხელოვნების ალტერნატივაა. ის უფრო თამამია და გაცილებით ნაკლები ძალისხმევით გაცილებით მეტი შედეგის მომტანიც — პერფორმერისთვის მაინც. მაგალითად, კონსტანტინე სავარსამიძის სათქმელის გადმოსაცემად კონსტანტინე გამსახურდიას რომანის (თუნდაც, მისი ნაწილის) დაწერა დასჭირდა. რას იზამს დღევანდელი პერფორმანსერი გამსახურდია? თვითონ დაამსხვრევს ხელჯოხით ქრისტეს ქანდაკებას და ამით არნახულად მეტ რეზონანსს გამოიწვევს, ვიდრე ნაშრომ-ნაჯაფარი რომანი. ადრე დახატავდნენ ან ფილმის პერსონაჟად წარმოადგენდნენ შიშველ კაცს, რომელსაც წინ და უკან სტაფილოები გაუჩრია და რაიმე მელოდიას გაჰკივის, დღევანდელი პერფორმ(ანს)ერი კი ამას თვითონ სჩადის — არც ხატვაზე სცდება და არც ფილმის გადაღებაზე. გამოხმაურება კი — მისი მოწონებული. შესრულების ხარისხსაც აღარა აქვს მნიშვნელობა — მთავარია იდეა...

•

როგორ შეიძლება, პოეზიის, ხელოვნების ქმნაზე მართალი, სუფთა საქმე იყოს ყოველდღიურ სარჩოზე ზრუნვა ან თუნდაც მასშტაბური კომერცია და მისთანანი?

ამ დროს, შეიძლება კი არა, აშკარად ასეა. გული კი გწყდება, როცა ამას აღმოაჩენ.

•

სჩვევიათ ლიტერატორებს ზოგჯერ ერთმანეთთან წაკიდება — ყოვლად უღირსად, სიმართლის დავიწყებით და მოუკითხავად, როგორც ვინმე სულით მდაბალთა.

ხოლო მე გეუბნებით თქვენ — ლიტერატორთა უღირსი წაკიდება უფრო ენახვება თვალს, ვიდრე ზღვარდაუდებელი ლიქნი მათი ერთმანეთისა მიმართ, რაც ასევე — და არც თუ იშვიათად — სჩვევიათ.

პ. ს. ახლა მთლად საგინებლად ნუ წაქეზდებით. რომ არ მელიქნებით, ისიცა კმარა.

•

დღეს ჩვენს სალიტერატურო სივრცეში ყველაფერი ზედმეტად პირობითი, პირად ურთიერთობებზე გადაჯაჭვული და ზოგჯერ მხოლოდ შემთხვევითობისგან გამოწვეულიც რომ არ იყოს, მართლაც დიდი პატივი იქნებოდა, ყოფილიყავი გერმანიაში ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი წარმდგენი, თუნდაც 72-იდან.

•

პროექტები, პროგრამები, სახელმწიფო დაფინანსება...

აპარატზე მიერთებული პოეზია, ხელოვნება.

ქეთევან ნათელაძე

* * *

სევდა ლოტოსის ყვავილია, ნახევარმთვარე — მაზოლი,
მადრიგალების საღამოა და გაწვიმება სპეტაკი,
შენი ცხოვრება სცენარია პიერ პაოლო პაზოლინის,
ჩემი ცხოვრება ექსპრომტია
და ჩავარდნილი სპექტაკლი.

შენ — მიმზიდველი კაზანოვა,
მე — უცხო მავრის საცოლე,
ჩვენს შორის — ბედი უსამართლო
თავის მოშხამულ ეშვებით,
შენს იქით მხოლოდ სიკვდილია,
ჩემს მიერ ასგზის აწონილი,
ამიტომ თავის მოსაკლავად შენს მდინარეში ვეშვები.

შენი ამბები — ტავერნები, სადღეღამისო ბარები,
თავზე წამდგარი განთიადი,
მზე — დანიშნულის კალიცო,
რომ გულს გჩუქნიდნენ ქალწულები
და კურტიზანი ქალები,
საღამოს ბოლო მატარებლით
რომ გაეკიდე გრაფის ცოლს.

შენს ხმაში მზეა აზიური, შორს გასულ გემებს უმღერი,
ჩანს შენი მხრების ნამზეური,
ანტიკურ ღმერთებს გამგვანებ,
ძლიერი ბრიზია,
ფანჯარასთან ყვავის ვარდისფერი პლუმერია,
შენი თვალები ტყეებია და სიღრმეებში მკარგავენ...

ლოდინი სივრცეა ჰერმეტული და იმიტირებს ამინდი
სევდას დაკარგულ სიყვარულზე,
მთვარემ ზღვის მიღმა გაცურა,
ძლივს ატრიალებს გრამაფონი
შორ ეგზოტიკას ტაიტის,
წითელი ღვინო, ჟან პოლ სარტრი,
ყოველნაირი საცდური

გვაქვს იმისთვის, რომ დასაპყრობი
ერთად დავიპყროთ მიწები,
პალმები — ამ ზღვის ჟანდარმები —
უკვე აღარსად გვიშვებენ,
შენი სხეული — მაგნიტური ქვიშა, რომელზეც ვიწვები,
მიამიტური გატაცებით ოცნების სახლებს ვიშენებ!

დილა, ამ კვირის ტაბლოიდი, შენი პერანგი, რადიო,
გასული ღამის ნოსტალგია, ვნება, მაგია, ვივალდი,
შენი ცხოვრება სიგიჟეა და უსასრულო „ადიოს“,
ჩემი ცხოვრება ლოდინია და უსასრულო „მიყვარდი“...

ხეები — უბრები

დუმილს არ არღვევენ ხეები — უბრები,
შენ გინდა, გარდასულს შეეხო ხელებით,
დატოვა განცდილმა თვალებში ღრუბლები,
ძვლებს შორის — გამტყდარი ყვავილის ღერები...

კედლები მისტიურ სიზმრებით ირთვება,
ეძებ და აღარსად არ არის ის შარა,
წვიმებმა წაიღეს მზიანი მინდვრები
და ქოხი ფოთლების, რომ ჩამოიშალა.

წვიმს. დედაბერივით მზე ძლივსღა ამოდის,
გაციებს და სადღაც ლანდებად ჩნდებიან,
გინდა, რომ იყვირო და ხმა არ ამოგდის,
რამეთუ შენს ირგვლივ ცოცხალი მკვდრებია.

საკუთარ ვენებში ქარებად ვიდოდი,
გაყინულ ვაგონში დაღლილ ტანს ასვენებ,
და ის, ვინც ოდესღაც ძალიან გინდოდა,
ბნელ ტყეში ანთებულ სინათლეს გახსენებს,

რომელსაც ხედავდი და სველი ფანტელი,
სავალ გზებს ხერგავდა და მარტო იყავი,
დასრულდა ის ღამეც, ის კორიანტელიც
იმ თოვლის, სინათლის უთქმელი იგავიც.

გაბზარულ სარკიდან ვიღაც სხვა გიყურებს,
შენ ფიქრობ, გაგიჟდი, ან დროის ბრალია,
აქ ნიმფებს ეძინათ, აქ მგლებმა იყმუვლეს,
ქარია, ახლა კი აქ მხოლოდ ქარია.

წლები კი, რომელიც უდაბნოს ქვიშაა,
მოიტანს სნეულ და სისხლდამშრალ ამინდებს,
და ძალა არ შეგწევს, რომ სადაც ხსოვნა თვლემს
პირველი შეხვედრის, იმ მხარეს წახვიდე...

დუმილს არ არღვევენ ხეები — უბრები,
შენ გინდა გარდასულს შეეხო ხელებით,
დატოვა განცდილმა თვალებში ღრუბლები,
ძვლებს შორის — გამტყდარი ყვავილის ღერები.

თუთა

მე მახსოვს გუშინ, ჩემს ბავშვობაში,
ნერგი რომ იდგა ეზოში თუთის,
ხშირად ვუმზერდი ნერგს და ვფიქრობდი —
— ნეტავი, დიდი გახდება როდის?..

გავიდა წლები, ნერგი ხედ იქცა,
იმ ხემ ტოტები გაშალა მაღლა,
ადრე ის თუთა იდგა ჩემ ჩრდილში,
იმ თუთის ჩრდილში მე ვდგავარ ახლა.

წითელქუდა

შენ ტყე ხარ და უფრო საშიში ხარ
ღამით, როდესაც მთვარის შუქზე
შენი გულიდან გამოდიან მწვანეთვალება მაქციები;
როცა ბეჭებზე წიწვებივით
მოგონებები გეზრდებიან.

დიდია შენი მარტოობა,
ძველია შენი მარტოობა,
თოვლია შენი მარტოობა
და ჯერ არავის გაუკვალავს...

შენ ტყე ხარ, მე კი წითელქუდა,
ზღაპარი შენი ჯურღმულების,
სიზმარი შენი ფოთოლცვენის,
ამბავი შენი მაგიისა.
შავი მოცხარი გამასინჯე,
შავ მოცხარს გემო აქვს სიყვარულის,
სიყვარულს შავი მოცხარის გემო აქვს.
არ შემახვედრო ბელურები,
არც ირმები და მელიები,
შენ ტყე ხარ, მე კი წითელქუდა,
შენ მგელი უნდა შემახვედრო!
და მე ამისთვის შეგიყვარებ...
ასე როდიდან მეფიქრები?
ან ასე როდის გავიზარდე?
რომ შენი აღარ მეშინია,
არც მაგ პირღია სიღრმეების,
არც შხამიანი სოკოების,
აღარც გრძნეულთა მეჯლისისა.
შენს საიდუმლოს მაზიარე,
ერთხელ ჩემს ბილიკს ამაცდინე
და შენს სურვილში შემიტყუე,
სულ სხვანაირი დამაბრუნე
შენი ფოთლების სილურჯიდან...

შენს ათასწლოვან სიჩუმეში,
შენ შეძლებ, რომ არ შემომიშვა,
შენ ტყე ხარ და ნუ შემომიშვებ,
თუ მგელი მოკლა მონადირემ.

ვარსკვლავების ცისფერ მარხილებს...

ვუმზერ ვარსკვლავთა ცივ მარხილებს,
ცაში გაფრენილს,
ნოემბრის მინდვრებს გადაედოთ მთვარის ჭაღარა,
თან გაიყოლა ქარიშხალმა სუყველაფერი,
და დავიწყება კარს მტვერივით შემოაყარა...

ვინც გულს უყვარდა, ის დავტოვე ბოლოს უგულოდ,
ისე უგულოდ, თვალებმაც კი ვეღარ მამხილეს,
მითიურია დედამინა, როცა ვუყურებ
ცაში გაფრენილ ვარსკვლავების ცისფერ მარხილებს.

ცის ლურჯ კვარცხლბეკზე
ანთებულ მზეს გული ეწვოდა,
როცა ზურგით მდგომს უანგაროდ სული მოგანდე,
ზღვა მხოლოდ იმას დააბრუნებს, ვინც ზღვას ებრძოდა,
არ უწერიათ დაბრუნება უძლურ ხომალდებს.

არ უწერიათ დაბრუნება სუსტებს ომიდან,
არც მათ, ვინც გული არ მიუძღვნა გრიგალს მთლიანად,
მითიურია წამი, როცა უნდა მოვიდეს
შემოდგომა და დამემსგავსოს ფოთლებიანად.

ვუმზერ ვარსკვლავთა
ლურჯ მარხილებს ცაში გაფრენილს,
თითქოს ვეწევი და მივყვები ცისკენ მე თავად,
თან გაიყოლა ქარიშხალმა სუყველაფერი,
და მაინც ჩადგა... ყველაფრისდა მიუხედავად...

თოვლი

მოვიდა თოვლი ქარების ქროლვით,
გარეთ ფიფქების ანათებს გროვა,
მე მინდა ისე გვიყვარდეს თოვლი,
რომ გვახსენებდეს ერთმანეთს თოვა.

მე მინდა სადმე გიპოვნო ბოლოს,
მოგიყვე ბოლოს, გეძებდი რამდენს,
რომ სიყვარულიც თოვლს ჰგავდეს მხოლოდ,
და თუ დადნება, თოვლივით დადნეს.

მე მინდა ერთხელ გაჩერდეს წამი,
ის მოხდეს, რაც არ მომხდარა დღემდე,
სულ უმიზეზოდ, არაფრის გამო,
მე მინდა თოვლში ერთმანეთს შევხვდეთ.

დრო მანძილს თავის საზომით ზომავს,
აღარ იქნება, რაც იყო გუშინ,
თოვლი ისეთი სიჩუმით მოვა,
მოიტანს დარდს და სინანულს გულში.

და ნაცვლად გრძნობის, მომცველის ყოვლის,
ჩვენში თავის გზა რომ ვეღარ ჰპოვა,
მე მინდა ისე გვიყვარდეს თოვლი,
რომ მხოლოდ ჩვენი ეგონოთ თოვა...

კაფე „MARCO-POLO“

ჩვენი ჩრდილები გუშინ და წინათ
ვიდოდნენ ერთად ქარებზეც ჩქარე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რუსთაველზე უკრავდა წვიმა
ფოთლების ტაშით ცეცხლჩამდგარ ქარებს.
ქაშუეთიდან რეკავდა ზარი,
მე ტანზე შენი თვალები მეცვა,
და მთვარე, როგორც წასული ქმარი,
ამოირეცხა გულიდან ზეცამ.
მთვრალი ქუჩები ყვინთავდნენ მტკვარში,
ჩვენ გვსურდა ზეცა, ჩვენ მეტი გვსურდა,
და მათხოვრობდა სიყვარულს ბავშვი,
გამვლელები კი უყრიდნენ ხურდას.
ეს იყო წინათ, ეს იყო გუშინ,
შეხვედრის, ანდაც გაჩენის დღიდან,
იდგა აპრილი ღმერთსავსე სულში,
და რუსთაველზე ივლისი იდგა...
გდარდობ და გფიქრობ, გფიქრობ და გდარდობ,
ხომ არ იყავი ჩვენება დილის,
ხომ ვუკითხავდით მირზას და ლადოს
მზისფერ სტროფებით სისხლგამთბარ თბილისს.
ყელზე წვიმები შემაბი მძივად,
და სადღაც გაქრა, ვით ლექსი ბოლო,
ის არცო ოლო, ზაფხული, წვიმა,
წვიმა, ზაფხული და არცო ოლო.
გავლენ, ჰო, გავლენ უკვალ-უქაროდ
დღეები, ვითარც წკრიალი ბროლის,
ჩვენ როგორ შევხვდით ასე უბრალოდ,
ამდენ ბატონს და ქალბატონს შორის.
ეს იყო წინათ, ეს იყო გუშინ,
შეხვედრის, ანდაც გაჩენის დღიდან,
იდგა აპრილი ღმერთსავსე სულში,
და რუსთაველზე ივლისი იდგა.

* * *

ის შემოდგომა სულ სხვანაირად
ყვითლდებოდა და თოვდა,
მაინც ვერ გავძლებ, რომ არ ვიკითხო,
ალბათ ხიბლი აქვს კითხვებს,
მაგრამ პასუხი, როგორც ასეთი,
ვიყოთ გულწრფელი, მოდით,
აღარ არსებობს,
თავისი არსით რამის შინაარსს ცვლიდეს.

ისე გაქურდა ის შემოდგომა ცივმა ქარების გუნდმა,
ასე მგონია, რომ აღარ მოვა,
მაგრამ რა შერჩათ ქურდებს?..
მაინც ვიკითხავ, ლოგიკურია კითხვა ასეთი თუნდაც,
თუმცა ვინ იცის, ცოდნა სიმართლის,
იქნებ არც უნდა მსურდეს.

კომიკურია ეს ყველაფერი, და ამავე დროს სევდით
სავსეა, თუმცა ვიკითხავ მაინც, იქნება ვინმეც მისმენს,
როგორ შეეძლოთ,
ასე გულგრილად არ შეემჩნიათ ღმერთი?
ხეზე, რომელზეც თავი მოიკლეს,
როგორ აყვავდა ისევ?..

* * *

ჩემი რჩეული დაბრუნდება და მოსვლის ხმებით
გამოაღვიძებს ანგელოზებს,
ზურმუხტის ჭაღებს,
ყელზეც, მაჯებზეც მარჯნებივით შემაბამს ვნებას,
მოვივლით ერთად
ზეთისხილის მარტოსულ ბაღებს...

უახლოვდება ნაცნობ ტყეებს, ბილიკებს, რიფებს,
ჩემი რჩეული
და მითიურ სიმღერებს მღერის,
ემსგავსებიან ქარიშხლები უჩინარ ნიმფებს,
ასდით ტრამალებს
ყვავილების ფერადი მტვერი.

მოვა ვით ღმერთი, გააცოცხლებს შორეულ ზღაპარს,
ამ ლურჯ ყურეში
რიჟრაჟამდე ჩაუშვებს აფრებს,
თეთრმა ცხენებმა ჩაუარეს ქვიშიან ნაპირს,
და ტალღებივით
მზის ოქროსფერ ბურუსში გაქრნენ!

ვიხდი და მაღალ სარკეებთან შიშველი ვწვები,
ჩემი რჩეული
დაბრუნების იმედით მტოვებს,
მომიცავს მისი სიყვარულის ზღვისფერი ვნება,
შეაკრთობს ბაღში
ზეთისხილის სევდიან რტოებს.

* * *

მოვიდა წვიმა ჩვეული მარშით
და ცეცხლში ჩაყრილ ვარსკვლავებს მიქრობს,
ვით მეოცნებე, ყრუ-მუნჯი ბავშვი,
ჯერ არწარმოთქმულ სიტყვებზე ვფიქრობ.

მიმხვდარა ზეცა წვიმების მიზეზს
და ჩემს სიზმრებში შთენილა მარტო,
როგორც ჩემს ნაცნობ ლურჯთვალა ბიჭზე,
ჯვარცმამდე მცხოვრებ ქრისტეზე ვდარდობ.

რატი ამაღლობელი

ტივტივა

სანაპიროზე ჩემს პატარა ბიჭთან მივდივარ,
რომ დავუბერო საცურაო მრგვალი ტივტივა.

სულ რაღაც ათმა, ჰა, თორმეტმა პირით ჩასუნთქვამ
ეს მჭლე ტივტივა გამობურთა და ჩაასუქა.

ჰაეროვანი, ბუმბულივით მჩატე ნივთია,
თუმც ასჯერ მასზე მძიმე წონას იჭერს ტივტივა,

ის ახლა რუსმა წონოსანმა ქალმა შეგვთხოვა,
„ხომ დაგვიბრუნებს“ — ბავშვს ეჭვებმა სძლიეს ეტყობა.

„იმედი არის“ — ვუპასუხე, მართლაც ასეა,
ის მხოლოდ ჩემი რწმენითა და სუნთქვით სავსეა.

მას ჩემი ბიჭი ზღვის უსაზღვრო წყალზე უჭირავს,
როგორც ყოველი რამ ხილული უთქმელ-უჩინარს.



მღვიმე

სარკმლიდან ფარდა ჩამოხსენი,
მოისხი, როგორც სამოსელი.

იარე, მიადგები სანაპიროს,
თუ ზღვაში შეცურვა დააპირო —

ღრმა წყალში უყოყმანოდ გადაეშვი,
მიცურე მიტოვებულ სანავეში.

ნავი საბელიდან ჩამოხსენი,
და შენი სველი-ფარდა-სამოსელი

ნავზე დაამაგრე აფრასავით,
აზრივით გაიშლება — „ახლა საით“.

ზღვათა გადაცურე აბრეშუმი,
მის სიღრმე-სიშორეში გაეშურე.

ქარივით სიმამაცემ დაგიბეროს,
შეყევი შიდაზღვების არქიპელაგს.

სამყაროც შექმნილია სიმამაცით,
მისი მზე გაცხუნებს, წვიმა გაწვიმს.

შიშის ნაკადები შეიკავე,
როცა დაიმსხვრევა შენი ნავი —

იმისგან კუბოსმაგვარს შეგიკრავენ,
კუნძულის მღვიმეში შეგიყვანენ.

ეგ აფრა-ფარდა-სამოსელი,
ოდესღაც სარკმლიდან რომ ჩამოხსენი —

სახეზე სუდარად დაგედება,
იფიქრებ — ასე რომ არ გაგებედა,

მღვიმეში სიკვდილად რომ დაგებედა —
ბედი მიგიყვანდა სხვა გემებთან.

აქ, სამი ღამის წინ მოგასვენეს,
არ გესმის სამი დღეა არაფერი,

მაგ დახშულ თვალ-ყურის დარაბებით
„ლაზარე, გამოდი“ მოგესმება.

ფოთოლი

შეხედე ფოთოლს.
შემოდგომის უხილავ ნებით
ჩვენც ასე ვჭკნებით
და როცა ვხვდებით —
სხეულისთვის არ ჩანს საშველი,
ჩნდება ჩვენს შიგნით
რაღაც ჩვენი...
გადასარჩენი.

შემოდგომა

ძალა არა მაქვს.
ან, ღვინო უნდა გავხსნა,
ან, წიგნი.
ჭრიჭინების ხმა უფრო მცირდება,
მეტალის ჟღარუნის
ძალას კარგავს ისიც.
ყოველ ღამე აივანზე გავდივარ
და მათ ხმას ვუსმენ,
დღეს მხოლოდ ერთი ჭრიჭინა ჟღერს,
უფრო შორიდან, უფრო გრილად,
უფრო ხმადაბლა
და მაინც
ეს სიჯიუტე ზაფხულს ახანგრძლივებს
შემოდგომაში.

ნეტავ, თავიდანვე დამეჭირა თადარიგი,
არ ვყოფილიყავი უყურადღებო
და ჩემში, შიგნით შემომეშვა
ჭრიჭინების ურიცხვი გუნდი.
ჩემი ხსოვნის უხსოვარ და ვრცელ
მინდვრებში შემეშვა, გამეშვა,
დამებინავებინა.

ისინი იქიდან მზეს უმღერებდნენ,
მზეს, რომელიც იკლებს,
მზეს, რომელიც მიყვარს,
როგორც მონატრებული
გარდაცვლილები
და თავშესაფარი მათი.

მზეო, მიიღე აორთქლებული
მათი სულები
შენი სინათლის ნაკეცებში,
კალთის სითბოში,
უბის სიმშვიდეში.

ახლა გარეთ ქალწულში დგახარ,
მალე სასწორში გადაინაცვლებ
და გადაწონის უშენობა
შენს სხივს და შენს შუქს,
და მე გავხდები კიდობანი
იმის,
რაც შენს სხივ-ქვეშ
ხარობს და ყვავის
და ახლა ჭკნება.

ძალა აღარ მაქვს,
ან, ღვინო უნდა გავხსნა,
ან, გული.

მედიკამენტი

ის ვარსკვლავებით მკურნალობდა მუდამ თავისთავს,
ვარსკვლავებით და პლანეტებით, მაგალითისთვის —
უსაფრდებოდა უღრუბლო ცას შუაღამის და
შუაზაფხულის, რომ ეცურა ზღვაში ძილისწინ,

როცა კირჩხიბში შემდგარ ვენუსს ციდან სხივები
ღამეულ ზღვაში ეფანტება, სცვივა მძივებად,
ის აქ შიშველი შეცურავდა აუცილებლად,
და თეთრ მთვარის ქვეშ გასაშრობად ტანს აძინებდა.

მას ფიქრში ენთო ანდრომედა, ანუ ნებულა —
იმათ ნათელში რადგან ხშირად ამოვლებულა
და განვრცობილი ვარსკვლავეთის სიღრმის ფართობით
თავად ხდებოდა გარესკნელში ირმის ნახტომი.

დ. რ. შ-ს

შენ მოგაქვს ჩემთვის პური და წყალი,
თუ მაისია — იასამნები,
ფანჯრებს გამიღებ და გაუმწყრალი
მზერით ჩემს სივრცეს მიესალმები.

გამინიავებ ოთხივე კუთხეს,
ჩემს ბნელ კუნჭულებს გაამზეურებ
და ჩემი სუნთქვა გახდება სულ მთლად
დაბრუნებული შინ მეზღვაურის.

მოდიხარ, ქრება სივრცეს და დროს და
მკვდრებსა და ცოცხლებს შორის საზღვარი
და ისე მიყვარს მე შენი მოსვლა —
ასე მგონია, ღმერთი გაგზავნის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურა და ფსიქოანალიზი

XX საუკუნის პირველ ნახევარში გაჩნდა ტენდენცია, მხატვრული ნაწარმოებები ფსიქოანალიტიკური სქემების მიხედვით გაეანალიზებინათ. ლიტერატორთა თხზულებებში სულ უფრო ხშირად ჩნდებოდა ფროიდისა და იუნგის მოძღვრებებისგან ნასესხები ტერმინები: „ოიდიპოსის კომპლექსი“, „ინცესტი“, „მიჩქმალული დანაშაული“, „რეპრესირებული ფიქრი“, „ცნობიერების ნაკადი“, „ეროტიკის ოთხი საფეხური“ და სხვა... ამ თვალსაზრისით გამონაკლისი არც ჯოისისა და ფოლკნერის შემოქმედება იყო, მეტიც, დღესაც მრავალი წიგნი და კვლევა ეძღვნება მათ თხზულებებში ფსიქოანალიტიკური სქემების აღმოჩენას.

ცნობილი ფაქტია, რომ ჯოისს თავის წინამორბედად, შინაგანი მონოლოგის გამოყენების თვალსაზრისით, ნაკლებად ცნობილი ფრანგი მწერალი ედუარდ დიუჟარდენი მიაჩნდა. ერთხელ მეგობარმა, მერი კოლამმა, უსაყვედურა კიდეც, რას გადაეკიდე დიუჟარდენს, არ სჯობს, ისეთი დიდი მეცნიერების ვალში იყო, როგორებიც ფროიდი და იუნგი არიან, ვიდრე ამ „—“ დიუჟარდენისო? ჯეიმზის სხვა მეგობარი ლიტერატორებიც დასცინოდნენ, ფრანგ მწერალს ნაფტალინიდან ამოღებულს უწოდებდნენ, მაგრამ ჯოისი ჯიუტი იყო, მეტიც, თვით ტერმინ „არაცნობიერსაც“ კი ეჭვის თვალით უყურებდა. „ნეტა რატომაა ატეხილი ასეთი აურზაური რაღაც იდუმალი არაცნობიერის გამო? — ჰკითხა 1918 წლის ერთ საღამოს მეგობარ ფრენკ ბაჯენს, — ცნობიერის საიდუმლოებებზე რაღას გვეტყვიან? იციან კი რაიმე მათ შესახებ?“

ფსიქოანალიტიკოსებისადმი ირონიულად იყო განწყობილი ფოლკნერიც. „ყველა საუბრობდა ფროიდის შესახებ, როცა ნიუ ორლეანში ვცხოვრობდი, მაგრამ მე ის არასდროს წამიკითხავს, — განუცხადა ერთხელ ჟურნალისტებს, მერე კი დაამატა, — ის არც შექსპირს ჰქონდა წაკითხული, არც მელვილს. მობი დიკს კი დარწმუნებული ვარ, ნამდვილად არ ჰქონდა წაკითხული“.

გაცილებით მკაცრი გახლდათ ფსიქოანალიტიკოსებისადმი სელინჯერი. აი, რას წერს ის თავის მოთხრობაში „სიმორი — შესავალი“: „მე ღიად ვაცხადებ, რომ არ ვენდობი ამ საკითხებში აღიარებულ ექსპერტებს — მკვლევრებსა და ბიოგრაფოსებს, და მეტადრე ამჟამინდელ მმართველ ინტელექტუალურ არისტოკრატებს, განათლება ამა თუ იმ სახელმოხვეჭილ საჯარო ფსიქოანალიტიკურ უმაღლეს სასწავლებელში რომ მიუღიათ...“ სელინჯერის პერსონაჟ სიმორის აზრით, ისინი მოკალულყურებიანი არისტოკრატები არიან, რომლებსაც მხოლოდ რამდენიმე გზასაცდენილი ობერტონის დაფიქსირება შეუძლიათ ადამიანის მშფოთვარე ბავშვობიდან და არა — კონტრაპუნქტის.

მაინც რატომ უპირისპირდებოდა კორნიშელი განდეგილი მმართველ ინტელექტუალურ ელიტას? ფოლკნერს, ჯოისსა და სელინჯერს ალბათ ფროიდიზმის იდეოლოგიად ქცევის ტენდენცია უფრო აწუხებდათ, ვიდრე ფსიქოანალიტიკური თეორიები. მსგავსი საფრთხე კი ნამდვილად არსებობდა. მკვლევრები ფროიდის მოძღვრებით ცდილობდნენ, აეხსნათ ლიტერატურული და ბიბლიური გმირების ქცევა და თვით მსოფლიო რელიგიების წარმოშობაც კი... სიმბოლური იყო ის ფაქტი, რომ 1920 წელს ფროიდიზმი შეერწყა მარქსიზმს და შეიქმნა ეგრეთ წოდებული ფროიდო-მარქსიზმი, რაც კარგად წარმოაჩენდა ამ მოძღვრებებით დაინტერესებულ მეცნიერთა ამბიციურობას. თუმცა არსებობდა მედლის მეორე მხარეც, ფოლკნერისა და ჯოისის თხზულებების ცალკეულ ეპიზოდებში (გარკვეული თვალსაზრისით) მაინც შეინიშნებოდა ფსიქოანალიტიკური თეორიების გავლენა. რით შეიძლება აიხსნას ეს?

ერთხელ ფოლკნერს ჰკითხეს, ვერგილიუსი თუ წაგიკითხავთო, მან კი უპასუხა, რაღაც არ მახსენდება, მაგრამ წაკითხული რომ მქონდეს, ალბათ მასაც გავდარცვავდიო. ამ ლოგიკით მწერალს შესაძლოა ფსიქოანალიტიკოსებიც „გაეძარცვა“. არა აქვს მნიშვნელობა, ჰქონდა თუ არა მათი თხზულებები წაკითხული. დიახ, ხელოვანი იმეცნებს არა მხოლოდ წაკითხულ მხატვრულ ლიტერატურას, ფსიქოანალიტიკურ თეორიებსა და მითებს, არამედ — საუბრისას მოსმენილ აზრებსაც (თუნდაც



მეცნიერულ თეორიათა შესახებ). ფოლკნერი, მაგალითად, საგაზეთო კრიმინალურ ქრონიკებსაც კი იყენებდა თავისი თხზულებების სიუჟეტისთვის. ასე რომ, არც უნდა გაგვიკვირდეს, მის თხზულებებში ფროიდისა და იუნგის ნააზრევის ანარეკლს თუ აღმოვაჩენთ.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ფოლკნერის რომანი „აგვისტოს ნათელი“, განსაკუთრებით კი ამ თხზულების ერთ-ერთი პერსონაჟი ქრისტმასი. ბავშვობაში ის უნებლიეთ შეესწრება ექიმისა და მომვლელი ქალის სქესობრივ აქტს იმ დროს, როდესაც სააბაზანოში კბილის პასტას იპარავს, რომლის სუნიც უყვარს... მოწიფულობისას ბიჭებმა ქრისტმასი თავლაში წამოწოლილ ზანგის ქალთან შეიყვანეს. მასში გაიღვიძა მოუთმენლობამ, გულმუცელი აემღვრა, ზუსტად ისე, როგორც მაშინ, კბილის პასტაზე რომ ფიქრობდა ხოლმე. მან ჯერ ზანგ ქალს სცემა (პირველი სადისტური ელემენტის გაჩენა მის ბუნებაში), მერე კი თანატოლებსაც წაეჩხუბა (ფროიდის აზრით, როცა ბავშვი ადრეულ ასაკში ხდება სქესობრივი აქტის მოწმე, რა თქმა უნდა, ვერ აცნობიერებს ნანახს. აქტი მასში ძალადობის ასოციაციას იწვევს. მოგვიანებით კი ხელს უწყობს მის ბუნებაში სადისტური ელემენტის გაჩენას)...

გარკვეული მსგავსების აღმოჩენა შეიძლება „ულისეს“ მთავარი პერსონაჟების, სტივენისა და ბლუმის, ქცევასა და ფროიდის „მიჩქმალული დანაშაულის თეორიას“ შორის. დედალოსსა და ბლუმს ბევრი საერთო აქვთ, მაგალითად, დამოკიდებულება ჩადენილი დანაშაულისადმი, რომლის მიჩქმალვასა და ტაბუირებასაც ცდილობენ. სტივენს დედის სიცოცხლის მოსწრაფებაში მიაჩნია თავი დამნაშავედ, როცა მომაკვდავს უკანასკნელი სურვილი არ შეუსრულა, არ დაიჩოქა და არ ილოცა... „ნესტორის“ ეპიზოდში ის ცდილობს, არ იფიქროს აღნიშნულ თემაზე, თუმცა „რეპრესირებული ფიქრი“ ბევრჯერ იჩენს თავს, თუნდაც იმ უცნაურ გამოცანაში, სტივენი მოსწავლეებს რომ ეუბნება. სტივენისთვის სიტყვა „დედა“ ტაბუდადებულია, ასე რომ, ის გამოცანის პასუხში ნაცვლდება დიდედით.

თემურ გაბუნია

„ულისეს“ შესახებ

ჯეიმზ ჯოისი აღნიშნავდა, რომ „ულისე“ უნდა წაგვეკითხა, როგორც სხეულის ნაწილების შესახებ დაწერილი ეპოსი. შესაძლოა, რიგით მკითხველსაც და ლიტერატორებსაც გაუჩნდეთ კითხვები: რას ნიშნავს ეს? რაზე მიგვანიშნებს ჯოისი? ის ხომ მწერალია და არა ანატომი?

ჩემს უმთავრეს მიზანს სწორედ აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გაცემა წარმოადგენს ესეში „ულისეს“ შესახებ“ (ისევე, როგორც ახლახანს გამოცემულ წიგნში — „ჯოისის ლაბირინთი“).

მიჩქმალული დანაშაულის თემა კიდევ უფრო ღრმადაა დამუშავებული „კირკეში“, რომლის ტექნიკაც ჰალუცინაციაა. ბლუმსაც აქვს თავისი იდუმალი ცოდვები და ეგრეთ წოდებული „რეპრესირებული ფიქრები“, რომლებიც სახეშეცვლილი სახით მაინც ტივტივდება ცნობიერების ზედაპირზე. მაინც რისთვის დასჭირდა ავტორს ფანტასმაგორიული ეპიზოდის შეტანა რომანში? იმის გამო ხომ არა, რომ ტაბუდადებული თემა აღნიშნულ შემთხვევაში საიდუმლო საძმოს საქმიანობა და რიტუალებია, მათ შესახებ კი ღიად არ სურს საუბარი?

ბლუმი შინჰოფერთა ორდენის წევრია. ცოლი აფრთხილებს, გაგიგებენ, რასაც აკეთებ საიდუმლო შეკრებებზე და სამსახურიდანაც დაგითხოვენო. როგორც ჩანს, ჯოისს დიდად არ ხიბლავდა საიდუმლო საძმოთა საქმიანობის რეალისტურ სივრცეში მიმოხილვა, ამის გამო გადაიყვანა საკუთარი პერსონაჟი ძილ-ღვიძილის მდგომარეობაში. შუაღამისას ბორდელში მყოფ ბლუმს ეწყება ჰალუცინაციების სერია. თავდაპირველად საკუთარი თავი „თავხედი, მბრძანებლურ-მანერებიანი სროსკიპოს მფლობელ ბელა კოენის“ მონაგოგოდ წარმოუდგება, ბელა კი ლეოპოლდის წარმოსახვაში ულვაშებიან მოვაჭრე კაცად არის ქცეული. რეპრესირებული ფიქრი თანდათანობით კიდევ უფრო დრამატულს ხდის დანაშაულის შეგრძნებას. რაში აღარ სდებენ ბრალს: წესრიგის დარღვევაში, ცხოველებისადმი სასტიკ მოპყრობაში, სამშობლოს ღალატში, ქალების ცდუნებაში, პლაგიატორობასა და ყალბი ფულის მოჭრაში. ბლუმი დასასრულს „ბრალდებებისგან თავდაცვის მიზნით მოწმეებს მოიხმობს, ასევე ამტკიცებს, რომ შთამომავლობითი სენი სჭირს, რომ იგი წარმოადგენს ახალი ტიპის „ქალურ მამაკაცს“ და რომ სადაცაა ბავშვი უნდა ეყოლოს (ნიკო ყიასაშვილი, „ულისეს“ მეთხუთმეტე ეპიზოდის კომენტარები)...

აი, სადამდე მიდის ბლუმის ეგრეთ წოდებული „რეპრესირებული ფიქრი“ თუ მიჩქმალული დანაშაულით გამონვეული ტანჯვა. საგულისხმოა, რომ „კირკეში“ ბლუმი ხშირადაა მოხსენიებული ქალურ მამაკაცად, რაც გვაფიქრებინებს, რომ ჰალუცინაციის ტექნიკით აღწერილი შავი მესა რომელიღაც ორ ჰიპოსტასიან ღვთაებას უნდა უკავშირდებოდეს, მამაკაცური საწყისიც რომ აქვს და ქალურიც. აღნიშნული ვარაუდის განსამტკიცებლად „ულისედან“ ერთი ციტატის მოყვანაც იკმარებდა. უცნაური რიტუალის მონაწილე მამა მალაქია ო'ფლინი ბარძიმიდან იღებს და ზემოთ ასწევს ზიარების ნაწილს, რომელსაც სისხლის წვეთები ჩამოსდის. ამ დროს დიდად ღირსი ბატონი ჰეინზ ლავი „მწირველს ქვედატანს აუწევს, მის რუხ ბანჯგვლიან სტაფილოგარჭობილ დუნდულოებს გამოაჩენს“ და იტყვის: „ხორცი ჩემი“. როგორც ჩანს, აქ საქმე გვაქვს შავი წირვის ერთ-ერთ ძირითად ატრიბუტთან, ჰომოსექსუალურ ორგიასთან, რომლის თანამედროვე ვარიანტში ფალოსს სტაფილო ცვლის. აი, ასე უცნაურად იქცევიან კირკეს მიერ ღორებად ქცეული ადამიანები „ულისეს“ მეთხუთმეტე ეპიზოდში. ჯოისს ხშირად საყვედურობდნენ, ასეთ საშინელებებს რატომ აღწერო, ის კი პასუხობდა, რა ვქნა, მე არაფერი მომიგონია, ჩემი პერსონაჟების მსგავსი ადამიანები ნამდვილად არსებობდნენო.

ჯოისის შემოქმედებას არა მხოლოდ ფროიდთან, იუნგთანაც აკავშირებდნენ. მაგალითად, ჰირომი იოშიდა წიგნში „ჯოისი და იუნგი“ ცდილობს, სტივენ დედალოსის ფსიქოსექსუალური ევოლუცია „ხელოვანის პორტრეტში“ იუნგის „ოთხი საფეხურის“ თეორიას დაუკავშიროს. როგორც ცნობილია, იუნგი დასავლური ცივილიზაციის სულიერ განვითარებას ოთხ ეტაპად განიხილავდა. მისი აზრით, „კოლექტიურ ეროსს“ ოთხი საფეხური ჰქონდა: ევას, ელენეს, მარიამისა და სოფიას. იოშიდას სწორედ ამ სქემატურ ჩარჩოში სურდა, მოექცია ჯოისის ავტობიოგრაფიული პერსონაჟის, სტივენ დედალოსის, სულიერი პორტრეტი. „ჯოისი და იუნგის“ ავტორის აზრით, დედალოსიც ოთხ ეტაპს გადის. პირველი (ევას საფეხური) დედასთან ურთიერთობაა, მეორე (ელენესი) — მეძავთან. მარიამის საფეხურის გავლა სტივენის ეკლესიური ცხოვრების მცდელობას უკავშირდება, სოფიასი კი — ახალი შემოქმედებითი იმპულსის მიღებას ირლანდიის ზღვის ნაპირას მოცეკვავე წეროს ფეხებიან „ჩიტ-გოგონას“ ხილვისას.

რა შეიძლება ითქვას ჰირომი იოშიდას მოსაზრებათა შესახებ? მათში მკითხველი უთუოდ აღმოაჩენს გარკვეულ ლოგიკას, თუმცა „ჩიტ-გოგონას“ ეპიზოდში ჯოისს მითოსამყაროსა და დანტე ალიგიერის გავლენა უფრო უნდა ჰქონდეს, ვიდრე — იუნგის, რადგან ირლანდიის ზღვის ნაპირას ტალღებში მოდგაფუნე გოგონას მოკვდავი სილამაზისა და ახალგაზრდობის ანგელოსად მოიხსენიებს, რაც პერიფრაზაა დანტეს „ახალი ცხოვრების“ ბეატრიჩეს აღწერიდან. საგულისხმოა ისიც, რომ მწერალმა თავის ავტობიოგრაფიულ პერსონაჟ სტივენს გვარი სწორედ ცვილის ფრთების შემქმნელ ლეგენდარულ დედალოსთან სულიერი მსგავსების გამო შეურჩია, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ შემოქმედებითი იმპულსისთვის ცვილისფრთებიან დედალოსს მუზად „ნეროგოგონა“ სჭირდებოდა და არა — ჩვეულებრივი.

სხეულის ნაწილების შესახებ შექმნილი ეპოსი

როგორც ცნობილია, ჯოისს მეგობრებმა დუბლინელი დანტე შეარქვეს. იმის გამო, რომ ცხოვრებითაც და შემოქმედებითაც დიდ იტალიელ წინამორბედს ბაძავდა. ჯოისი თავს დუბლინიდან გაძევებულად მიიჩნევდა. ის ცდილობდა, ფლორენციიდან განდევნილი დანტეს როლი მოერგო, იმის მიუხედავად, რომ ირლანდიიდან არავის გაუგდია და, შესაბამისად, ემიგრაციაც ნებაყოფლობითი იყო. დანტესა და ჯოისის თხზულებებს შორისაც არის ღრმა მისტიკური კავშირიც. იტალიელი ხელოვანი ვენერა ურანიას უკმევდა გუნდრუკს, ირლანდიელი კი — ვენერა პანდემოსს. ორივეს შემოქმედებაში საუბარია დომინანტ სხეულის ნაწ-



ილებსა და მეტამორფოზებზე... ჯოისი „ულისეს“ სხეულის ნაწილების შესახებ დაწერილ ეპოსს უწოდებს. მეტიც, როგორც მის ვიერისადმი გაგზავნილი ბარათებით დასტურდება, ის ადამიანის ორგანიზმის ნაწილებს რაღაც სიმბოლურ მნიშვნელობასაც კი ანიჭებს. „ულისეს“ ყოველ ეპიზოდს თავისი დომინანტი სხეულის ორგანოები აქვს, რომლებითაც მოზაიკის კენჭებივით საბოლოო ჯამში ორი ფიგურა იქმნება (მამაკაცისა და ქალის). ჯოისი სისხლით იწყებს ადამიანის სხეულის აწყობას, რაც ბუნებრივიცაა, რადგანაც პირველი ეპიზოდის (ტელემაქეს) ძირითადი თემა თეოლოგიაა (ზიარების გაშარჟება)... მომდევნოსი — „ნესტორის“ — ისტორია, დომინანტი სხეულის ნაწილი კი თავია, ალბათ იმის გამო, რომ ოდისევსის თანამებრძოლი ნესტორი ბრძენკაცად ითვლებოდა...

ნაწილების მთელად ქცევა წარმართული მისტერიების ღერძია, 12 ნაწილად აჩეხილ ოზირისის სხეულს იზიდა ამთლიანებს, რათა ტიფონის მიერ მოკლული გმირი გააცოცხლოს... რომანის ბოლოს ლეოპოლდ ბლუმი მართლაც ცოცხლდება (გარკვეული თვალსაზრისით), რადგან არის მინიშნება, რომ 11 წლის შესვენების შემდეგ მეუღლესთან კვლავ უნდა განაახლოს შეწყვეტილი ტრადიციული სექსუალური ცხოვრება...

სამი ქალღმერთი

სხეულის ნაწილებს სიმბოლური დატვირთვა აქვს დანტე ალიგიერის თხზულებებშიც. დანტეს ბეატრიჩე ერთ სამსახოვან ქალღმერთს წარმოადგენს. სამი ქალღმერთი ფიგურირებს ჯოისის შემოქმედებაშიც. მეტიც, რეალურ ცხოვრებაშიც ქალღმერთივით ეთაყვანებოდა სამ ქალს: ირლანდიის ზღვის ნაპირას ნანახ მოცეკვავე გოგონას, რომელმაც მის წარმოსახვაში ქაფიდან შობილი აფროდიტეს სახე მიიღო; საკუთარ მეუღლეს, ნორას (მოლი ბლუმის ერთ-ერთი პროტოტიპს — რიდეახდილ იზიდას) და მართა ფლეიშმანს (რიდეშემოსილ იზიდას), რომელსაც პლატონურად ეტრფოდა. მწერალმა ისინი თავის თხზულებებში უკვდავყო. საგულისხმოა ისიც, რომ ტრიესტის ნაქირავებ ბინაში (ვია დონატო ბრამენტეს 5-ში) ჯოისს სამლოცველო ოთახიც კი ჰქონდა სამი ქალღმერთის სადიდებლად. მისი ბიოგრაფოსი რიჩარდ ელმანი მოგვითხრობს, როგორ მოეწყო ის მწერალს. საკითხავ მაგიდაზე ეკლესიურ სტილში დასვენებული იყო ტყავის ყდაში ჩასმული ლექსების კრებული Chamber Music. ჯოისი დროდადრო საკმეველს უკმევდა ხატებს, რომელთა ფუნქციასაც მესტროვიჩის ქანდაკებების ილუსტრაციები ასრულებდა. პირველ სურათზე გამოხატული იყო გლეხის ქალი გამობერილი მუცლით, სახეზე მძიმე შრომის კვალი აჩნდა, მის გამეჩხერებულ თმას კი სანახევროდ ფარავდა იაფფასიანი პარიკი. ჯოისს ფოტოს ქვეშ მიეწერა Dura Mater. მეორე სურათზე გამოხატული იყო დედა ბავშვით, გამხდარი ჩვილი დედას გამოფიტულ მკერდზე ეპოტინებოდა. სურათის სათაურად ჯეიმზს Pia Mater შეერჩია. მესამე ფოტოზე აღბეჭდილი იყო შიშველი მოხუცი ქალი. ამ „ხატის“ ქვეშ ჯოისს მიეწერა სიტყვები დანტე ალიგიერის „ჯოჯოხეთის“ V ქებიდან, „Elena vidi...“ „ვნახე ჰელენე...“

მაინც რაზე მიგვანიშნებდა ფოტოების ქვეშ გაკეთებული წარწერები?

Dura Mater ტვინში არსებული მემბრანაა, რომლის უმთავრესი ფუნქციაცაა, სისხლი ტვინიდან გულისკენ გადაქაჩოს.

Pia Mater-ი ლათინურად სათნო დედას ნიშნავს. ამ მემბრანის ფუნქცია ტვინის ქსოვილის გამოკვება და დაცვაა... ასე რომ, პირველი ხატი გულის სიმბოლოდ უნდა მივიჩნიოთ, მეორე კი — გონების. მაგრამ რა შეიძლება ითქვას მესამე ხატის შესახებ? მშვენიერ ელენეს ჯოისი სავარაუდოდ სიყვარულის ქალღმერთის მიწიერ განსხეულებად მიიჩნევდა, რომელიც უძველეს ჰიმნებში არა მხოლოდ სასიყვარულო, საბრძოლო საქმეების წარმართველადაც მოიხსენიებოდა, „ომში მყივარადაც“ და „დიაცის მამრისთვის დამამშვენებლადაც.“ „ვნახე ჰელენე, რომლისთვისაც წელი მრავალი სისხლის წვიმები დააყენეს ტროას გმირებმა“ — სწორედ ეს სიტყვები ეწერა მესამე ხატის ქვეშ. საგულისხმო იყო ისიც, რომ ჯოისი სამივე ქალღმერთს (განსაკუთრებით კი მესამეს) ასაკოვნად წარმოაჩენდა, რაც ნაწილობრივ მის მოდერნისტულ ხედვას უნდა მივაწეროთ, თუმცა ალბათ არსებობდა უფრო ღრმა მიზეზიც. მითიურმა ქალმა იომ, რომელიც ეგვიპტეში სიყვარულის ქალღმერთად (იზიდად) შერაცხეს დროთა განმავლობაში კიდევ ორი მეტამორფოზა განიცადა. ის ჯერ რას თვალად (სიბრძნის ქალღმერთად, ბერძნული ვერსიით — სოფიად) იქცა, შემდეგ კი — მუტად (დიად დედად). სწორედ იო მოიაზრება ბეატრიჩეს წინასახედ. არსებობდა ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც სამსახოვან ღვთაებად შერაცხილ ქალს (წარღვნასგადარჩენილი ბიბლიური გმირებივით) დიდხანს (რამდენიმე ასეული წელი) უნდა ეცოცხლა და შვილებიც საკმაოდ ხანდაზმულს უნდა გაეჩინა; ასე რომ, ხატებად მოხუცი, თმებდაცვენილი და პარიკიანი ქალების შერჩევა მხოლოდ ჯოისის მოდერნისტულ ხედვას არ უნდა მივაწეროთ. შესაძლოა, მწერალი ამ თემას საკმაოდ ღრმადაც კი წვდებოდა.

ბეატრიჩე

დანტე ალიგიერისთვის ციფრ სამს მისტიკური დატვირთვა აქვს. როგორც აღვნიშნეთ, ბეატრიჩე სამსახოვანი ქალღმერთის თვისებებს ავლენს. „ახალ ცხოვრებაში“ ის იზიდა-აფროდიტეა, „ღვთაებრივი კომედიის“ დასაწყისში სიბრძნის ქალღმერთად (რას თვალად ანუ სოფიად) გვევლინება, პოემის დასასრულს კი — მუტად (დიად დედად). „ახალ ცხოვრებაში“ აღწერილია გულის შეჭმის (აფროდიტესთან ზიარების) რიტუალი. ამ თხზულების დომინანტი ორგანო გულია, ფერი — ალისფერი. „სალხინებელში“ ბეატრიჩე დანტეს პირველ მეგზურს ვერგილიუსს ცვლის, ამჯერად სწორედ ის მოძღვრავს პოეტს, მეტიც, სიბრძნის უშრეტ წყაროდ გვევლინება. შესაბამისად, პოემის ამ მონაკვეთში დომინანტი ორგანო თავია, ფერი კი — თეთრი (სიმშვიდისა და სიბრძნის სიმბოლო).

თუმცა მეტამორფოზები ამით არ სრულდება, პოემის მესამე ნაწილში, „სამოთხეში“, მეგზური პოეტს მზრუნველ მშობლად ევლინება, სამყაროს დიად დედად, რომელიც ისე ნაზად და გულისხმიერად შესცქერის, „როგორც მშობელი თავის თავგზაარეულ პირმშოს“ („სამოთხე“, ქება პირველი). ბეატრიჩე მზრუნველ დედასთანაა შედარებული ოცდამეორე და ოცდამესამე ქებაშიც, უმწეო მართვეთა დედასავით შვილების გამოკვებას რომ ცდილობს. და, აი, „ღვთაებრივი საკვების“ მიღების დროც დგება. პავლე მოციქულივით თვალახელილი დანტე ისე ეწაფება სამოთხის მდინარის წყალს, როგორც „ძილის შემდეგ თვალგახელილი ბალღი დედის ძუძუებს.“ ემპირიის ნაპირები „გაზაფხულით ამოქარგულებს“ ჰგვანან. დომინანტი სხეულის ორგანო ამჯერად დიადი დედის (სამყაროს) მკერდია, ფერი კი — მწვანე, მარადგანახლებადი ბუნების სიმბოლო. „ღვთაებრივი კომედია“ ტერცინებითაა დაწერილი, ის სამი ნაწილისგან შედგება, მეტიც, თვით ბეატრიჩეს სამოსიც კი სამფეროვანია:

„ზეთისხილის შტო
შუბლს უმკობდა ***თეთრ*** *ვუალიანს,*
ასე ვიხილე მე ასული,
გარს მარტო ***მწვანე***
შემოეხვია
ალისფერი *სამოსით მოსილს.“*

ამრიგად, წარმართი ქალღმერთის რეგალიებით შემოსილი ბეატრიჩე არა მხოლოდ სამფრადაა შემოსილი, მას სამი მეტამორფოზაც აქვს გავლილი. საგულისხმოა, რომ ოვიდიუს ნაზონის პოემის ერთ-ერთმა პერსონაჟმა იომაც მსგავსი ფერისცვალება განიცადა ეგვიპტეში. არსებობს ჰიპოთეზა, რომ იო იგივე ელექტრაა (Electus-ra, „რას თვალი“ ანუ რჩეული), ელექტრა კი ტიტან ატლასის ქალიშვილია. ზოგიერთ მკვლევარს, მაგალითად, რობერტ გრეივსს (ინგლისელი მწერალი და მეცნიერი) მიაჩნია, რომ იოს მშობელი ინაქოსი იგივე ნიმფების მამად წოდებული ატლასია (აყვანილი მდინარის ღვთაების რანგში), რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ ინაქოსის ქალიშვილი იო და ელექტრა ერთი პიროვნებაა. მსგავსი აზრისკენ გვიბიძგებს წარმართული მრავალსახელიანობაც.

მითის მიხედვით ელექტრა და მისი დები ვარსკვლავებად იქცნენ. თავიანთ ვარსკვლავურ წარმოშობაზე საუბრობენ ბეატრიჩეს თანმხლები ნიმფებიც, „აქ ნიმფები ვართ, ხოლო ცაზე ვართ ვარსკვლავები“. თურმე ისინი ბეატრიჩეს მაშინაც ახლდნენ, „ვიდრე იგი მიწად ჩამოვიდოდა“. საგულისხმოა, რომ „ღვთაებრივი კომედიის“ სამივე ნაწილი („ჯოჯოხეთი“, სალხინებელი“ და „სამოთხე“) ვარსკვლავების ხილვით სრულდება. ხოლო ბეატრიჩესთან შეხვედრას შვიდი მნათობისა და საიდუმლო სიბრძნის მცველის გრიფონის (ფრთოსანი ლომის) გამოჩენა უძღვის წინ.

დიახ, „ღვთაებრივი კომედია“ ვარსკვლავური სიმღერაა, ისევე როგორც „ულისე“. განსხვავება ისაა, რომ პირველი, როგორც აღვნიშნეთ, ვენერა ურანიასადმი (წმინდა სიყვარულის ქალღმერთი) აღვლენილი საგალობელია, ხოლო მეორე — ვენერა პანდემოსის, საყოველთაო, სახალხო ქალღმერთის, რომელიც წარმართულ რომსა და ათენში ვნებისა და პროსტიტუციის მფარველად მოიაზრებოდა. ჯოისის რომანის „ულისეს“ პერსონაჟი, მოლი ბლუმი, მართლაც, „სახალხო და საყოველთაო“ ქალღმერთის განსხეულებაა, ამას მისი საყვარლების ნუსხაც ადასტურებს. ვინ აღარ ეტრფის მოლის: ვექილი, ეპისკოპოსი, მენახშირე, რაბინი, ქალაქის ლორდ მერი, ჯარისკაცი, მეზღვაური.... ყველაზე ნიშანდობლივი კი ისაა, რომ „ულისეში“ მისტიკურ მამა-შვილად მოაზრებული სტივენ დედალოსი და ლეოპოლდ ბლუმი ბორდელში ხვდებიან, რაც შემთხვევითი არ უნდა იყოს, რადგან საროსკიპოები ოდითგანვე ვენერა პანდემოსის (იშთარის) „ტაძრებად“ მიიჩნეოდა. ამრიგად, სტივენისა და ლეოპოლდის გზები სწორედ იმ ქალღმერთის სამლოცველოში უნდა გადაიკვეთოს, რომელსაც მწერალმა რომანის დასასრულს („პენელოპეს“ ეპიზოდში) ერთგვარი წარმართული საგალობელი აღუვლინა...

მზის რაინდი

დანტე და ჯოისი თხრობას რამდენიმე სივრცეში აწარმოებენ, რეალურ-ისტორიულში, წარმოსახვითში, ფიზიკურში, სულიერში, ასტრონომიულში, ასტროლოგიურში... ბეატრიჩე სიმბოლურად ქალი მხსნელიცაა (იზიდა), რომელმაც მისი ძმისა და საყვარლის (ოზირისის) 12 ნაწილი უნდა იპოვოს და გაამთლიანოს. „ღვთაებრივი კომედიის“ დასაწყისში, როცა პოეტი მოგზაურობას იწყებს, მზე თხის რქის ზოდიაქოშია, ის თანდათანობით შედის ყველა ნაჭდევში, პოემის ბოლოს კი კვლავ თხის რქას უბრუნდება, ამრიგად, იმ კულიმინაციურ მომენტში, როდესაც მკვდარი ოზირისი (დანტე) უნდა გაცოცხლდეს, მზეს უკვე გავლილი აქვს თორმეტივე ზოდიაქო. „ულისეს“ პერსონაჟი ბლუმი (პაროდიული თვალსაზრისით) რაღაცით ჰგავს „მზის რაინდ“ დანტეს. მისი სახელი ლეოპოლდიც სიმბოლური უნდა იყოს, ლეო ლათინურად ლომია, „ლომი“ კი, როგორც ზოდიაქოს ნიშანი, მზის სახლად მიიჩნევა. ლეოპოლდის (თანამედროვე ულისეს) ხეტიალის დასაწყისსა და დასასრულს ჯოისი ახსენებს ტომპსონის წიგნს „მზის ნაკვალევზე“, რომელიც ბლუმის თაროზე დევს, რაც მკითხველში დანტეს მოგზაურობის პაროდიულ ასოციაციას იწვევს.

ბეატრიჩე კურთხეული სულია, მეცხრეცის ბინადარი, მაგრამ მას შენარჩუნებული აქვს წარმართი ქალღმერთის რეგალიებიც. მის ეტლს შვიდი ვარსკვლავიდან მოსული ნიმფა ახლავს. მარცხნივ სამი უვლის ფერხულს, მარჯვნივ კი — ოთხი...

პლანეტა-ღვთაებების (ვარსკვლავების) თემა „ულისეშიც“ თამაშდება, მეტიც, რომანის პერსონაჟები უწყვეტ ტრანსფორმაციას განიცდიან, ისინი ჩვეულებრივი ადამიანებიც არიან, მითოლოგიური გმირებიც და ღვთაებებიც. რომანის დასასრულს სტივენი და ბლუმი თითქოს ციურ სხეულებად არიან ქცეულები და როგორც ჯოისი ციურიხელი მეგობრის, ფრენკ ბაჯენისადმი მიწერილ ბარათში აღნიშნავდა: „თვითონაც იმ ვარსკვლავებივით მოგზაურობენ, რომლებსაც მისჩერებიან.“

მოლი ბლუმი კი „პენელოპეს“ ეპიზოდში ერთდროულად რამდენიმე ქალღვთაებადაა წარმოჩენილი. ჯოისს ის „ამორალურ კახპად კი არ დაუხატავს,“ როგორც ეს ზოგიერთ მკვლევარს წარმოუდგენია, არამედ, რაგინდ პარადოქსულიც უნდა იყოს, ქალღმერთად, ასე რომ, არც უნდა გაგვიკვირდეს საყვარელთან (ბოილანთან) თანაცხოვრების მიუხედავად, ლეოპოლდ ბლუმი მას მოკრძალებით რომ ექცევა. მოლის ქმარი და 24 საყვარელი ჰყავს (ეს ციფრი, შესაძლოა, სიმბოლურიც კი იყოს, 24 დიადი არსი და 25-ე — უზენაესი). ის რომანის დასასრულს მთვარის ღვთაებაცაა, დიადი დედაც (გეაც) და „რიდეახდილი იზიდაც“. მას თავისუფლად შეუძლია, წარმართული ურცხვობით იამაყოს თავისი საყვარლებით და გაიფიქროს: „15 წლისამ მეტი ვიცოდი კაცებზე და ცხოვრებაზე, ვიდრე მათ 50 წლისას ეცოდინებათ...“

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჯოისისთვის წარმართული მისტერიებით გატაცებას ბედნიერება არ მოუტანია. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ის მტკივნეულად განიცდიდა მხედველობის დაქვეითებასა და ქალიშვილის ფსიქიკურ აშლილობას. მეტიც, მიაჩნდა, რომ რწმენის დაკარგვის გამო იტანჯებოდა. ცოდვიანობის შეგრძნება ძილშიაც არ ასვენებდა. ეს კარგად ჩანს მისის ნათინგისადმი მიწერილ ბარათში, რომელშიც ჯოისი საკუთარ სიზმარს აღწერს და აანალიზებს. სპარსული პავილიონი ოთახებით მას რუსული ბალეტის ნახვის შემდეგ ესიზმრა. ვიღაცას დანაშაული ჩაედინა. უცებ კარი გაიღო ყვავილების ბაღში გასასვლელად. თავადაც იმედოვნებდა, რომ გავიდოდა, მაგრამ ზღურბლს სისხლის წვეთი დაეცა. მსგავსი რამ მოხდა დანარჩენი ორი კარის გაღებისას. მოგვიანებით ჯოისმა ასე ახსნა ეს სიზმარი: „12 ოთახი ზოდიაქოს ნიშნებია (ოზირისის მისტერიის უმთავრესი ატრიბუტის); სამი კარი სამებას აღნიშნავს; კაცი, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა, რაღა თქმა უნდა, მე ვარ...“

სამების წინაშე ჩადენილი ცოდვები — აი, რა აწუხებდა ჯოისს, თუმცა ისინი სიკვდილის წინაც არ მოუნანიებია...



გიორგი ბალახაშვილი

სუსხიან ღამეთა ნუსხაა

სუსხიან ღამეთა ნუსხაა. დიდი, მორიგი და უსაშველო,
სიზმრები წამწამებს უსხედან,
თითქოს ოცნებაზე გავაშვილე.
სიზმრები ოცნებას უხმობენ,
რომელიც შენ უნდა გბადებდეს,
როცა სხვას ვენახი უხმება,
შენ მათრობ და როგორც ადესა,
გვიან მეკიდები და ვიდრე,
ძილამდე ამ სხეულს მივათრევ,
ღამეებს უფალთან ვავედრებ,
მერე კი, როდესაც ინათებს,
ვშორდები სიზმრის და ოცნების,
ვნების და სიგიჟის სათავეს,
სიზმრადვე დავტოვე ლოცვები, სიმშვიდე და სისადავე.
გათავდა სუსხიან ღამეთა ეს ნუსხაც ჩვეული, მორიგი;
გშორდები, გშორდები, რამეთუ,
აპრილმა დღეები მორეკა,
თბილი და ნოტიო, შარშანწინ როგორიც მორეკა, ისეთი.
მინდა, რომ ჰამაკზე გადავწვე,
ვიკითხო ლორკა და მივენდო,
მისეულ სტრიქონებს, გრანადას,
ხერესის სურნელით გალეშილს,
მზე კი საღრუბლეთში გადადის,
ვრჩები პოეზიის გარეშე,
სიზმრები წამწამებს უსხედან,
სიზმრები ოცნებას უხმობენ,
გათეულ ღამეთა ნუსხიდან...

JANE SMITH

შენ ალბათ გინდა მიაშურო რომს ან ვატიკანს,
გქონდეს მცირედი ფლირტის დოზა
მეგონდოლესთან —
ვენეციაში.
გადადე გვერდზე ყველა სახის ნუმიზმატიკა,
არ გამიცივდე, თავს მიხედე, მანდ ხომ ნესტია,
ნესტოს წინაშე.
შენ ალბათ გინდა გადაუღო ფოტო რიკულებს,
ფრთათეთრ თოლიებს, მეთევზეებს,
ძვირფას სასტუმროს,
თან გაქვს Зенит-ი.
მუნჯი ხიდები შენთვის სხვა წყლის რიტორიკაა
ან უწყლოობა. მე ყელში მაქვს ალადასტური,
შენ კი — აბზინდა.
შენ ალბათ გინდა შეეკედლო ვინმე კონსიერჟს —
გადაღლილს ზეპირ მისალმებით თითო ტურისტის
ან სულაც გიდის.
თან, საკუთარი პასპორტი გაქვს, მე კი — დოსიე,
რომელიც მოწმობს, რომ პოეტი ფუტურისტია
და ლექსებს ჰყიდის.
შენ ალბათ გინდა მიაშურო რომს ან ვატიკანს...

ჟუჟუნა
ნაკლებად იუმორისტული ლექსი

ჟუჟუნა წვიმა მოვიდა,
მთელი პანამა დანამა,
მზეზე გავფინე მოვი და
შორტიკები და პანამა.
ჟუჟუნა წვიმა წავიდა,
გადაშრა მთელი პანამა,
ვერ გაიხარა თავიდან
საზამთრომან და ყანამან.
ჟუჟუნა წვიმა მოვიდა,
ჟუჟუნა წვიმა წავიდა,
ჟუჟუნა უცდის ომიდან
წერილს, დეპეშას, კაპიტანს.
ჟუჟუნა, წვიმა მოვიდა,
პანამა გვალვას გადარჩა,
მაგრამ ვაი, რომ ომიდან
არცერთის მოსვლა არა ჩანს.

მეუბნებიან

მეუბნებიან: გივარგი,
ლექსები აღარ გივარგა,
მე კი მათ რიდით ვპასუხობ:
ეს ფაქტი თქვენ ნუ გაწუხებთ!
მეუბნებიან: ფანტავო
აზრებს და როგორც ფანტომი,
დაძვრები მხოლოდ რითმაში,
სიტყვების გიყვარს თამაში.
მეუბნებიან: მოძველდა
კონვენცია და მოგვერდი,
ასეთებს უნდა უკეთო,
ყველა მომხდურს და უკეთურს.
მეუბნებიან: გახუნდა
სიტყვები, მე კი ახუნდი,
წვერზე ვიკიდებ მათ აზრებს,
რაც მათ უთუოდ აბრაზებს.
მეუბნებიან: შეეშვი,
არარა ყრია ლექსებში,
მოგვერდი უნდა უკეთო
ასეთ მომხდურს და უკეთურს!
მეუბნებიან: გივარგი,
ლექსები აღარ გივარგა,
მე კი მათ რიდით ვპასუხობ:
ეს ფაქტი თქვენ ნუ გაწუხებთ!

* * *

ხვალ რომ უჩემოდ გაიღვიძოს ჩემმა ქალაქმა,
მერცხალთა გუნდმა უჩემოდ რომ შეკრას ირაო?
გაგეცინება, იმას ვფიქრობ, ისე არა ვქნა,
გადავირიო!
ხვალ რომ უჩემოდ ჩაიაროს ქურთმა მემაწვნემ
მთელი უბანი ურიკით და „მაწვნის“ ძახილით...
სადაც ჩემი ვთქვა, ერთ-ორ სიტყვას სხვასაც შევაწევ,
თუ გავახილე
თვალები — სავსე, სიცივით და სიცარიელით,
სადაც ვერასდროს თავსდებიან ფლიდნი, მლიქვნელნი
და როგორც უწინ, უწესო და უსაქციელო,
ველარ ვიქნები...
ხვალ რომ უჩემოდ წაიკითხონ ჩემი ლექსები
(მეც ხომ ამგვარად ვკითხულობდი პროსპერ მერიმეს),
ისეც დღენაკლულს, ცივ თებერვალს დავესესხები,
დღეს, რამდენიმეს.
ხვალ რომ უჩემოდ გადავიდეს ჩემივ ქრონიკა,
მაშინ იხილეთ ცრემლნარევი ჩემი ხარხარი,
ისღა დამრჩება, წავიდე და უხმოდ მოვხიკო
ბარგი-ბარხანა...
ხვალ რომ უჩემოდ გაიღვიძოს ჩემმა ქალაქმა?

* * *

დავსხდეთ და ფინჯანი ყავიდან დავიწყოთ
სამყაროს შეცნობა, ღმერთიდან — ნოემდე...
მე ჩემი სიზმრების პასეანსს გაგიწყობ,
დადუმდი, მისმინე, უბრალოდ მომენდე.
ასეთ დროს თამბაქო უხდება საუბარს,
აპრილის უბრალო და გრილი ნიავი,
ჩვენ ვერ დავეწევით მასსას და ზაუბერს,
სიკეთით, სიმორცხვით, სიჩუმით, სიავით,
დაიცა, იქნება ერთხელაც განიხვნას
სამოთხის კარიბჭე ღმერთთან ან უღმერთოდ...
ჩავუსხდეთ მწუხრის პირს ყანწებით საფიხვნოს,
მთვარე კი ზეციდან მოჰგავდეს უწმერთულ,
უჩადრო დედაკაცს, წვრილშვილით დაღლილი,
ნაოჭთა ხაზებით ყვითელს და გაცვეთილს
გულის პირს ებნიოს ლურჯთვალა ღიღილო,
მიწასთან ყოველი კავშირი გაწყვიტე,
რომ გასცდე უთუოდ საზვერეს საზარებს,
რომ იყო ღმერთივით მაღლა და ხმადაბლა...
რომ ზეცის დუმილშიც ისმოდეს ზანზარი,
რომ ნედლი სელებით მოვუსხდეთ ხმელ ტაბლას
და მერე ფინჯანი ყავიდან დავიწყოთ
სამყაროს შეცნობა, ღმერთიდან — ნოემდე...
მე ჩემი სიზმრების პასეანსს გაგიწყობ,
დადუმდი, მისმინე, უბრალოდ მომენდე!

მწვანე კვიცები

რაღაც საოცარი მონდომებით,
მსურს, რომ გონებიდან ამოვშალო
ხანა — ვენეციურ გონდოლების,
მერე ღამეები — ნამრუშალი,
როცა ბაგეებზე მაკოცნინე,
შენ რომ ჩაგაბარე სიმარტოვე,
მახსოვს იუტა და ვისკონსინი,
უფრო იარმორკა და მადათოვი,
მახსოვს ნატეკილარ-ნააგავარ
ხანა აცტეკთა და მეხიკოსი,
რადგან მიწისაგან აღიგავა ფიქრი ტიციანის მიხაკებზე,
მახსოვს ასურეთი, ფინიკია, იქით ვნებაა და ურარტუა,
ჩემში ღვთაებრივი პანიკაა, ჩემში კლიოა და ერატოა,
ჩემში უდროობის სამარეა, სიუბრალოეთა ეპატაჟი,
აქ კი, მოსკოვი და სამარაა,
შორს კი, საუკუნო ერმიტაჟი,
ჩემში ერთი ხმალი აილესა, მქვია ზეციური მეომარი,
მე ვარ ბოგოტა და აირესი, მონტევიდეო და რიო მე ვარ,
რაღაც საოცარი მონდომებით,
მსურს, რომ გონებიდან ამოვშალო
ხანა — ვენეციურ გონდოლების,
მერე ღამეები — ნამრუშალი.

ANGELO’S PORTRAIT

ვწევარ და რაღაც უჩვეულოდ განარინდები,
ვუყურებ ეკრანს — არც თუ მოკლეს. ტელევიზორი
ცხოვრობს კორპუსში და სართულთა ლაბირინთები
თავისში იტევს ქართველს, სომხებს და აისორებს.
თითქმის ყოველდღე ვეგებები მუშა ან უქმე
გამოღვიძებას — მეზობლების და რომ მიდიან
დოინჯით, დინჯად, რომ იშოვონ მორიგი ლუკმა,
ვხვდები, რომ ბინა უმცირესი ანდრომედაა,
სადაც ხერხემლის უნებლიე, ტყუპისცალ ტკივილს,
ნამდვილად ვიცი, შესაძლოა ერქვას დისკოზი...
რომელსაც ფიქრის ხნულებშივე სუსხივით ვტკვირავ
და ვერ გაგიცვლით, ვერასძალით, ჭიქა ვისკიზე —
მებადურს, თუნდ რომ ამომივსოს უბე ღლავებით,
ვერც დიოგენეს, ჩემს კასრზეც რომ ურცხვად მიაფსას,
უბრალოდ ვებრძვი ბურგუნდიულს ნაბეღლავიდან,
ბოთლი — უცილოდ შუშის არის, რადგან პლასტმასი —
ვერ შეინახავს საჭირო დოზით ყველა თვისებას,
ბევრჯერ მინახავს, ღვინო მასში როგორ ობდება...
მე კი ძილისგან გამოცლილი დილით ვივსები
და სიზმრებიდან მომაქვს მხოლოდ წინათგრძნობები,
რომ კარი მუდამ ღია მრჩება, საწოლ ოთახის —
აქ დედაჩემი-შვეიცარი არ ელის ხურდას...
შუშის ციხეებს გადავტიხრავ, თევზის/თახვების
წყალიც და მიწაც — თანაბარი ძალით რომ ხურდეს...
ახლა კი, ვწევარ — უჩვეულოდ განარინდები,
ვუყურებ ეკრანს — არც კი მოკლეს. ტელევიზორი
ცხოვრობს კორპუსში და სართულთა ლაბირინთები
თავისში იტევს ქართველს, სომხებს და აისორებს.

პიესა

ფიროსმანიდან რომ ჩაუხვევ, ქუჩაა ვიწრო —
კონსტიტუციის...
ხშირად ვსეირნობ საღამოხანს: შვიდზე, რვისაკენ;
მოკლედ რომ გითხრათ: ქაოსია, პროსტიტუციაც,
ზის, წვერ-ულვაშიც გაუყვითლდა ძია ისაკას,
თუთუნის წევით.
„ვონცეს, ახბერჯან!“ — მომაძახებს ყველა ნახვაზე,
მეწაღის ჯიხურს რომ ჩავუვლი მდორედ, განივად...
ეზოდან მწარედ იყეფება შავი ნაგაზი,
დღეები მაინც მიდიან და ქარავანივით
აწუხებთ რწევა.
თავდახრით მიყვარს სიარული, ყრმობიდან დამყვა
ეს უცნაური ახირება, როგორც იესოს...
რადგან არსაით გამოჩნდება მოძმე ან დამყვა-
ვებელი, ღმერთო, ერთად დავდგათ ჩემი პიესა!
უძილო პადრე მათამაშე ან კამელოტი...

კატო ჯავახიშვილი

ათი სახლის აქეთ

ბატკნებივით აისხამდა ხოლმე მიწა ფიფქს და მინამ ქარი სახლისკენ წააბზრიალებდა
აქა-იქ, თითო-ოროლად შემორჩენილ ნაყოფს,
ჩამოჯდებოდა მოკაკვული ქალი შეშის ფეჩთან და შეაფიცხებდა მოგონებების
კარალიოკისსუნიან ასხმას,
შორს, ქალაქში, შვილიშვილებისთვის გასაგზავნს.
ტკაცუნებდა შეშა და იბადებოდნენ ბავშვები გაღმა.
ადრე დაიღამებდა დღეს, თითქოს ძაფის გორგალზე დაახვიაო ცხოვრება,
კოჭასავით შეგორდებოდა ლოგინის და სოფლის სიცარიელეში,
ლაჯებში შეუწყობდა გაფიჩხულ ფეხებს კაცს
და ბუზისტოლაზეც აღარ ჩანდა სამყარო.

გამთენიას გამოდიოდა სახლიდან.
ჩამორეკავდა სახურავიდან თოვლს და მხარზე გუგულიან საათს შეისვამდა.
მთელი სოფლის ბაღების გასწვრივ დადგებოდა,
თავზე უზარმაზარი ცილინდრით და შელახული პიჟამას შარვლით.
ყვითელგულა კომშის მაგიერ თოვლი ცვიოდა.
„გუ-გუ“ — იძახდა და მთელი დედამიწის ჩიტები თოვლის კენკვას იწყებდნენ.
იქნებ, გალღვესო ზამთარი, იქნებ, გაიხსნასო გზა.

ათი სახლის იქით ციცინათელასავით ბჟუტავდა რაღაც.
ათი სახლის იქით ჭრაქის შუქზე ჩასძინებოდა მეზობელს.
„რა შორიაო ათი სახლი,
რა შორიაო ათი სახლის იქით ციცინათელა, რა შორიაო თოვლი“, —
იტყოდა და გუგულიან საათს კენწეროების ნამცვრევს მოაცილებდა.
მერე მოჩლაჩულ შარვალს წელის ზომაზე დაიყენებდა,
ვაზნებს იქვე, გაუკვალავში დატოვებდა და ნაფეხურებს გაუყვებოდა.

ამდგარიყო ფეხებგაფიჩხული.
ბოსელს მისდგომოდა და ნაკელი გოდრით გამოედგა.
თუხთუხებდა შეშის ფეჩზე შინდისსუნიანი წყალი.
მაგიდაზე გახამებული სუფრა და სამი თეფში იდო.
ორი მათთვის და ერთიც მეზობლისთვის.
წინა ღამით გამომცხვარი პური და ცოტა ნიგოზიც.
„იქნებ, არ ეშოროსო ათი სახლი, იქნებ გამოყვესო ნაფეხურებს,
იქნებ, არ დაიუბროსო გზა“, — მეზობელმა.

ათი წელი უბრად იდგნენ.
მეზობლის ბიჭს, ათი წლის და ათი სახლის აქეთ, ძილი უძებნია შინდის ხის ძირში.
ამათი გოგო ყოფილაო იქო, შინდს შჭამდა და კურკას სიზმარს ესროდაო, — უთხრეს.
ბუზისტოლად მოსჩანდაო სოფელიო.
ძილი აღარ გახსენებიაო, — უთხრეს, — იმან ძალა იხმარაო.
მაშინ ჯერ კიდევ სავსე ყოფილა ათი სახლიო, — ამბობენ. ჯერ კიდევ ეღვიძაო სოფელს.
ბიჭი გაასახლესო და გოგო თავისით წავიდაო.
ბიჭი სულ წავიდაო, გოგო ქალაქს გათხოვდა და აღარც ჩამოსულაო.
ბიჭის დედა დარდს გადაყვა და ესენი კიდე ათი წლით დაუბრდნენო.
ძნელი დრო მოვიდა და სოფელი დაცარიელდაო, — ამბობენ, —
მარტო ეს ორი სახლი დარჩაო, აქეთ და იქითო.

გათენებულზე გამოვიდა სახლიდან.
სახურავიდან თოვლი არ ჩამოუფერთხავს, ისე გამოვიდა.
გუგულიანი საათი მხარზე შეისვა და შინდის ხის ძირში დადგა.
მატყლი ააფრიალა ქარმა და ათი წლის წინანდელ ნაფეხურებს გადაათოვა.
ჩირის აცმა გავარდნოდა ხელიდან გაფიჩხულფეხებიანს.
„რა ახლოაო ათი სახლი,
რა ახლოაო ათი სახლის იქით ციცინათელა, რა ახლოაო თოვლი“, — ამბობდა.

ათი სახლის იქით მეზობელი ბჟუტავდა.
გუ-გუ! — დაიძახა.
არ უპასუხეს.
„სახლში მკვდარი ცოლი და წინადღით გამომცხვარი პური მაქვსო“, — დაიძახა.
ჰო, კიდევ ცოტა კაკალიცო, გარჩეული.
სამი თეფში დევს მაგიდაზე, ერთი ჩემი მკვდარი ცოლისთვის და ორიც ჩვენთვისო.
კარალიოკის ჩირიცო.
ზამთრის მარაგიც მაქვსო. უვაზნო თოფიცო.
არაყიცო.
ქალაქში შვილიშვილებიცო.
„ნახე, მხარზე გუგულიც მყავსო“, — დაიძახა.

გუ-გუ! — დაიჭექა და გაიყურსა, ჩაჩუმდა ყველაფერი,
თითქოს არც ყოფილაო სიცოცხლე,
თითქოს ბუზისტოლაზე მოსჩანსო გზა,
თითქოს ლოდინისააო ადამიანი,
ერთი ციცინათელას ლოდინის და დუმილისო.

კომბოსტო

მე დავიბადე ფერხორციანი კომბოსტოს შეყვითლებული ფურცლებიდან
ძირგამომპალი სახლის ბნელ სარდაფში,
სადაც ცხოვრობდნენ საჭურისი თეთრთავიანი სიმრგვალეები.
ცხვირის, პირის, სიტყვების და გულის გარეშე
ერთ დიდ საერთო უმზეობას უმკლავდებოდნენ და ჰაერს მხოლოდ
შაბათ-კვირას თუ იკარებდნენ, — ეს მაშინ, როცა უხუცესი სახლის პატრონის
ფაშფაშა ქალი, ცარიელი მენჯის შიგთავსით
ცხვირზე სათვალით და სათვალის უკან ცხოვრებით,
სასთუმალის სიჩუმეების და წლებს შორის ვარდნის გამყოფი
იფხვიერებდა თავის შიმშილს და რიგრიგობით
თეთრთავიანებს ქვაბებისკენ მიაქანებდა.

რა გულუბრყვილო იყო, ღმერთო, ეს დედაჩემი, დედა-კომბოსტო
ფიქრობდა, რომ გულს რაც უფრო გვიან გახსნიდა,
მით უფრო გვიან წავიდოდა ჩემი სხეული
აუღელვებელ, მოთუხთუხე ცხელ სიჩუმეში, —
სულელი გოგო,
დანაკარგებს იხანგრძლივებდა.

და სწორედ მაშინ, როცა უკვე ცოტა რჩებოდა
დრო და მე ბრიყვმა დავიჯერე, რომ დაბადება გადაიდო
ან არ შედგა და გადავურჩი მისი ფურცლების სიგლუვეში აღმოცენებას
და დედაჩემი სხვა ქალებთან ერთად სულ მალე
უბინო და ტანცარიელი გაუდგებოდა
გზას, სადაც კაცი ჩალის ქუდით, ხელში კი დანით
მოსავალს უკვე ასაღებად ეშურებოდა, —
დედაჩემი გადაიხსნა და აშრიალდა.

დილით კი მთელი ოჯახობა თხრიდა მიწისპირს
და თვალახვეულს ბნელ სარდაფში მიმაგორებდა.

მე კი ვიწექი
გვერდებგამომპალ, გლუვ საბანში გადახვეული,
ვიზრდებოდი, ვიბერებოდი.

ის კაცი კი, მამაჩემად წოდებული, დილით უპოვარს გადაუგდეს.
სადილად ალბათ არ ვარგოდა.

ფოთლებში იყო შრიალი, მაგრამ.
ერთ დილითაც, ფაშფაშა ქალმა სარდაფიდან დიდი ლანგრით გამოგვიყვანა.
თეთრთავიანი დედაჩემი და მეც, მის შიგნით.

შეშის ღუმელზე იდგა ქვაბი, რომელიც დულდა,
მაგიდაზე — ქინძი, რეჰანი;
ჩვენს მეზობლად მცხოვრები ხახვი, შავი ულვაშით;
ნიორის კბილი, სუნელები, ტომატის დიდი, თუნუქის ქილა;
რასაც ვხედავდი, რასაც ვგრძნობდი, რასაც ვყნოსავდი.

სულ მალე კი სურნელოვან, ცხელ სიბლანტეში,
კანგაცლილი პომიდორების აურზაურში
ვტივტივებდით ერთად, ორივე.

ქალი ურევდა დიდი ჩამჩით და წინსაფარი სხვადასხვაფრად ეწინწკლებოდა.

მსხმოიარე ატმის ხესავით ყვაოდა შიგნით დედაჩემი.
ქალის ცარიელი მენჯიდან იზრდებოდა შიმშილი.
მატლებდახვეული ნაყოფივით ჭკნებოდა შიგნით დედაჩემი.
ქალის დაღრეცილი სათვალიდან იყურებოდა შიში.

დედაჩემი ფიქრობდა კაცზე, რომელიც კურდღლებმა შეჭამეს.
მე — ხახვის ულვაშზე, რომელმაც გამაცინა.

ერთ კვირაში, ქალი დაწვა და აღარ ადგა.

ის კაცი კი, ჩალის ქუდით და ხელში დანით,
თეთრთავიანებს გადაუგდეს.
სადილად ალბათ არ ვარგოდა.

მცნება

გამცნობ: მე შენ და კიდევ ათასს, ათიათასს და ყველას, ვინც გგავს, ვამცნობ:
ვინც შენ არ გგავს და უნდა გგავდეს, და თვალებს მალავს, როცა მზეა, მათთვის:
გუშინ იმ ქალმა შეიკერა ნაავდრალი ღრუბლისგან კაბა, და ვამცნე:
რომ ღრუბლებს აღარ ვრეცხავ, მხოლოდ ვავლებ,
მხოლოდ ვდუმვარ და დუმილს ძაფივით ვართავ.

გამცნობ, რომ უნდა დაიღალო სიფხიზლისგან და სიხარულსაც გაექცე. გამცნე, —
რომ ერთხელ უნდა ამოივსო თვალები და საკუთარი ჩრდილიდან ადგე
იქ, სადაც სრული სიჩუმეა, — იქ დამუნჯდე. სადაც ძილიც და ღვიძილიც ნაცნობ
ჰორიზონტს ვეღარ სწვდება, ვერ ეწევი ქარის ზეწარს, საშენო ადგილს.

სადმე თუ მაინც გადააწყდი, სადმე თუ მაინც შეამჩნიე ჩიტების ბუდე,
მამცნე, რომ თბილა, რომ თივაა. რომ ლოგინი — სუფთაა და მძიმე,
რომ ოთხად ისე მოვიკეცო, ხელისგულში ჩავტიო ტანი, და ვბედავ,
ვიდრე ეს სიცივე გაცხადდება, ვიდრე ეს ცხოვრება თეთრ სიზმარში მძირავს, —

გამცნო, რომ მიწა აღარ დარჩა, არცერთ ხეში და არცერთ გზაში. არცერთ
სიყვარულს არ გაუცვდა, არ გაუცვდა არც სიკვდილს, და მე მაინც გამცნობ,
რომ ყანა უნდა იყოს ყამირი და სახლი კი სულ ნედლი ფიცრის
და ტბასთან კაცი დადიოდეს და სციოდეს და გულში იგროვებდეს ნაცარს.

გითხრა, რომ ვერსად შეგიყვარე, რადგან ვერსად დავსახლდი და ძილში.
ჭერი გამეპარა ოთახიდან, რომელშიც მთელი წელი განუწყვეტლივ თოვდა.
დაგთმე, და ისე უხერხულად და ისე მოზომილად გიკემსავ მანძილს,
თითქოს გაჩერებულ საათებში შემოპარულ შეხვედრებს ვართობ.

ვითმენ, რომ თოვლი აღარ მოდის, და თეთრი აღარ ვხდები, და მაინც ვითმენ
იმას, რომ უკვე დავლაქავდი, და წურბელებს გადაღლილ მუხლებში ვმალავ,
იმას, რომ წყალზე მივდიოდი, ცეცხლი შემომხვდა და სქელ კედლებს მითბობს,
იმას, რომ ცეცხლი შემომხვდა და წყალი ვერ დავაშრე, იმას, რომ მალე, —

გამცნობ, მე შენ და კიდევ ათასს, ათიათასს და ყველას, ვინც გგავს, ვამბობ:
რომ ყველა მლაშე მდინარე და ყველა შესართავი დაშრება ერთხელ,
მერე გაიხსნება ყველა კარი და ფანჯარა და შენს ტანს — დამბალს —
ყანის განაპირად დაუყრიან შესეულ გულთეთრა მერცხლებს.

გიორგი კაკაბაძე

ნურაფერს ელი, უბრალოდ იმოქმედე!

„დიდად არ მაინტერესებს,
თუ რა არის ცხოვრება,
უბრალოდ, მინდა გავიგო,
როგორ ვიცხოვრო“.
ერნესტ ჰემინგუეი

როდესაც სოხუმის აეროპორტს მივუახლოვდი, დავინახე, რომ იქაურობა ხალხით იყო სავსე. წინა დღით გაგრა დაეცა და მშობლები ცდილობდნენ, ბავშვები სასწრაფოდ გაეყვანათ უსაფრთხო ადგილას. ერთადერთი თვითმფრინავის დაბალ ტრაპთან მდგარმა ჩაძონძილმა ჯარისკაცებმა ჰაერში იზოლაციაშემოხვეული ავტომატები აღმართეს და გაბმულად ისროლეს. ხალხი დაფრთხა. აქეთ-იქით მიაწყდა. თვითმფრინავს მოშორდნენ. ზოგი მიწაზე დაწვა. ბავშვები ატირდნენ. ჯარისკაცები ყველანაირად ცდილობდნენ, როგორმე წესრიგი დაეცვათ და ქყლეტისა და ალიაქოთის გარეშე გაეტარებინათ მხოლოდ მცირეწლოვანი ბავშვები და მათი დედები. დანარჩენებს თვითმფრინავში არ უშვებდნენ. ისინი არც ცდილობდნენ სხვისი ადგილების დასაკუთრებას, უბრალოდ, უზარმაზარი წინააღმდეგობების ფასად, ოჯახები გადასარჩენად მიეყვანათ და ახლა თითქოს რაღაც უხილავი ჯებირის მიღმა მორჩილად იდგნენ. აქ მათი მისია მთავრდებოდა, აქამდე ყველაფერი გააკეთეს და შესაძლებელია უკანასკნელად უყურებდნენ თვითმფრინავის ტრაპთან არეულ რიგში ჩამდგარ შვილებსა თუ შვილიშვილებს. მხოლოდ ერთი ციცქნა იმედი რჩებოდათ, რომელიც თხილის ნაჭუჭშიც დაეტეოდა.

როდესაც თვითმფრინავის სამგზავრო ადგილები მთლიანად შეივსო, ქალებმა კალთაში სხვისი შვილებიც ჩაისვეს და კიდევ რამდენიმე ადგილი გაათავისუფლეს, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა — მგზავრების რაოდენობა გაცილებით მეტი იყო. შემდეგ ერთმანეთი შეავიწროვეს და ცენტრალური დერეფანი დაიკავეს, მაგრამ მდგომარეობას ვერც ამან უშველა. ხალხი ახლა თვითმფრინავთან მიდგმულ ტრაპზე იდგა, თითქოს, გადაჭედილი ტროლეიბუსის მსგავსად, კიბეზე ჩამოკიდებულებს შეეძლოთ ემგზავრათ. თვითმფრინავი უფრო მოზრდილი რომ ყოფილიყო, ან ყოველდღე ეფრინა, ალბათ, ასეთი სასოწარკვეთა არ იქნებოდა, მაგრამ ეს მოძველებული, მგონი, „იაკ-40“ გახლდათ, რომელიც იმ დროს უკვე სამ-ოთხ დღეში, ან შესაძლებელია, კიდევ უფრო იშვიათად დაფრინავდა. მაშინ ვიღაცამ წამოიძახა: ქალებიც ჩამოვიდნენ და მხოლოდ ბავშვები დავტოვოთო. წარმოიდგინეთ პატარა ბავშვების მდგომარეობა, როდესაც დედამიწაზე ყველაზე ძვირფასი არსება — დედა — იძულებულია, გამოემშვიდობოს და საკუთარი თავის ანაბარა დატოვოს სრულიად უცნობ და მტრულ გარემოში. განშორებისა და გამომშვიდობების სცენა იმდენად დრამატული იყო, რომ მისი აღწერა მიჭირს. ქალები მოთქვამდნენ. ბავშვები ტიროდნენ. დედებს პაწია ხელებს არ უშვებდნენ. გულზე ეკვროდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, ბავშვებით დატვირთული თვითმფრინავი ასაფრენ ბილიკზე გავიდა, გაქანდა და ჰაერში მძიმედ აითრია წელი, ჯერ არაბუნებრივად გადაიხარა მარჯვნივ, შემდეგ — მარცხნივ. ქალები აკივლდნენ. მიწაზე დარჩენილებს გვეგონა, რომ ჩამოვარდებოდა, მაგრამ ბოლოს, თითქოს უკანასკნელი ძალა მოიკრიბაო, ნელ-ნელა გასწორდა და ტაატით გადაუარა ხეების კენწეროებს. უფროსები არ დაშლილან. კიდევ დიდხანს იდგნენ და სადღაც, სივრცეში განწირული ადამიანის დაკარგული მზერით, მისჩერებოდნენ იმ მიმართულებას, საითაც მათი შვილები გაუჩინარდნენ.

ეს საშინელი განშორების სცენა თითქოს მიმავიწყდა, მაგრამ მთელი თავისი სიმძაფრით დამიბრუნდა, როდესაც ირაკლი კაკაბაძის მოთხრობა: „გამოსვლის წიგნი“ წავიკითხე.

ეს გახლავთ ავტობიოგრაფიული ამბავი ერთ პატარა ბიჭზე, რომელიც აფხაზეთის იმ პატარა სოფელში ცხოვრობს, დღე-დღეზე მტერმა რომ უნდა დაიკავოს. მის გაუბედურებულ მეზობლებზე, ბებია-ბაბუაზე, რომლებიც შვილიშვილის გადასარჩენად იბრძვიან, და იმ ფსიქოლოგიურ განწყობაზე, რომელიც მხოლოდ ასეთი უიშვიათესი გარემოებების დროს იქმნება. ეს მოთხრობა ერთ-ერთი უჩვეულოა მათ შორის, რომელიც ოდესმე წამიკითხავს, და მიმაჩნია, რომ ჩვენს წინაშეა მწერალი, რომელსაც ქართულ ლიტერატურაში განსაკუთრებული ხედვა შემოაქვს. გამორჩეული ხასიათებითა და ვრცელი, დრამატული ისტორიით დახატულ ათეულობით პერსონაჟს საკუთარი სახელები არ გააჩნიათ და ეს მკითხველს (გამოგიტყდებით, მკვლევარსაც, რადგანაც მთელი წერილის მანძილზე იძულებული ვარ, მისათითებლად ნაცვალსახელები გამოვიყენო) განსაკუთრებულ მდგომარეობაში აყენებს. ამგვარი ეფექტით მწერალი ააქტიურებს მკითხველის უნარს, არამხოლოდ მძაფრად აღიქვას ლიტერატურული ნაწარმოები, არამედ, აიძულებს მას, რომ უშუალო მონაწილეობა მიიღოს მხატვრული კომუნიკაციის პროცესში; ხოლო თავად მოთხრობა ისტორიის სინთეზის ინსტრუმენტადაა გადაქცეული, რომელიც მომავალ თაობებს წინაპრების შეტყობინებას გადასცემს. ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო საკითხია, თუ სად გადის მოთხრობაში ზღვარი ისტორიულ სიზუსტესა და ესთეტიკურ აღქმას შორის?!

ირაკლი კაკაბაძემ თავისი შინაგანი ხმა მოთხრობად გადააქცია, ხოლო მისი პატარა გმირი მთელი თაობის ფსიქოლოგიურ პორტრეტად. მასში დიდი ემოციური სითბოთია მოყოლილი დაუსჯელი ძალადობის, მოზღვავებული ბოროტებისა და დამთრგუნველი განწირულობის ატმოსფერო — ტრაგიკული სიფხიზლე დიადი განსაცდელის მოლოდინში, ზოგადად, ადამიანის ბრძოლა გარემოებებთან, საკუთარ თავთან და გარემოცვასთან. ავტორი არ შემოიფარგლება მხოლოდ საშინელი ყოფის, მორალური საფუძვლების დეგრადაციისა და ძალადობის სცენების აღწერით. მოთხრობა გაცილებით უფრო ვრცელ პრობლემებს მოიცავს. მასში დახატულია არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ სულიერი განადგურების პირას მისული სამყარო და პერსონაჟები, რომლებმაც დანამდვილებით არც კი იციან, რა უფრო სწრაფად დადგება — ხვალინდელი დღე თუ მარადიული ცხოვრება.

არაჩვეულებრივად შერჩეული „შინაგანი მონოლოგის“ ფორმა საავტორო თხრობას ანაცვლებს და გმირის გაძლიერებული აღქმის უშუალო გზამკვლევი ხდება შეგრძნებებისა და განცდების სამყაროში. ყველაფერი აუჩქარებლადაა მოყოლილი, მაგრამ ზუსტად იმ მოზომილი ფრაზებით, რომლებიც აუცილებელი და სრულებით საკმარისია მომავალი დრამის განსაცდელად და მთლიანი სურათის აღსაქმელად. მთხრობელი გვიჩვენებს, თუ რამხელა მხატვრულ სიმაღლეს შეიძლება, მიაღწიო მხოლოდ დეტალების უშეცდომო განლაგებით. ნაწარმოებში ამის დახმარებითაა შენარჩუნებული მინიმალიზმი, და შეკუმშულობა. ამავდროულად, ავტორი რაღაცის მნიშვნელობას სწორედ მისი გამოტოვებით აღწევს და გვაგრძნობინებს, რომ მონაყოლის ქსოვილში დამალული აზრია.

გარდაუვალი განსაცდელის წინაშე პირისპირ დარჩენილი ადამიანი და მისი პრობლემების უნივერსალურობა — ეს სწორედ ის კამერტონია, რომლის ხმაზეც მთელი მოთხრობაა აწყობილი.

როგორი განცდაა, როდესაც შენმა სამშობლომ, რომლის სიყვარულისადმი მიძღვნილი პათეტიკური ლექსებითაც სკოლებში გზრდიდნენ, მთვრალი გენერალივით ზურგი გაქცია? სამყარო, რომელშიც ყველა პოლიტიკური დანაპირები გაცვეთილი ოინია? სივრცე, რომელშიც დარღვეულია წონასწორობა, გამქრალია წესრიგი, ზნეობა, იმედი და რწმენა?! სადაც სამართლიანობის ძიება არასწორია, რადგან რაც ამ კონკრეტულ დროსა და ადგილას ხდება — შენი რეალობაა, ხოლო ის, რასაც ფიქრობდი, რომ უნდა მომხდარიყო — შენივე ილუზია. ასეთ დროს სამყაროს მიმართ კი არ უნდა გვქონდეს იმედგაცრუება, არამედ საკუთარი ფასეულობების მიმართ. კატასტროფას ჩვენი ფასეულობების სისტემა განიცდის და არა — სამყარო.

ავტორი გვიხატავს სურათს, თუ როგორი საშინელებაა, დარჩე ადამიანად იმ სამყაროში, რომელშიც ადამიანები აღარ არსებობენ, ან ადამიანობაზე უარს ამბობენ. სადაც ღალატობენ, ძალადობენ, ძარცვავენ, ხოცავენ, ადამიანის მოჭრილი თავებით ფეხბურთს თამაშობენ. სამყარო, სადაც იცვლება ღირებულებები, იმსხვრევა ყველა ილუზია და რთული ხდება პიროვნების საქციელის ნამდვილი მოტივების გამოცნობა. სადაც ყველაზე სერიოზული გამოცდა ადამიანის რელიგიურ გრძნობებს ელოდება, რადგანაც ხვდები, რომ მდოგვის მარცვლისოდენა რწმენასაც აღარ შეუძლია სასწაულის მოხდენა. სამყარო, სადაც გამეფებულია უნდობლობა და დამდგარია ნიჰილიზმის ეპოქა, იმიტომ, რომ განათლებამ ვერ უზრუნველყო მშვიდობა, ხოლო სულიერებამ ვერავინ გადაარჩინა. უმაღლესი ფასეულობები შესაძლებელია, ისევე დაიხოცონ, როგორც თავად ადამიანები, რადგანაც ექსტრემალურ სიტუაციაში ადამიანი სრულიად ახალ, აქამდე უცნობ და ზოგჯერ ძალიან სასტიკ ბუნებას ავლენს. მართალია, ეს ყველაფერი ისტორიისთვის მხოლოდ ეპიზოდია, რომელიც არა გლობალურად, არამედ ერთ პატარა, მიყრუებულ სოფელში ხდება, მაგრამ განა ამის გამო ვინმე შვებას გრძნობს? ეს ხომ იმ კონკრეტულ დროსა და სივრცეში მოყოლილი ადამიანების პირადი ჯოჯოხეთია, მათი პერსონალური აპოკალიფსი?!

ირაკლი კაკაბაძე თავის მოთხრობაში ძალიან რთულ ფილოსოფიურ შეკითხვებს სვამს: როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, რომელიც სამყაროს გულგრილობას ეჯახება? როცა სიმართლის ძიება უშედეგოა, ხოლო დაღუპვა — გარდაუვალი?

ასეთ შეკითხვებს ლიტერატურა სხვადასხვა დროს განსხვავებულ პასუხებს სცემდა. ერთ-ერთი გახლავთ გმირის დაღუპვა, რადგანაც, ზოგიერთი ავტორის აზრით, ცხოვრება მშვენიერი რომ იყოს, იგი ტრაგიკულად უნდა დასრულდეს. სხვები — გაჭირვებისა და დამცირების მოთმენისკენ (ანუ ბედისწერასთან შერიგებისკენ) მოუწოდებდნენ. და არსებობს კიდევ ერთი გამოსავალი, კლასიკური „Deus ex machina“, როდესაც სიტუაცია თითქოს თავისით, ჯადოსნურად იცვლება, ან გმირებს რაღაც მოულოდნელი ძალა გადაარჩენს.

მაგრამ ირაკლი კაკაბაძე არც ერთ მოდელს არ იყენებს. საინტერესოა, რა ამოძრავებთ მის პერსონაჟებს ასეთ სიტუაციაში? რა აზრი აქვს წინააღმდეგობის გაწევას? რატომ ცდილობენ გარდაცვლილების დამარხვას, სხვების დახმარებასა და ბავშვის გადარჩენას?

ადამიანები ჩვენს თვალწინაც იხოცებიან და გვტოვებენ. ოდესმე ამ ხვედრს ჩვენც გავიზიარებთ და ეს შესანიშნავად ვიცით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ხომ ვახერხებთ საკუთარ თავში იმ სიმტკიცის პოვნას, რომელიც სიცოცხლის გაგრძელებაში გვეხმარება? მუდმივად შიშში ცხოვრება, გაჭირვების, დამცირებისა და შეურაცხყოფის ატანა მხოლოდ გახანგრძლივებული თვითმკვლელობაა და სუსტი ადამიანის ფილოსოფია გახლავთ. გმირი არაა ის, ვინც მუდმივად ითმენს, იტანს და განსაცდელს ზურგს აქცევს, არამედ ის, ვინც შექმნილ სიტუაციას აფასებს და მას მთელი ძალით ეწინააღმდეგება. უთანასწორო ბრძოლის გაგრძელება გარდაუვალ ბედისწერასთან დაპირისპირება, დაუმორჩილებლობას, მისი უხილავი ბორკილებისგან გათავისუფლებასა და საკუთარი ღირსების დაბრუნებას ნიშნავს. ირაკლი კაკაბაძისთვის ადამიანის დიდება დაცემის დროს მჟღავნდება. ეს ადამიანური სიძლიერის ყველაზე დიდი გამოხატულებაა და ამიტომაც ავტორი გაფაციცებით დაეძებს პიროვნების ამ ამოუწურავ რესურსებს თავის პერსონაჟებში. მთავარია, რომ ადამიანმა ნებისმიერ შემთხვევაში შეინარჩუნოს ადამიანური ღირსებები. გამოსავალი, რომელსაც ის გვთავაზობს, ძალიან მოკლედ ასე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ: თუკი უმიზეზოდ იჩაგრები, რაიმე გაწუხებს და უკმაყოფილო ხარ, ნურაფერს ელი და ნურაფერს ითხოვ. ადექი და იმოქმედე!

რატომ?

თუნდაც იმიტომ, რომ მომავალში ამის შესახებ მოყვე.

ეს წიგნი რეალურ მასალას ეყრდნობა და ცხოვრებისეულ სიმართლეს გვასწავლის, ცხოვრება კი ძალიან მკაცრად სჯის უვიცებსა და გულუბრყვილოებს, და სანამ ისეთ ტექსტს არ წაიკითხავ, რომელიც შეგაძრწუნებს — ქვეყანაში არაფერი შეიცვლება.

მე მაინტერესებს მწერალი, რომელიც იდეის მასწავლებელია, ხოლო მკითხველი — მისი ერთგული მოწაფე. ირაკლი კაკაბაძე მხოლოდ ომის საშინელებებს არ აღწერს, იგი მისი თვითმხილველია, სამუდამოდ ომით დაღდასმული თაობის წარმომადგენელი და ამიტომაცაა, რომ ომგამოვლილი მწერლები გაცილებით უფრო მკაცრი დამრიგებლები არიან.

რა მოხდება, ეს მოთხრობა სკოლებში რომ ვასწავლოთ? არა ოდესმე, არამედ დღესვე. რადგან სანამ მტერთან თანამშრომლობით სარგებელს ვნახავთ, სანამ სამშობლოს სიყვარული მხოლოდ საპროგრამო გრძნობა იქნება, ხოლო ეკლესია — იდეოლოგიური ფასეულობების პროპაგანდისტი, მანამდე დავრჩებით დამსხვრეული ილუზიების წინაშე განწირული ადამიანების დაცარიელებული და დაკარგული მზერით.

ნინა სამხარაძე

გადაჭრილი ხე

გადაჭრილ ხეზე ვინც მჯდარა, იცის,
რომ არაფერი არ გვარდება ერთხელ გადაჭრით,
მანამდე თუნდაც გაზომო ასჯერ.
ღამით ყველაფერს ორმაგად ამჩნევ,
სხვენში მორბენალ ვირთხების ტანგოს,
წვეთების კაკუნს ფანჯრის მინაზე,
და მთავარია, არავინ გნახოს,
ჩაცმული როგორ წევხარ დივანთან.
იესოს ლოცვებს ფსკვნილის ნაცვლად
მარგალიტის მძივზე ითვლი და
რა საჭიროა ვეღარ ხვდები ამდენი გარჯა.
აქ არ დადიან მატარებლები,
რელსებზე ძაღლებს სძინავთ.
ყინვაში უნდა ინატრო,
რომ დაგიფაროს ყინვამ.
ერთხელ გადაჭრილ ხიდან მიათრევს
ასჯერ გაზომილ ბუდეს ფრინველი
და თითქოს სჯერა, რომ მიატანს გაზაფხულამდე.
სამყარო მინდა გაუზომავ-უკაცრიელი,
საკუთარ ლოკვამ ტკივილები რომ დამიამოს.
ხის თეთრ რაფაზე შემომიწყო კვერცხები ჩიტმა,
და სანამ ჩაი ორთქლად იქცა დამდნარ ქურაზე,
მეზობლის ბავშვის ტირის თოფის უმიზნო რისხვამ
შემოაწირა დედა ჩიტი დამპალ ლულას და
ჩემი ცხოვრებაც თვალებს ზუსტად ისე ლულავდა,
ჩემი ცხოვრება ზამთრის ერთი დიდი სიმკაცრე,
ჩემი ცხოვრება ჩემ წინ იწვა და
მე ვიწვოდი მის წინაშე.

შველა

ყველას უნდა შველა:
მატარებლის მძღოლს,
იმ შავი ძაღლის პატრონს
და ხესთან რომ შარდავს, იმ კაცსაც...
ჩემს სხვენში ბინა ვირთხამ დაიდო
ისევ, და შველა უნდა იმასაც.
მე დღეს ჩიტები არ დავაპურე,
ქარია-მეთქი.
ქარია-მეთქი, გესმით?
და მერე მე რომ შველა დამჭირდა,
და მერე მე რომ მოვლა დამჭირდა
მე გავუკეთე ჩემს სხეულს ნემსი.
შველა ყველას უნდა.
ისევ გაწვიმდა.
არწივებს მიაქვთ თავისი წილი
ლეში სხვენიდან.
მე მკვდარ ჩიტებზე პურის მარცვლებს
ვაწყობ და მტრედებს
ვეპატიჟები მათ სანაცვლოდ,
იქნებ დავმშვიდდე.
შველა ყველას უნდა,
იმ ქერა ქალსაც აფთიაქის გრძელი რიგიდან,
შაქარდაცემულს რომ დამიდგა წინ და უსიტყვოდ,
უსიტყვოდ მომკლა,
იმ შავ მამაკაცს, გზაჯვარედინზე უნაგირიდან
დედის გინებით რომ წავიდა,
ყველას გზის მოჭრით.
მეც მინდა შველა,
მაგრამ არა, მჭირდება უფრო.
იმ ავტორების ვერ გავიგე, მატარებლებს რომ
უგდებენ ქალებს,
როცა ჩემ სხეულს ყოველ ღამე რელსებზე ვუწყობ
იმ იმედით, რომ ვინმე მნახავს
სიკვდილზე ადრე.

ხვალ ჩემს ფანჯრებთან აღარ მოვლენ
ალბათ ჩიტები,
და მზად ვარ, ღმერთო, მოვისმინო ეგ აღსარება.
როგორ გაისმის ნააბორტალ
ბავშვთა არია,
მე ვადასტურებ ათ მცნებაზე
მეტჯერ შეცდენით,
რომ ჩემი ყველა აღსარება
შემზარავია.

შენ არ გინახავს გაქცეული
შენიდან ღმერთი,
ვით დაგლეჯილი კლავიშები
სხვენში როიალს,
მაშასადამე, ცხოვრებაში
იმდენჯერ შეცდი,
რომ ვაშლის გარდა ყველა ხილი
ცუდი გგონია.

ხო, მე მინახავს
როგორ გლოვობს ნასეტყვარს გლეხი,
როგორ ელიან სამძიმარზე
მკვდრები მნახველებს,
ასე შემზიზღდა კანონი და
სულ ყველა წესი,
ის ჩემი თავიც, კუთხეში რომ
ცრემლებს ახველებს.

აალება

ახლა ძლიერ მინდა აალება,
ანდა გაქვავება ყინულივით,
მგელიც ვიყავი და სახარებაც,
ავი ეშმაკიც და ქერუბიმიც.

რადგან თვეც მე მერგო ნაკიანი,
ცივი, ნაზამთრალი, უალერსო,
ასე ვერ დაგვტოვებს ნაკლიანებს,
სუნთქვა სიკვდილზეა უარესი.

ასე ვერ დაგვტოვებს უიმედოდ,
ასე ვერ დაგვტოვებს უსახლკაროდ,
ასე ვერ დავტოვებთ ცას და მიწას,
ღმერთიც აღარ დარჩა მოსაკლავი.
ღმერთიც აღარ დარჩა საიმედო,
მხეცთან მიგდებული მომთაბარე
წუხელ სიკვდილისთვის გავიმეტე...

ზოგჯერ გზა არ არის აღმართები,
ზოგჯერ სახლი ჰქვია ნასახლარებს,
და მე ცხოვრებასთან დამარცხებით
სულ სხვა ცხოვრებასაც დავამთავრებ.

ღმერთიც კაცია და უიმედო,
მხოლოდ ჩვენ გვერჩიან ნაკლიანებს,
ახლა ისე ძლიერ დავიღალე —
ყელში ამოსული სახარებით
სულ სხვა ცხოვრებასაც დავამთავრებ,
სულ სხვა ცხოვრებასაც დავამთავრებ
სულ სხვა ცხოვრებასაც დავამთავრებ...

ლირიკა

ვხედავ როგორ უვლი ლერწამს,
ლეწავს ქარი როცა ტოტებს,
მუხის ცრემლების კი მე მწამს,
ყველა რომ მიდის და ტოვებს,
წვიმა შეეხიზნა მთა-ბარს,
მიწა ტკივილისგან ფეთქავს,
ფიქრი მე არ ვიცი სხვათა,
ახლა მთავარია მე მწამს!
ახლა მთავარია, მეცვას
მარტი დედასავით მყუდრო,
მერე მე ვიქნები მესა,
შენ კი ათეისტი მგზავრი —
ხარბად შემოაღებ კარებს
ხელში თამბაქო და ჩილით.
ისევ შეიბრალებ ლერწამს,
ფიჭვის სურნელია გარეთ,
ახლა რაც არ უნდა მეცვას,
მთელი სხეულით რომ მწამდეს
(მუხის ცრემლიანი ურდო),
აღარც შენ იქნები მგზავრი,
აღარც მე ვიქნები მყუდრო.

* * *

შენ თუ გინახავს, როგორ გლოვობს
ნასეტყვარს გლეხი,
როგორ ელიან სამძიმარზე
მკვდრები მნახველებს,
შეგეზიზღება ყველა კანონი
და ყველა წესი,
ის შენი თავიც, კუთხეში რომ
ცრემლებს ახველებს.

როგორ უცდიან მებადურებს
მხდალი თევზები,

ყველა გადაწერილ პირჯვარს გეფიცები

ყველა გადაწერილ პირჯვარს გეფიცები,
ჩემი ღმერთის ხორცი პურის მარცვლებშია —
ახლა ფანჯრის წინ რომ ღრღნიან შოშიები.
ჩემი ღმერთის სისხლი — ყანწის სასმისივით —
უბნის ლოთებს ადევთ ტუჩთან მოშიებით.
ხოლო სახარების მე ვარ განმარტება —
ყველა მოუნათლავ ბავშვად შევიცანი,
მიუტევები ხარ ფუჭი აღსარებით,
რადგან ყველა ცოდვა ჩემი შენიც არი.
ყველა გადაწერილ პირჯვარს გეფიცები,
ახლა ჩემი წყალი შარის მეძავივით
ნამად ფოთლებზეა, მზეებს ეფიცხება,
ახლა ჩემი ხორცი — ცხენის უნაგირი —
მიწებს შემოივლის როგორც ბედისწერა.
რადგან ჩემი ძვლები შენი ჭიშკარია,
ყველა ჩემი სუნთქვა შენში შევიკარი,
უპატიები ხარ, რადგან დამიჯერე,
რადგან ყველა ცოდვა ჩემი შენიც არი.

ყველა გადაწერილ პირჯვარს გეფიცები,
ჩემი ღმერთის ხორცი პურის მარცვლებშია —
ახლა ფანჯრის წინ რომ ღრღნიან შოშიები...

შავი წერტილები

ერთ დილას, მეზობლის მამალი რომ ყიოდა და
ტელევიზორის დაპატარავებული ეკრანი მიყურებდა,
გადავიწერე პირჯვარი არც ისე სწორად და მივხვდი, რომ
ღმერთი ჩემი ანთებული სანთლით არ თბება,
ღმერთი ჩემი შეწირული ოცი თეთრით არ იმოსება
და არ პურდება.
ამიტომ გადავწყვიტე, ის მენახა და საჩუქრად ჩემი
მწეველი კაცის თითებივით ყვითელი ბავშვობა წამეღო.
არ შემდგარ პაემანთან
ხეები დაელმდნენ
სულ სხვა გრძნობაა, ღმერთი რომ არ მოდის
(ისიც კაცია და უიმედო...).
იმ საღამოს
მეზობელ ალკოჰოლიკს
ოთხი ლარი ვაჩუქე (ღმერთი თუ არსებობს,
მასთან აუცილებლად მივა),
შეუძლებელია ხალხისთვის „ლოთ მახოს“ ჩემთვის კი
მახო ძიას თავი აარიდო, თუ ხეებივით
არ დაელმდი უღმერთობაზე,
ღმერთები კი არ ელმდებიან.
იმ ღამეს არ მეძინა.
საკუთარმა ბავშვობამ ურწმუნო ხელებით დამახრჩო.
იმ ღამეს მახო გარდაიცვალა,
როცა პატარა და ასოციალური ვიყავი,
მახო ერთადერთი იყო, ვისთანაც ვსაუბრობდი,
ის პირველი იყო, ვინც მითხრა,
რომ ბუს თავი 360 გრადუსით ბრუნავს.
როცა ეზოს კარს უკან ვტიროდი, მახომ ნაყინი მიყიდა და
მითხრა, რომ ბავშვები სულელები არიან და
მათ არ უნდა მოვუსმინო.
იმ დღისით გულზე ხელები დავიწყე,
ჭერზე გაჩენილ შავ ლაქას დავაკვირდი
(სადაც თავისუფლად დაეტეოდა ღმერთი,
იუდა და ეშმაკი ერთად).
იმ დღეს საკუთარმა
ბოტკინისფერმა ბავშვობამ გამომიტირა.
მე მაფიქრებდა მახოს თავთან
ნახევრად სავსე „ვინსთონის“ კოლოფი,
რომელიც ჩემი ორი რკინის ორლარიანით იყიდა,
მასთან არ მისულ ღმერთზე მეტად —
მასთან არ მისული ხალხი მადარდებდა.
ჩვენ შავი წერტილები ვართ
და ბუს თავი 360 გრადუსით ბრუნავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ რითიმე შეუძლია ქართველს ეგზისტენციურ ძრწოლა-წნეხს გაუძლოს, სასო არ წარიკვეთოს (სასოწარმკვეთი კი ირგვლივ ბევრი რამაა — გლობალურიცა და ლოკალურიც), მსოფლიო პროცესების პერიფერიაზე როდი, მის გულის-გულში იგრძნოს თავი, ეს ქართულ პოლიფონიასა და „როკვით განფენილ ქართულ გენიასთან“ (გრიგოლ რობაქიძე) ერთად, უპირველესად, ქართულ მხატვრულ სიტყვაზეც ითქმის — ერის სულიერების, მისი იდენტობის უპირველეს ნიშატზე, დახვეწილზე, ზნეობრივზე, კულტურულზე, ინტელექტუალურზე, საუკუნეთა (თუ ათასწლეულთა არა) მანძილებსა და ბურუსს გამოღწეულზე; გურამ ასათიანის მოხდენილი განსაზღვრებით — საღვთოს საერო ტრანსკრიფციაზე.

ქართველი მკითხველი დასაბამიდანვეა განებივრებული უმაღლესი სინჯის მხატვრული ტექსტებით — ლიტერატურის ჩვენამდე მოღწეული პირველივე ძეგლით დაწყებული, ვიდრე მწერლობის საუკეთესო თანამედროვე ნიმუშებამდე — ეს 2018 წლის 23 ოქტომბერს ითქვა ზაალ სადგილას გამართულ ზაალის საღამოს, რომელსაც თვითონვე უძღვებოდა, ოღონდ ლაპარაკობდა არა საკუთარ თავზე, არამედ — ლიტერატურულ პროცესებზე. ძლივს მოვიპოვეთ უფლება, რომ მასზეც გვეთქვა რამე. ზაალი საუკეთესო მთხრობელია, მაგრამ დღეს გადავწყვიტეთ, თვითონ რამდენიმე მინიატურის წაკითხვით შემოიფარგლოს, მასზე კი პროფესიონალმა კრიტიკოსებმა ისაუბრონ.

როცა დაარსდა ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება და ლიტერატურული საღამოების გამართვა დაიწყო თბილისში, პირველი იყო კოტე ჯანდიერისა — 1995 წლის 10 ოქტომბერს, და მეორე — შეხვედრა ზაალ სამადაშვილთან — 24 ოქტომბერს. დღეს 23 ოქტომბერია და ამდენი წლის შემდეგ კვლავ გვიწევს მწერალთან შეხვედრა. ამ ხნის მანძილზე ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებასაც მრავალი რამ გადახდა თავს — სასიხარულოც და დრამატულიც — და ზაალსაც. რაც ქვეყანაში მოხდა, ყველაფერი აისახა მის თავზე. ასე რომ, ამ მძაფრი, მღელვარე მოვლენების შუაგულში ტრიალებდა და ტრიალებს.



ნინო ვახანია

ფაიფურივით მყიფე, ალმასივით მედეგი



მადაშვილის ორი წიგნის („60" და „კალამს მიდევნებით დაწერილი“) განხილვაზე, რომელიც ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების მიერ გაიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მარო მაყაშვილის დარბაზში.

შეხვედრას როსტომ ჩხეიძე უძღვებოდა. დღევანდელ მწერლობაში თუ ვინმეს ემარჯვება მცირე ჟანრი, ერთი მათგანი ზაალ სამადაშვილია — ასე დაიწყო ბატონმა როსტომმა საუბარი და განაგრძო:

— მცირე პროზა დასაწერად ურთულესია. თუმცა ვრცელ პროზასაც თავისი სირთულეები აქვს. ზუსტად ვერც კი განსაზღვრავ, რომელ ჟანრს მიეკუთვნება ბატონი ზაალის „კალამს მიდევნებით დაწერილი“ თხზულებანი. თომას მანი ამბობდა, რაც მეტად ჭირს ჟანრის განსაზღვრა, მით უკეთესიო. თომას მანმა კი ლიტერატურა ჩვენზე ნაკლებად არ იცოდა.

ეს ჩანაწერები არის ნოველებიც, მემუარული ყაიდის თხზულებებიც, შთაბეჭდილებებიც ახალწაკითხულ წიგნებზე, ბავშვობის მოგონებებიც... ზაალი არის ერთი ყველაზე განათლებული მწერალი ჩვენს დღევანდელობაში. ამის აღნიშვნა არც უნდა გვჭირდებოდეს, მწერლის სახელი თავისთავად უნდა გულისხმობდეს განათლებულობას, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს უფრო მეტს ჰქვია მწერალი, ვიდრე იმათ, ვინც ამ სახელს იმსახურებს. ზაალი კი ყველაფერს ადევნებს თვალს არამარტო ჩვენთან, არამედ დასავლეთშიც. აინტერესებს, როგორ მოერგება ჩვენი ლიტერატურა დასავლურ პროცესებს. ჩვენ ვართ დასავლეთის ნაწილი, ოღონდ ვალდებულნი ვართ, რომ ეს გავაცნობიეროთ და შევიდეთ იმ წრეში და იმათაც დაგვინახონ ეს რეალობა.

თვითონ ზაალის შემოქმედება არის იმ რანგისა, რომ როცა დასავლეთს წარვუდგებით, იქ ეს ნოველები და მინიატურებიც დაგვჭირდება და დაგვჭირდება ზაალის კრიტიკული ალღოც, ლიტერატურული გემოვნებაც.

რამდენჯერმე დავესწარი სხვადასხვა ვიდრე მოხსენებისთვის სიტყვას ნანა კუციას გადასცემდა, წამყვანმა ავტორს სთხოვა რამდენიმე მინიატურის წაკითხვა. ბატონ ზაალს თავმდაბლობის გამო ცოტა კი მოერიდა ხმამაღლა საკუთარი ნაწერების კითხვა, მაგრამ თავი იმით გაიმხნევა, რომ ნებისმიერი მსახიობის, კარგი მსახიობის მიერ წაკითხულ ტექსტს ყოველთვის ჯობს ავტორის მიერ წაკითხული. მას სულ სხვა მადლი და გემო აქვს. ჩანაწერების კითხვა მეც ძალიან მიყვარს და ბევრ მკითხველს. ოღონდ მიმაჩნია, რომ სანამ ჩანაწერებს გააკეთებდეს მწერალი, მანამ რამე უნდა ჰქონდეს დაწერილი, მარტო ჩანაწერები ვერ იქნება საინტერესოო, — თქვა და მშვენივრად წაიკითხა პატარა ჩანაწერი, რომელიც მთელი წიგნის კონცეფციადაც შეიძლება მივიჩნიოთ.

* * *

მომხსენებელმა, კრიტიკოსმა ნანა კუციამ გამოსვლა სწორედ იმ სიტყვებით დაიწყო, რომლებიც ჩვენი რეპორტაჟის შესავალში მოვიხმეთ. მისი სრული საუბრის მოკლე ვერსია კი ასეთი გახლავთ:

ზაალ სამადაშვილის მოთხრობების კრებული („სამოცი“) საუკეთესოთა შორისაც, ალბათ, გამორჩეულია. ეს არის ტექსტები, როგორსაც დაწერდა, ალბათ, ავთანდილის ტიპის ქართველი — ერთდროულად ზემგრძნობიარე და რაციონალური, ნატიფი და მკაცრი, ვისაც მიმადლებია „გული გონიერი“, ვისიც „გული, გრძნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდია“, ვინც იცის თავისი ქვეყნის, თავისი ლიტერატურის, საერთოდ, „ქვეყნის“ (ანუ მსოფლიოს) და საერთოდ ლიტერატურის ისტორიაც და მეტაფიზიკური ქარაგმებიც, იცის, რომ დიდი ლიტერატურა მხოლოდ მოვარვარე გულითა და ცივი გონებით იქმნება და იგივე ოქსიმორონი ესაძირკვლება მხატვრული სიტყვის უკვდავებას.

ამ ტექსტებში „შინ“ ხარ, თითქოს — ხატების კუთხესთან, მშვიდი, აუმღვრეველი, დაცული, სადაც და როდესაც უნდა ხდებოდეს მოქმედება — ბორხესის არგენტინაში თუ აკუტაგავას იაპონიაში, ჩეხოვის რუსეთში თუ ფოლკნერის ამერიკაში, ჯოისის ირლანდიაში თუ ვარგას ლიოსას პერუში, ფელინის იტალიაში თუ ინანიშვილის საქართველოში. ზემოხსენებულ დიდ ხელოვანთა ტექსტებისა თუ კადრების ალუზია-რემინისცენციები ხშირია ზაალ სამადაშვილის დახვეწილ ნარატივში — ყოველთვის უზუსტესად მორგებული ტექსტს, კონტექსტს, ქვეტექსტს.

იუველირის მოთმინებითა და პასუხისმგებლობით დაწახნაგებული ამბები, ბრილიანტებივით პაწია, მაგრამ ბრილიანტებივით ძვირფასი (ხან მინიატურის, ხან ნოველის, ხან ესკიზის, ხან მოთხრობის, ხან მაქსიმას საფანელში გამოხვეული), სამუდამოდ რჩება გულსა და გონებაში მკითხველისა, რომელიც, ამ ნატიფი ნახევარტონებით, პასტელური მონასმებით ინსპირირებული, თვითონვე აწყობს უმშვენიერეს ლიტერატურულ „ფაზლს“ — საკუთარ გულსა და გონებაში გამოტარებულს.

ეს მასის ბელეტრისტიკა არ არის, რაფინირებული საკითხავია. ამ ტექსტების იდუმალ სივრცეებში — 80-იანების, 90-იანების, 2000-იანების კატასტროფების წინათმგრძნობ თუ ახდენის ამრეკლავ ამბებში ისეთ „ყუჩ სინათლეებსა“ და „წყნარ სახატეებს“ აღმოგაჩენინებს მწერალი, ბედნიერი და გულდაწყვეტილი ხურავ წიგნს და გრძნობ დიდი ლიტერატურის განმწმენდ ენერგეტიკას, იაზრებ მთავარს — არ (და ვერ) ირჩევ სიცოცხლის ხანგრძლივობას, ჟამსა და ლოკალს, მაგრამ ირჩევ სიცოცხლის ხარისხს: თუ ბუხარი ბორხესს გახსენებს (არამხოლოდ სიტყვის აკუსტიკით), ქუჩის მუსიკოსების მელოდიაში სფეროთა მუსიკა გესმის, გამურული შუშა კი არ გბოღმავს და გაღიზიანებს, მასში ალს ხედავ, ლამაზს და უმწეოს, თოლიების დაპურება არ გეზარება და გეთაკილება, არც ატატებული კნუტით სიარული... ეს უმაღლესი სინჯის ლიტერატურაა.

ვერცერთი ლიტერატურული კონოტაციით, ლიტერატურათმცოდნეობითი ტერმინით ვერ აღადგენ ამ (ერთდროულად) ფაიფურივით მყიფე და ალმასივით მედეგი ტექსტების მხატვრულ ქსოვილს ლიტერატურულ რეცენზიებში, ვერც აქაური პერსონაჟების დახვეწილ (ან დაუხვეწავ, მაგრამ დაუვიწყარ) მანერებს, პერსონაჟებისა, ხან რეალური, ხან წარმოსახულ ადამიანთა, ხანაც — ლიტერატურულ პერსონაჟთა ანარეკლად რომ აღიქმებიან.

კრებულში უამრავი მოთხრობაა, რომელთა სათაურებშიც გატანილია ყოვლად პროზაული სახელზმნა — „წასვლა“ („წიგნების გასაყიდად წასვლა“, „ფეხბურთის საყურებლად წასვლა“, ფეხსაცმელების საყიდლად წასვლა“, „ის მივიწყებული ქალაქგარეთ წახეტიალება“ („წასვლის“ ინვარიანტი)...). ბანალური „წასვლა“ რუტინული ჩვევის (თუ ჩვევის რუტინის) სივრცეებს სცდება და ტრაგიზმის უმაღლეს რეგისტრს აღწევს... ეს სულის მარადი გზაა, საყვარელი (თუ არცთუ ძალიან) მისამართები, ინიციაციური პორტალები, სადაც სული ხან იყუჟება, ხან იწრთობა, ხან ნებდება, ხან იმარჯვებს, მაგრამ რაც რეცენზიაში ასეთი ყალბი, მკვეთრი ზმნებით ფიქსირდება, ზაალ სამადაშვილთან — დახვეწილ ინტელექტუალთან — „სადაა“. ულამაზეს ნოველა-მოთხრობა-ესკიზ-მინიატურათა სათაურებიც პარადიგმებია ზაალ სამადაშვილთან, თითქოს მინიატურისავ ანასხლეტები.

„რომ დავით კლდიაშვილი არა, დაუხატავი დარჩებოდა მშვენიერზე მშვენიერი კაროჟნაო“, უბის წიგნაკში ჩაუწერია გალაკტიონს. მხოლოდ დიდი მწერლების თვალი აღიქვამს „განწირულთა“ სასოწარმკვეთ მშვენიერებას და უკვდავებას ანიჭებს ტექსტში. რამდენი ასეთი განწირულის სულისკვეთებას ირეკლავს ზაალ სამადაშვილის ყუჩი ტექსტები...

ჟამის ჟამიანობის სხვა პაროლიც მრავლადაა წიგნში... ზაალ სამადაშვილი კი მარტო კარგი კი არა, დიდებული მთხრობელია.

ნეორეალისტური იტალიური ფილმებივით გულისმომწყვლელია ამ ტექსტების ანტურაჟიც, ფერიც, ქსოვილიც. წარმავალობის, „კვლავ ვერაფრით ამის ვერნახვის“ (ესმა ონიანი) მსუბუქ სევდასთან ერთად წიგნს იმედი მსჭვალავს. მისი უდიდებულესობა ლიტერატურა თავისას იტყვის — მანუგეშებელს, გამაძლიერებელს, მარადიულს, დროთა კავშირის აღმდგენს...

წიგნს მიძღვნა უძღვის — „სალომესა და ანასო“, პირველივე მოთხრობა კი ასე იწყება: „იცით, როგორი პაპა მყავდა?!“

სულ ესაა ყოფიერების წამიერი სივრცეც — პაპიდან შვილიშვილამდე და პირუკუ — ხსოვნა, მეხსიერება, ყოფიერების ენიგმურობის, ფიზიკურის მეტაფიზიკურობის განაზრება... და განაზრება მთავრისა: „ვცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია მისი გრძელი“ — ყველაფრის, ყველა სიძნელის მიუხედავად.

„ბავშვობისდროინდელი, დღევანდელთან შედარებით სამჯერ პატარა თბილისის“ ამბებს ისე ჰყვება ზაალ სამადაშვილი, როგორც ჯოისი დუბლინისას, ან მოდიანო პარიზისას...

ეს დიდებული წიგნი რექვიემი არაა.

ზაალ სამადაშვილმა იცის, რომ ყველაზე „სწორხაზოვანი სიზმრებიც“ გამოღვიძებით მთავრდება. მერე რა, რომ სოფელი მოსწრაფებით ირღვევა — ადამიანს სწყალობებია მადლი, მოსწრაფებით რღვევადი სოფლის ალიაქოთში მარადისობის სიმყუდროვე მოინატროს, დრტვინვისას გული არ გაიქვავოს და ძალიან უბრალოდ თქვას: „შინ ვზივარ უკვე! ლეკვი ფეხებთან მიწევს. ვილაც უხილავს ვეკამათები: ვერ მოგართვი! როგორც არ უნდა გამიჭირდეს, რანაირადაც არ უნდა გავღიზიანდე, ბრაზიან სტრიქონებს ვერ ეღირსები ჩემგან. ხომ ვარ სენტიმენტალური? ეგ რა არის — უფრო სენტიმენტალური გავხდები...“

„სენტიმენტალური“ ანუ გულით მოაზროვნე, მოაზროვნეთაგან უკეთესი.

ყოველი ლიტერატურათმცოდნე ამ მშვენიერი წიგნის რეცენზირებისას იგრძნობს საფრთხეს — „ინტერპრეტაცია ყველაფერს კიჩად აქცევს“. რეცენზენტი, ალბათ, მხოლოდ გიდია — მშვენიერი სამყაროს კარამდე რომ მიუძღვება ბედნიერ, „მისალოც“ მკითხველს, წინასწარვე დარწმუნებული, რომ მისეული ინტერპრეტაციაც განწირულია, იქცეს კიჩად.

ინტერპრეტაცია, რა თქმა უნდა, კიჩია...

რა თქმა უნდა, კიჩია რეცენზიაც...

„მხოლოდ სული გრძნობს, თუ ვითარი (სძღვნეს) მას შვება“ ზაალ სამადაშვილის უნატიფესმა, უჭკვიანესმა მოთხრობებმა...

* * *

ნანა კუციასგან კარგ, ჩინებულ მოხსენებებს მიჩვეულნი ვართ, მაგრამ ახლა საკუთარ თავსაც გადააჭარბაო — ასე შეაფასა როსტომ ჩხეიძემ ეს გამოსვლა და სიტყვა მეორე მომხსენებელს, კრიტიკოს მარინე ტურავას გადასცა, რითაც ერთგვარად უხერხულობაც კი შეუქმნა ორატორს, მაგრამ ბატონმა როსტომმა ზუსტად იცოდა (ჩვენც, რა თქმა უნდა), რომ მარინე თამასას არ დასწევდა, თავისებურად შეავსებდა და გაამრავალფეროვნებდა ნანას საუბარს, რაშიც მალევე დავრწმუნდით. ვიდრე მათი გამოსვლები სრულად დაიბეჭდებოდეს, აქ მარინე ტურავას სიტყვის მოკლე ჩანაწერსაც შემოგთავაზებთ:

„ინტელექტის“ მიერ გამოცემულმა ახალმა სერიამ, რომელსაც „ჩანაწერები“ ჰქვია და მის ფარგლებში გამოცემულმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოთარ ჭილაძის, ბაჩანა ბრეგვაძის, ოთარ ჩხეიძის, სიმონ ჩიქოვანის, ვახტანგ ჭელიძის, ესმა ონიანის, ლევან ბრეგაძის, ტარიელ ჭანტურიას, ვახტანგ ჯავახაძის, იოსებ ჭუმბურიძის უბის წიგნაკებმა ჩვენი ყურადღება მიაპყრო ამ ჟანრს. რეალურად ნებისმიერი ასეთი ჩანაწერი მწერლის შემოქმედებაა, მისი ნაწილია, უბრალოდ ერთია, ეს ნაწერი ხან ჰგავს ნაცნობ მწერალს, ხანაც არა.

ჩანაწერები ის ჟანრია, რომელიც საქართველოში მაინცდამაინც დიდი ინტერესით არასდროს სარგებლობდა, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ გულახდილობა აკლდა, მეორეც, სიღრმის, ერუდიციის, მახვილგონიერების, სისხარტის გამო. მხოლოდ რამდენიმე გამონაკლისი არსებობდა. ზაალ სამადაშვილის „კალამს მიდევნებით დაწერილი," რომელიც „ინტელექტმა" 2016 წელს გამოსცა, ჩემი აზრით, სწორედ მწერლის შემოქმედების, მისი ლიტერატურული ნააზრევის გაგრძელებაა და ვფიქრობ, ძალიან ჰგავს ნაცნობ მწერალს. ამ ჩანაწერებში ავტორი უკვე დოკუმენტურად, ნონ ფიქშენის მოშველიებით, ამბობს სათქმელს, ახლებურად ან ძველებურად პასუხობს კითხვებზე.

იმთავითვე უნდა აღვნიშნო, რომ ამ ნაწერებში არსად არის აპლომბი, საკუთარი თავის მოწონების, გაკეკლუცებისა თუ პოზირების მცდელობაც კი. პირიქით, სამადაშვილის ბავშვობისა თუ ყრმობის, მთელი ცხოვრების ამბები მისთვის რეფლექსიის, განსჯის, განზოგადების საფუძველია. მწერლის პროზა არ არის რთული, თუმცა მთელ მის შემოქმედებაში, მათ შორის ჩანაწერებშიც, კარგად ჩანს ღრმა, გამუდმებითი რეფლექსია, თვითჩხრეკა, თვითანალიზი, რაც ასე აკლია ქართველ კაცს ზოგადად და არ არის ორგანული ქართული ლიტერატურისთვისაც. ზაალ სამადაშვილს აქვს უნარი, ურთულეს პრობლემებზე მარტივად და გასაგებად ისაუბროს, ეს კი მწერლისთვის ძალიან მნიშვნელოვანი უნარია.

„კალამს მიდევნებით დაწერილი" მოცულობით დიდი წიგნი არ არის, თუმცა იგი მრავალფეროვანია თემატურად, აქ შეხვდებით მემუარულ, კრიტიკულ-ესთეტიკურ, ლიტერატურულ, ფილოსოფიურ ჩანაწერებს. გულწრფელი, მართალი, მოაზროვნე ავტორი პირველივე ჩანაწერებიდან იმსახურებს მკითხველის ნდობას. რაც მთავარია, წიგნი სიამოვნებას განიჭებს, გატკბობს ლიტერატურით. „ყოფის აუტანელი სიმსუბუქის" გაძლებაშიც გეხმარება.

დავიწყოთ მემუარულით, რაც მწერლის ოჯახს, მის პირად ცხოვრებას შეეხება. უპირველესად, ამ თვალსაზრისით, ბიძა რეზო ინანიშვილი შემოაბიჯებს წიგნში, ბიძაზე მეტი რომაა სამადაშვილისთვის და ერთგვარი ჩიჩერონეს, ლიტერატურული გიდის, მეგზურის ფუნქციას ასრულებს. ვადემეკუმია, რამაც, გარკვეულწილად, განსაზღვრა კიდეც ავტორის ინტერესები ადრეული ბავშვობიდანვე.

ძალუმად შემოდის უკვე გარდაცვლილი მამის სახე, კუკიის სასაფლაოდან მომავალი მამა-შვილის დამოკიდებულება, სიყვარული დიდხანს მიყვება მკითხველს. ნინოშვილის ქუჩაზე, ოროთახიან ბინაში მცხოვრები ოჯახი დიდი სიყვარულით დახატა მწერალმა. *„შეძლებულები არც ჩვენ ვიყავით, მაგრამ სხვა ხელმოკლეთაგან განსხვავებით, მთელი ძალღონით ვებრძოდით, არ ვეპუებოდით სიღარიბეს".*

თბილისური საპარიკმახეროს, კედლის ღუმელის, ძველი თბილისის უბნის ბაზრების, ივლიტა ბებოს გამომცხვარი ხაჭაპურების, მეწაღე გოგია ბუჩუკურის, შეძლებულთა ხილის — გარგარის, კინოთეატრ „კოსმოსის", ღარიბული დღესასწაულების ამბები ბელეტრისტული აქცენტებითაც გამოირჩევა და საინტერესო თხრობითაც, ამგვარი ბავშვობის ერთგვარი აბსტრაქტია ერთი პატარა ჩანაწერი, უფრო მინიატურა — *„ჩემს დამოკიდებულებას ქონებისადმი მცირედით, მაგრამ მაინც, ძველი ფრანცისკელი ბერებისას ვამსგავსებ. მიუხედავად იმისა, რომ სახლიცა მაქვს, კარიც და რიგიანადაც ვიკვებები, გულისგულში უქონლობისკენ მივილტვი. მაშინ, როცა ძალიან მიჭირდა და ლუკმაპურის მოსაპოვებლად მძიმე ფიზიკურ შრომას ვეწეოდი, მზერას ვუსწორებდი, თამამად ვუყურებდი თვალებში ღატაკებსა და უპოვრებს."*

მემუარული თემის რეზიუმედ კი ჩანაწერი — „ვალიდა ღრუბელაშვილი" გამოდგება. მწერლის მამიდაშვილი *„მოვიდა ხელდამშვენებული, ცელოფნის ფერადი, ნახატებიანი პარკიდან ამოალაგა ორლიტრიანი ქილით თაფლი, ნაჭრის ტოპრაკით ნიგოზი და ტილოს ხელსახოცში გახვეული ჩურჩხელები",* ვიდრე ასეთი მომკითხველები გვეყოლება, ქართული ოჯახის ტრადიციაც უკვდავია.

მეორე და უსათუოდ ყველაზე დიდი თემა არის ლიტერატურული ჩანაწერები, სადაც კრიტიკულ-ესთეტიკურსა და კულტურულსაც გავაერთიანებდი. ლიტერატურის, ზოგადად წიგნის, სიყვარულიც ადრეული ბავშვობიდან დაიწყო. აქ მწერლის ახალი ლიტერატურული ჩიჩერონეები იკვეთებიან — ბორხესი, აკუტაგავა ჩეხოვი, სერვანტესი, ფოლკნერი, მარკესი, ჰემინგუეი, ჯოისი, თუმცა ყველაზე დიდი გავლენა მასზე მაინც ქართველებმა მოახდინეს — *„თხრობას თქვენგან (დიმიტრი ერისთავს მიმართავს), რეზო ინანიშვილისა და ოთარ იოსელიანისგან ვსწავლობდი და დღესაც ვსწავლობ."*

ამავე ჩანაწერში არის ძალიან საინტერესო შტრიხი დიმიტრი ერისთავზე, რომელმაც *„სულ ცოტა ხნის წინ ტელეჟურნალისტს უთხრა: ღრუბელს ვერ ვხატავ, არ გამომდის და როცა დასახატი მაქვს, სანდროს ვთხოვ, ჩემს შვილს, დამეხმაროსო."* უნდა ითქვას ისიც, რომ ადამიანების ერთი შტრიხით, მონასმით დახატვის უნარი აქაც გადმოყოლია მწერალს და არც ეს არის პატარა ამბავი.

ჩანაწერში „მეორადობა" ვკითხულობთ: *„მიყვარს ის მწერლები, ვინც საკუთარ შეხედულებებზე, პირად გამოცდილებაზე დაფუძნებულ მხატვრულ რეალობას ქმნიან. როგორც უნდა მოიწადინო, განიცადო ის, რაც ოდესღაც სხვამ განიცადა, სასურველ შედეგს ვერ მიაღწევ... შენი პერსონაჟები უნდა გყავდეს — შენი ცოდნიდან, შენი ვნებიდან აღმოცენებულები, დაქსელილები შენი სისხლძარღვებით და თითოეული მათგანის მკერდში შენი გული უნდა ფეთქავდეს."*

ჩანაწერების ნაწილში თვითონ ზაალ სამადაშვილი გვევლინება ლიტერატურულ გიდად, „ვადემეკუმად", არაერთ საინტერესო და იშვიათ წიგნს გვისახელებს, არაერთი მწერალზე გვთავაზობს კრიტიკულ მოსაზრებას: მაგალითად, თავის მოგვარე ანა კორძაია-სამადაშვილზე, რომელსაც კარგ მთხრობელს უწოდებს. აღტაცებასაც არასდროს მალავს: *„კიდევ ერთხელ გულდასმით წავიკითხე სელმა ლაგერლიოფის „გულწითელა" — თქმულება პატარა, ნაცრისფერ ჩიტზე, რომელსაც სამყაროს შემოქმედის მიერ შერქმეული სახელის შესაბამისად, ძალიან უნდოდა მკერდი წითელი ბუმბულით ჰქონოდა დაფარული და ეს სურვილი აუხდა მას შემდეგ, რაც ჯვარზე გაკრულ მაცხოვარს გასისხლიანებული ეკალი ამოაძრო შუბლიდან პაწია ნისკარტით."*

„ჩემთვის წიგნში დაბეჭდილ სიტყვას უფრო დიდი დამაჯერებლობა ჰქონდა, ვიდრე რეალობას" — წერს ავტორი. სწორედ ამით არის გამოწვეული ის ფაქტიც, რომ მხატვრული ტექსტების წერის სურვილიც ორმა ეპიზოდმა აღუძრა ორი დიდებული მწერლის — ერნესტ ჰემინგუეისა და ტომას ვულფის — ცხოვრებიდან, რომლებიც მათ მიერვეა აღწერილი. არაერთი ჩანაწერი მწერლის საყვარელ ფილმებსა და მუსიკას ეძღვნება.

„ერთი ჯგუფი ადამიანებისა ცხოვრობს და თან წერს, მეორე ჯგუფი კი ცხოვრობს იმისთვის, რომ წეროს. მე პირველების სიაში ვწერივარ" — ესეც სამადაშვილია. წიგნის ავტორმა მართლა იცის ცხოვრება და იცის წერა ცხოვრებაზე. ამ „დილის კაცმა" ბევრი რამ გვიამბო თავის თავზე, გვიამბო, რომ დილას შეუძლია ყველაზე კარგად კითხვაც და წერაც, რომ მაქსიმალისტია საკუთარი თავისა და სხვების მიმართაც, რომ ამის გამო სულ რამდენიმე ნამდვილი მეგობარი შერჩა. „მარტოკაციც" არის ყველა ნამდვილი მწერალივით, განმარტოებული, თავის თავსა და სათქმელში ჩაღრმავებული.

* * *

არა ვარ განებივრებული ასეთი გარჩევებით, შეფასებებითო — აღიარა ბატონმა ზაალმა. სიტყვებს ვერ პოულობდა აღფრთოვანების გამოსახატავად. სასიამოვნო აღელვება აშკარად დაეტყო და, ვფიქრობ, ეს იყო ყველაზე დიდი და გულწრფელი სამადლობელი იმ ადამიანების მიმართ, რომელთაც, როგორც თვითონ თქვა, წაიკითხეს და გაიგეს მწერლის ისეთი შეფარული გრძნობები, ისეთი დეტალები, რომლებიც სხვას ვერ უნდა ამოეკითხა, მაგრამ ყველა დარწმუნდა, რომ თურმე ამის აღმოჩენაც ყოფილა შესაძლებელი.

— ზოგი მწერალი ცხოვრობს იმისთვის, რომ მოყვეს, მე არ ვცხოვრობ ასე, — განაგრძო ბატონმა ზაალმა, — მე ვცხოვრობ და როცა დრო მრჩება, მაშინ ვწერ, ცხოვრებას მოაქვს სათქმელი. დილის კაცი ვარ. დილით მირჩევნია წერაც, კითხვაც და წერაც მაშინ მინდა, როცა რამე მაქვს სათქმელი. მეორად მწერლებს იმათ

ვეძახი, რომლებიც სხვისი გრძნობებით წერენ. პოპულარულია მათი ნაწერები, მაგრამ მათი არ არის...

მერე ბატონმა ზაალმა კიდევ რამდენიმე მინიატურა წაგვიკითხა.

ეგრეთ წოდებულ პოპულარულ მეორად მწერლებს კი ბატონმა როსტომმა სეზონის ფალავნები უწოდა. მათი ბედი მაინც ის არის, დრო რომ გავა, გაქრებიან, რაც ნამდვილია, მხოლოდ ის დარჩებაო, — დაასკვნა.

შემდეგ ახალგაზრდა მკვლევარს, სოხუმის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, მარიამ ჩხაიძეს ვუსმენდით. მან საინტერესოდ ისაუბრა ზაალ სამადაშვილის რამდენიმე მინიატურის შესახებ:

„ერთი ჯგუფი ადამიანებისა ცხოვრობს და თან წერს. მეორე ჯგუფი კი ცხოვრობს იმისათვის, რომ წეროს, მე პირველების სიაში ვწერივარ" — წერს ავტორი და ამ ფრაზით თითქოს გვამზადებს, რომ „კალამს მიდევნებით დაწერილი" ყოველი ფრაზა ჩვენთვის საგულისხმო იქნება, რადგან წიგნის პერსონაჟები „საკუთარი ცოდნიდან, ვნებებიდან აღმოცენებული" ჰყავს, დაქსელილები საკუთარი სისხლძარღვებით და მათ მკერდში აძგერებული ავტორის გულით.

მოწყალების გაღების მნიშვნელობაზე ბევრ მწერალს უსაუბრია/დაუწერია, თუმცა ამ წიგნში აღწერილი ისტორია სრულიად გამორჩეულია და რამდენადმე „ამხელს" ავტორის „მე"-ს, რომელიც სიკეთის კეთების წყურვილითაა აღსავსე — „მარტო სიბრალული არ მიმყვება საბურთალოს ხაზისაკენ მიმავალს. პატივისცემითაც ვიმსჭვალები მოწყალების მთხოვნელის მიმართ, რადგან პატარა ადამიანისთვის „ყველაფრის კეთებაში", როცა სხვა გამოსავალი აღარ გრჩება — ხელის გაწვდენაც შედის", ან კიდევ — „გულისგულში უქონლობისკენ მივილტვი. მაშინ როცა ძალიან მიჭირდა და ლუკმა-პურის მოსაპოვებლად მძიმე ფიზიკურ შრომას ვეწეოდი, მზერას ვუსწორებდი, თამამად ვუყურებდი თვალებში ღატაკებსა და უპოვრებს." — ამ ფრაზების კითხვისას გამახსენდა არქიმანდრიტ ეპიფანეს სიტყვები: „ჩვენ მოწყალენი უნდა ვიყოთ, რათა ჩვენც ვიქნეთ შეწყალებულნი."

მწერალს საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული ადამიანის თავისუფლების შესახებაც — *„თავისუფალია ის ადამიანი, ვისთვისაც მოვალეობის შესრულება დამღლელი, რუტინული საქმიანობა კი არა, სიცოცხლის არსებობის მარილია".*

დაბოლოს, ვინც ამ წიგნს წაიკითხავს, ყველას თავისი ზაალ სამადაშვილი ეყოლება, ჩემთვის მისი წიგნის დასასრული ცხოვრების კრედო გახდა:

მაქსიმალისტი გახლავართ, თავს ძალიან ბევრს ვთხოვ და როგორც ჩანს, დაახლოებით იმდენივეს მოვითხოვ სხვებისგანაც. ეს გახლავთ მიზეზი იმისა, რომ მეგობრების ჩამოსათვლელად ერთი ხელის თითებიც კი მყოფნის. არ ვნანობ იმ ადამიანების ჩამოცილებას, ვისაც მეგობრებს ვუწოდებდი, მე ჩემი გზა მაქვს გასავლელი და ამ გზაზე ისინი ვერ ივლიდნენ. ზოგმა სცადა და არ გამოუვიდა, ზოგს არც უცდია.

მიხეილ ანთაძემ მოიგონა:

80-იანი წლების მიწურულს მე, სრულიად ახალგაზრდა, აღმოვჩნდი ახალდაარსებული ალმანახის — „სათავე" — სარედაქციო კოლეგიაში. ამ ალმანახიდან ისეთი სახელები შეემატა ჩვენს ლიტერატურას, რომ ახლა ძალიან მეამაყება. მათ შორის იყო ზაალ სამადაშვილიც, ზურაბ სამადაშვილიც, ლაშა იმედაშვილიც, ქეთი ნიჟარაძეც, კოტე ჯანდიერიც. მე კინოსტუდიის მთავარი რედაქტორის ოჯახში გავიზარდე და მწერლებს ბავშვობიდან ვიცნობდი. მათ შორის რევაზ ინანიშვილსაც, ძია რეზოს. უნივერსიტეტში რომ ვსწავლობდი, მაშინ გავიგე, ძია რეზო ფანქრით წერდა თურმე, რათა ზოგი სიტყვა წაეშალა და საუკეთესო მოეძებნა. მაშინ მივხდი, რას ნიშნავს, რომ მწერალი ხატავს... რომანს ფანქრით და საშლელით ვერ დაწერ, მცირე ფორმის ჟანრისთვის კი ყველაზე კეთილსინდისიერი დამოკიდებულებაა მწერლისა ნაწარმოებთან. ზაალმა გავლენა კი არ განიცადა თავისი საამაყო ბიძის, ძია რეზოსი, არამედ მისგან ისწავლა წერა. მერე კი თავისას წერს. მასაც ფანქრითა და საშლელითა აქვს ნასწავლი წერა და ეს ოსტატობა მის ნაწერებში კარგად ჩანს.

როსტომმა გაიხსენა, რეზო ინანიშვილი ფანქარს ორივე ბოლოს უთლიდა და რომ ჰკითხეს, ასე რატომ აკეთებო, უპასუხნია, ერთით სიკეთეზე ვწერ და მეორეთი ბოროტებაზეო.

ზაალ სამადაშვილი: რეზო ინანიშვილის ყველა წიგნშია შესული ციკლი „სამაგიდო რვეულებიდან". თურმე ნუ იტყვი, მართლა არსებულა ეს სამაგიდო რვეულები. ეს იყო ვეებერთელა, ძველი ფოტოალბომების სისქის თორმეტი რვეული. მათგან ძალიან მცირე ნაწილია წიგნებში შესული. უმრავლესობა გამოუქვეყნებელია. არავის განიკითხავს, იშვიათად გამოხატავს გულისტკივილს, წერს, რომ გული ატკინეს, იმასაც ინიციალებით.

როსტომ ჩხეიძე: როცა მქონდა გაზეთი „ჩვენი მწერლობა", ქალბატონმა როზამ, მისმა მეუღლემ, მომიტანა ეს დღიურები, ერთი დიდი რვეული მომიტანა. ისეთი პორტრეტებია დახატული ჩვენი მწერლებისა, სახელი და გვარი არ არის ნახსენები, მაგრამ წაიკითხავ და ადვილად იცნობ. აწყობილი მქონდა დასაბეჭდად, რომ ქალბატონმა როზამ უარი მითხრა, მე ამ ხალხს ვერიდები, მათ ოჯახებს ვერიდებიო. ჩემ თავზე ავიღებდი სიამოვნებით, მზად ვიყავი, მეთქვა, რომ წასაკითხად მომიტანეს და მე თვითნებურად გამოვაქვეყნე, მაგრამ ქალბატონი როზა არ დამეთანხმა და ასე დარჩა გამოუქვეყნებელი ის ნაწერები. „სამაგიდო რვეულები" უნდა გამოიცეს იმ სახით, როგორც რევაზ ინანიშვილმა დატოვა ყოველგვარი რედაქციული ჩარევის გარეშე. სხვათა შორის, ხატავდა კიდეც კარგად და ამ მხრივაც უნდა იყოს დაფასებული.

ბატონმა ზაალმა დასასრულს კიდევ რამდენიმე ჩანაწერი წაგვიკითხა. მოხიბლული მსმენელი კი ჩუმად, გულში ეთანხმებოდა ორივე მომხსენებელს, რომელთაც ფრანკფურტის წიგნის ფესტივალის საამაყო დღეები და მასთან დაკავშირებული ბევრი სასიამოვნო ფაქტი ახსენეს, მაგრამ სინანულით აღნიშნეს, რომ სირცხვილია, გყავდეს ისეთი მწერალი, როგორიც ზაალ სამადაშვილია და მსოფლიოს დაუმალო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწერალი

ივა ფეზუაშვილი

ივა ფეზუაშვილთან ინტერვიუში, როგორც იტყვიან, „სტილი დაცულია“: „ფლოუს“ კაცი ვარო — და მართლა ისე წერს, რომ სანამ არ ჩაამთავრებ, ვერ ამოისუნთქავ, ვერ შეაჩერებ თხრობის დინებას, ვერ გადადებ წიგნს. და კითხვებზეც ასე მპასუხობს — დინამიკურად, ენერგიით, სხაპასხუპით და საინტერესოდ. მოკლედ, სათქმელი ბევრი აქვს, ფიქრი უყვარს და სხვა რა უნდა ახალგაზრდა მწერალს, რომელმაც, როგორც ავტორმა, მოასწრო ორი წიგნის გამოცემა, ლიტერატურული ჯილდოს მიღება, ლიტერატორთა ყურადღების მიპყრობა, მკითხველის შემოკრება, როგორც რეჟისორმა კი — მხატვრული და დოკუმენტური ფილმების, პოპულარული სატელევიზიო სერიალების გადაღება, არაერთ სცენარზე მუშაობა, კინოსამყაროში თავისი ხელწერის შექმნა და მიუხედავად ამისა, რომ ჯერ ახალგაზრდაა და უკვე წარმატებული, მაინც ამბობს — ზარმაცი მწერალი ვარო.

პროფესიით მხატვრული კინოს რეჟისორია. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი 2011-ში დაამთავრა და მალევე სტუდენტურ ლიტერატურულ კონკურს „შემოდგომის ლეგენდის“ გამარჯვებული გახდა მოთხრობით „ალჩუ“. იმავე მოთხრობის მიხედვით გადაიღო მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ბაბაზი“. 2012-დან მისი მოთხრობები ლიტერატურულ პერიოდიკაში იბეჭდება. მას მერე ძალიან ბევრი რამ მოხდა და ბევრი აქვს მოსაყოლი...

— თქვენი მოთხრობების კრებულის — „ვცადე“ — გამოსვლა მახსოვს, 2014 წელს. დიდი გამოხმაურება ჰქონდა მკითხველში, ლიტერატურულ წრეებში. მანამდე, 2011-ში, მოთხრობით „ალჩუ“ სტუდენტური ლიტერატურული კონკურსის, „შემოდგომის ლეგენდის“, გამარჯვებული გახდით. ახლა, 5 წლის შემდეგ, გამოვიდა თქვენი პირველი რომანი „ფსკერის სახარება“ და გამოსვლისთანავე დიდი ინტერესი გამოიწვია. იქნებ დროის ამ ინტერვალებზე, შუალედებზე მიამბოთ? რა ხდება წიგნიდან წიგნამდე, როგორ მუშაობთ, ან რა სახის მუშაობაა ეს — ინტენსიურად წერთ? ფიქრობთ? წარმოსახვაში ქმნით სამყაროს და შემდეგ ფურცელზე გადაგაქვთ?

— „ვცადედან“ „ფსკერის სახარებამდე“ პატარ-პატარა მოთხრობები იყო, „ბატონი“ და „მარაკანა“ „არილში“ დაიბეჭდა, იყო სერიალები — „ტიფლისი“, რომლის სცენარისტი და მეორე სეზონის რეჟისორი ვიყავი, და „მზარეულები“, რომლის მესამე სეზონს ირაკლი ჩხიკვაძესთან ერთად ვიღებდი, ერთი სატელევიზიო ფილმიც იყო, „მკვლელობა“, აკა მორჩილაძის პიესის მიხედვით გადავიღე საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის. ჰოდა, როდესაც ტელევიზიაში და ესეთ გიჟურ რეჟიმში მუშაობ, გულწრფელად გეტყვით, ფიქრისთვის დიდი დრო აღარ გრჩება, წერისთვის ხომ მით უმეტეს. ახლა რომ ვუფიქრდები, ცოტა მიკვირს, ზემოთხსენებული მოთხრობების დაწერა როგორ მოვასწარი... ბოლომდე გულწრფელები რომ ვიყოთ, იმასაც ვიტყვი, რომ წერას და წერაზე ფიქრს მას მერე დავუბრუნდი, რაც ტელევიზიაში მუშაობას თავი დავანებე, ოღონდ, აი, ეს „თავი დავანებე“ ნამეტანი არასწორი ნათქვამია, „თავი დამანებებინეს“ უფრო გამოდის; არ ვიცი, იცით თუ არა, მაგრამ საზოგადოებრივ მაუწყებელზე სერიალის საწარმოო კონკურსი მოვიგეთ მე, მარი ბექაურმა და ალექს ჩიღვინაძემ, რამდენიმე თვე გვამუშავეს, სცენარები დაგვაწერინეს და ბოლოს, მენეჯმენტის ცვლილების გამო, არც სერიალი გადაგვაღებინეს და არც გაწეული სამუშაოსთვის გადაგვიხადეს. ეგ იყო და ეგ, მაგ ამბებმა ისეთი დეპრესია გამომატარა, ტელევიზიას აღარ გავკარებივარ. სამაგიეროდ, ლიტერატურისა და კინოსთვის დამრჩა დრო და ამ დროის გამოყენება, მგონი, ნაყოფიერად მოვახერხე. ჩემს ოთახში, დაფები რომ ნახოთ, ერთი მოთხრობების ახალი კრებულის იდეებითაა აჭრელებული, მეორე კი — რაღაც ძალიან გრძელ და რთულ რომანს შევეჭიდე და — ამ რომანისთვის გაკეთებული ჩანაწერებით.*



„ბევრი ფიქრი, ცოტა წერა...“

მე როგორც მწერალი და, მაშასადამე, ზარმაცი ადამიანი, ძალიან მარტივი პრინციპით ვმუშაობ — ბევრი ფიქრი, ცოტა წერა.

— მწერალი და, მაშასადამე ზარმაცი — ტოლობის ნიშანი რატომ დასვით?

— არ განმიზოგადებია, საკუთარ თავზე ვთქვი.

— მგონი, სწორედ თქვენი პასუხები ამტკიცებს საწინააღმდეგოს. გარდა ამისა, ხშირად მომისმენია პოეტებისგან, როცა მიკითხავს პროზაში თუ აპირებთ მუშაობას-მეთქი — პროზას სხვა შრომა, სხვა დისციპლინა და ორგანიზებულობა სჭირდებაო.

— არ ვიცი, მე ძალიან ქაოტური ვიყავი, ახლახან დავლაგდი, მოვაწესრიგე რუტინა და ვცდილობ, ეს ახალი ყოველდღიურობა ჩემს ორ შვილს მივუსადაგო; რა შედეგს მოიტანს, ჯერ ადრეა ფიქრი. ოღონდ, არ მინდა, ვინმეს ეგონოს, თითქოს ბავშვები მიშლიან წერას, ან წერა მიშლის ბავშვებთან ხელს. ამაზე დიდი კაცი ვარ, ოღონდ ეს ერთ-ერთ ინტერვიუში ავხსენი, ბავშვებს ეს ალბათ ცოტა ეწყინა, ეს ალბათ ცოტა ეტყინა, ეს ალბათ ცოტა ეტკინა, ეს ალბათ ცოტა ეტკინა, ეს ალბათ ცოტა ეტკ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის ანოტაციაზე რომ ვმუშაობდით, მე და ზვიადმა „ბიბლიური სლენგი“ დავარქვით, ბიბლიური — ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო და სლენგი კიდე იმიტომ, რომ მე კლასიკურად წერა დიდად არც მეხერხება და, კიდევ უფრო დიდად, არც მიზიდავს. ეგ ყველაფერი შეიძლება ისევ სცენარისტობის ბრალია, თუ სცენარში თანამედროვე თბილისურ გარემოზე ყვები, სადაც თანამედროვე თბილისელები გყავს პერსონაჟებად, ტყუილი იქნება, რომ აკადემიური გამართული ენით ისაუბრონ (თუ აკადემიკოსები და გამართულები არ არიან ან გამართული აკადემიკოსები). იგივეა ლიტერატურაშიც, როდესაც „რეკლამშჩიკი“ მთავარი გმირი გყავს, უპირველესად, მისი ხმა უნდა იპოვო და ეს ხმა კიდე, ხშირ შემთხვევაში, სლენგით და, ღმერთო დაგვიფარე და, ალაგ-ალაგ უწმაწური სიტყვებითაც არის გაჯერებული.

— შარშან ამერიკაში იმყოფებოდით და საკმაოდ შინაარსიანი და დატვირთული პროგრამა გქონდათ. მგონი, საჯარო კითხვებიც გამართეთ, არაერთი ქალაქი მოიარეთ, თქვენი ტექსტის მიხედვით დადგმულ სპექტაკლსაც დაესწარით — ეს ალბათ ძალიან მწირი და მშრალი ჩამონათვალია, სინამდვილეში, ალბათ, სავსე და ძალიან საინტერესო დღეები იყო. მომიყევით თქვენი ამერიკული ამბები, შთაბეჭდილებები.

— აიოვას უნივერსიტეტის საერთაშორისო სამწერლო პროგრამაში ვმონაწილეობდი. მოკლედ რომ ვთქვათ, რეზიდენციაა, სამი თვით მიდიხარ, გაძლევენ სახლს, კარს, ფულს და მილიონ შესაძლებლობას, რომ საკუთარი თავი წარმოაჩინო ან, უფრო თანამედროვედ რომ ვთქვათ, გაყიდო. მქონდა საჯარო კითხვები, პანელ-დისკუსიები, ფილმის ჩვენება და, რაც მთავარია, თავისუფალი დრო, რომ მემუშავა, დამეწერა, წამეკითხა, გამეცნო ძალიან საინტერესო ადამიანები სხვადასხვა ქვეყნიდან და გამეგო, რა არის აქტუალური თემები მათ ქვეყნებში — რაზე წერენ, რაზე ფიქრობენ, რაზე მუშაობენ, რითი ცხოვრობენ. თან აიოვა-სითი, სადაც დროის უმეტეს ნაწილს ვატარებდით, იუნესკოს ლიტერატურული დედაქალაქია, სადაც მთელი ამერიკის მასშტაბით ყველაზე ცნობილი ლიტერატურული MFA — Master of Fine Arts — აქვთ. მოკლედ, ეგ ქალაქი ლიტერატურით ცხოვრობს და სუნთქავს და ნებისმიერ ბარში თუ კაფეში ყველა იმაზე ლაპარაკობს, თუ რა წაიკითხა, რას წერს, ან რის დაწერას აპირებს. ჰოდა, ესეთ გარემოში რომ ხარ და არ მუშაობ, რაღაც საშინელი სირცხვილის გრძნობა გიჩნდება და იწყებ წერას და წერ და წერ და წერ. ჩვენს პროგრამაში 28 ადამიანი იყო 27 სხვადასხვა ქვეყნიდან. როგორც ვიცი, თითქმის ყველამ რაღაც დაწერა, ზოგმა დაამთავრა, ზოგმა დაიწყო. ერთი საინტერესო ფაქტი, ამ შენ აიოვა-სითიში არის ერთი სპეციალური ბარი პოეტებისთვის და ერთიც მწერლებისთვის. აი, ამ პოეტების ბარში მწერლები დიდად არ დადიან, პოეტები კი მწერლების ბარს ყოველღამე ეძალებიან. ორაზროვნად არ გამიგოს მკითხველმა, უბრალოდ, მწერლების ბარს დიდი ისტორია აქვს, თავის დროზე მას კურტ ვონეგუტი სტუმრობდა და დიდადაც უყვარდა ეგ ადგილი და უყვარდა, ალბათ, ერთი ძველისძველი, კაი სიმღერებით გაძეძგილი ჯუკ-ბოქსის და ერთი გაქექილი ბილიარდის მაგიდის გამო და, ცოდვა გამხელილი ჯობს, და რა არის ამერიკული ბარი ამ ორის გარეშე და კიდევ უფრო გამხელილი ცოდვაც რომ ვთქვათ და ორაზროვნების მაძებრებს გული სულ ცოტათი რომ გავუხეთქოთ, იმასაც დავამატებ, რომ ამ პოეტების ბარს ჯუკ-ბოქსი ხომ დიდად არ უვარგოდა და აი, ბილიარდის მაგიდა კი, ღმერთო მაპატიე და, საერთოდაც არა ჰქონდა.

— ახლა თუ მუშაობთ მხატვრულ ტექსტზე?

— ახლა, როგორც ზემოთ ვთქვი, ჩემი სადებიუტო სრულმეტრაჟიანი ფილმის სცენარზე ვმუშაობ, მოთხრობების კრებულისთვის სამი მოთხრობა დაწერილი მაქვს და კიდევ ერთი-ორის დამატებას ვაპირებ, ოღონდ, პირველი კრებულისგან განსხვავებით, აქ მოთხრობებს რაღაც გამაერთიანებელი ექნება, მინიმუმ ის მაინც, რომ ყველაფერი სოციალურ თემატიკაზეა, დაწყებული ამორალური მშენებლობებით და დამთავრებული სოციალურ ქსელში მომრავლებული ტროლებით. სათაურზე ფიქრი ჯერ ადრეა, მაგრამ ხანდახან რომ გამეფიქრება ხოლმე და მოდი, გულზე ხელი დავიდოთ და ვაღიაროთ, რომ თუ ჯერ სათაურს არ ვიგონებთ, სადღაც წერის პროცესში ხომ მაინც ერთი-ორჯერ ყველა გავივლებთ ხოლმე ტვინში — მოდი, აი ამას, აი, ამას დავარქმევ და, ვინ იცის, ეგება და მომავალი და ჯერ დაუწერელი წიგნის ყდაც წარმოგვიდგება ხოლმე; ჰოდა, აი, ეგეთი ფიქრები რომ მომეძალება, წიგნის სათაურად „ივა ფეზუაშვილის პოლიტიკურად ანგაჟირებული მოთხრობები“ მიდგება თვალწინ, ჰა და ჰა, ტვინმა ის მითხრას, ანგაჟირებულს მოტივირებული სჯობსო, მაგრამ ე მაგეებზე სერიოზულად ლაპარაკი ადრეა ჯერ. ჯერ!

მეორე, რასაც ვეჭიდავები, ზემოთ ნახსენები გრძელი და ძნელი რომანია. ერთი ოჯახის ისტორია, სადაც ოთხი მთავარი გმირი თავის ყოველდღიურობას პირველ პირში გვიყვება. ამ ამბის წერა დავიწყე-მეთქი რომ ვთქვა, მოგატყუებთ, ჯერ პერსონაჟების ბიოგრაფიებს ვწერ და ვცდილობ, რომ მათი ხმები დავიჭირო. პირველად მომიწევს ქალის პერსპექტივიდან წერა და ცოტა რომ მეშინია, ეგ ლოგიკურია. მაგრამ კომფორტის ზონა თუ არ დატოვე, გინა მწერლობაში და გინა ცხოვრებაში, არ გამოდის არაფერი. რომ დატოვო, არც ეგაა გარანტია, რამე გამოვა, მაგრამ სათქმელად მაინც გექნება, ვცადეო.

ესაუბრა თამარ ჟურული

პოეზია, დანარჩენი ლიტერატურა, და დანარჩენი 2018

•

გერმანულად თარგმნილი თანამედროვე ქართული პოეზიის ერთ-ერთ კრებულზე:

გასაგებია, რომ ეს წიგნი ჩართულია იმ დიდ პროექტში, რომელსაც ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა ჰქვია და ალბათ ფინანსური საკითხიც ძირითადად წინასწარ მოგვარებულია, მაგრამ ასეთი გამოცემები მაინც საინტერესოა — დღეს, როცა პოეზიას ევროპის ლიტერატურულ სივრცეშიც მოკრძალებული პოზიცია უკავია.

კიდევ უფრო საინტერესოა — და შეიძლება ერთგვარ რისკადაც კი ჩაითვალოს — რომ წიგნში ვერლიბრის გვერდით კონვენციური ლექსებიცაა. აკი ვიცით, რომ უცხოელი გამომცემლები ასეთი კრებულების შედგენისას, უბრალოდ, უარს ამბობენ კონვენციაზე. მიზეზი გასაგებია — დროის, შრომის, და შესაბამისად, ალბათ ფინანსების დაზოგვა.

არადა: ანთოლოგიის ტიპის კრებულისთვის მასალის შერჩევისას თუკი გარკვეული სახეობის პოეზიაზე უარს იტყვი, ჩაფიქრებულ შედეგს ვერ მიიღებ.

კიდევ უარესი კი ის არის, რომ ეს ტენდენცია „რეგიონებში“ მხოლოდ იმ ტიპის ლექსის წერას აქეზებს, შედარებით ადვილად (და შესაბამისად — ხშირად) რომ ითარგმნება. ასე იკარგება პოეზიისთვის ის მნიშვნელოვანი რესურსი, რომელიც სხვადასხვა ერში და ენაში არსებობს. და ლამის შეიძლება ითქვას, რომ პოეზია თანდათან, უბრალოდ, უარს ამბობს ენაზე.

ხშირად ისმის დედამიწის სხვადასხვა წერტილიდან — რომ პოეზია მოკვდა, ან კვდება. ძნელია შეეწინააღმდეგო ამ ვარაუდს (ან სულაც მტკიცებას), როცა თვითონაც ხედავ, რა ემართება „პრაქტიკულ პოეზიას“, როგორ კლებულობს მასში გამოსახვის ფორმები, ხერხები...

და იქნებ სწორედ ეს — ენაზე უარის თქმა, ან სხვანაირად — ერთი საერთო ენის ძიების გზაა პოეზიის თვით/განადგურების გზა. და იქნებ სწორედ ამ გამოსახვის მრავალფეროვნების შემჩნევასა და შენარჩუნებაშია პოეზიის ხსნა... მისი სიკვდილის გადავადება მაინც?

ხოლო თუ პოეზია, ყველაფრის მიუხედავად, კვდება, და მისი ხსნა ზემოთ ხსენებულ გარემოებასაც არ შეუძლია, მაშინ იქნებ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ასეთი გამოცემების ფუნქცია — ასახოს პოეზიის უკანასკნელი პერიოდი, წლები, დღეები.

•

უცხოურ ასპარეზზე ახალგაზრდა ქართველი ავტორების წარმატება ხშირად იმავე ავტორების მიერ და ასეთი ფრაზებით გადმოიცემა: „დღეს ჩემი უცხოელი გამომცემელი შემხვდა და თავის გამოცემულ ჩემს წიგნზე მითხრა, რა კარგი წიგნიაო!“

იმედია, წინ უფრო დიდი წარმატებებიც გველოდება.

•

მერი შერვაშიძე გალაკტიონს რომ არ იცნობდა, გასაგებია. ახლა ის მაინტერესებს, ერთი კლასგარეშე ლექსი მაინც თუ ჰქონდა წაკითხული — შენგან განსხვავებით.

•

თუ გითხრეს, რომ გალაკტიონია, მერე იმის კვლევასა და ქებას რა უნდა?

თუ მაგარი ხარ, თვითონ მიხვდი, რომ გალაკტიონია.

•

მოკლედ, ჩამოვყალიბდი:

„საბას“ ფინალში გასულებს გილოცავთ, ვერგასულებს — გითანაგრძნობთ, საღამოს კიდევ კოკინაშვილების პელაგიასაც შევუვლი.

•

იქნებ კაცს კიდეც გაეგო რამე, იმ ყველაფრის წაკითხვას და გაგებას რომ ასწრებდეს, რაც უკვე გაგებული და დაწერილია... თუ, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი კიდევ უფრო არ აურევდა თავგზას...

•

მაინც ვერ მივხვდი, როგორ არჩევთ ნამდვილ ახალ წელს „პადძელკისგან“...

•

რომ გვკითხონ, კრეატიული ხალხი ვართ და ამ დროს, მესამე ახალი წელი ვერსაიდან გამოვაძრეთ...

•

ერო ჩემო, პახმელიას გამოდი!

•

მთელი ცხოვრება დილემაა, რა. აღარ იცი, რა ინატრო: დრო ჩქარა გავიდეს — მალე მოკვდები, ნელა გავიდეს და — ხელფასი იგვიანებს...

•

სამსახური ცხოვრებაა. ცხოვრება კი ლექსის დასაწერადაც საჭიროა. საჭიროა პოეტური აღმოჩენებისთვის, რაც ლექსის ინსპირაციაა.

ეგ არის, სამსახურმა და ცხოვრებამ იმის საშუალებაც უნდა მოგცეს, რომ ეს ინსპირაცია ბოლომდე და სრულფასოვნად... კარგი, ჰო — ნაწილობრივ მაინც გამოიყენო.

•

ზოგჯერ როგორ მეზარება ხოლმე ჩემის საქმის კეთება, მძულს კიდეც... წარმოიდგინე ასეთივე განცდებით ექიმი, პოლიციელი... არადა, დიდი ეჭვი მაქვს, მათაც ემართებათ ასე...

•

ისე მომბეზრდა ყველაფერი, მილიონერობა მომიხდებოდა.

პ. ს. ვიცი, რომ მილიონი ბევრი არ არის, მაგრამ მილიარდერს შეგნებულად არ ვამბობ — მაგათ ყველაფერი, მგონი, არასდროს ბეზრდებათ.

•

უმეტესობას უმეტესი რამ ფეხებზე რომ არ ეკიდოს, ამდენ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა — იჯდებოდა ჩემსავით და ფიქრში ამოხდებოდა სული.

•

შეიძლება სიტუაცია, რომელზეც ამბობენ — „სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ იყოს“ — ისევ სატირალია, მაგრამ გამოთქმა — „სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ იყოს“ — უკვე სასაცილოა.

•

მივ-ს-დევ, მოგ-ს-დევ, მომ-ს-დევ.

აი, ეს „ს“ რა ჯანდაბაა? უსამართლოდ უარყოფილი, დევნილი და გამოტოვებული ყველა (უთვალავი) ს-ს სასოწარკვეთილი ამოძახილი, კოშმარული გამოცხადება, სასტიკი შურისძიება?

•

გრამატიკა და წერა-კითხვაც კი დაბადებიდან არავინ ვიცოდით (სავარაუდოდ).

არც ის კონკრეტული ასაკი ან თარიღი უნდა არსებობდეს, რომლის იქით ამ სფეროში რამის სწავლა აკრძალული ან სირცხვილია.

და წარმოიდგინეთ, არც ენის (ენის წესების) პატივისცემა მიმაჩნია მწერლის ყველაზე ცუდ თვისებად...

2018 წლის 8 ოქტომბერს გერმანულ გაზეთში — „Süddeutsche Zeitung“ — დაიბეჭდა ცნობილი გერმანელი კრიტიკოსის — სონია ცეკრის — რეცენზია გურამ დოჩანაშვილის რომანის — „სამოსელი პირველის“ — შესახებ. გთავაზობთ ამ წერილის თარგმანს.

სონია ცეკრი

თანამედროვე კლასიკოსი. სიტყვა წმინდაა

საქართველოს დღევანდელობა მისი წარსულის ბრწყინვალე ეპოსების გაგრძელებას წარმოადგენს. ამის დასტურია გურამ დოჩანაშვილის მრავალპლანიანი რომანი „სამოსელი პირველი“, რომელიც პირველად იბეჭდება გერმანულ ენაზე.

მსოფლიო ლიტერატურა ბევრ მტარვალს იცნობს, მაგრამ მარშალ ედმონდო ბეტანკურთან შედარებით ერნსტ იუნგერის საშინელი მეტყეველიც კი მისი ცნობილი ნაწარმოებიდან — „მარმარილოს კლდეებზე“ — ბავშვების დასაშინებელ საფრთხობელად მოგეჩვენებათ. ფანრების შუქით განათებულ, კაფელით მოპირკეთებულ ოთახში ბეტანკური სარკის წინ ზის, მწვანე, წებოვან სითხეს დამჭკნარ სხეულზე იწვეთებს და ზედ ხვლიკს ისვამს. ხვლიკი რომ ბრჭყალებს კანში ჩაასობს, მწვანე წერტილებს ჯერ ალოკავს და მერე ნაზად კბენს, ჯერ მკერდზე, მერე იღლიებში; როცა მარშალს ჟრუანტელი დაუვლის — ჟრუანტელი ხშირად უვლის ხოლმე — მაშინ ის ვარჯიშობს იმ გამოთქმებში, რომლებმაც მის ქვეშევრდომებს, საშინელი ქალაქის — კამორას — მცხოვრებლებს, შიში უნდა მოჰგვაროს: „ჭეშმარიტ მეგობრობას რა სჯობს... ადამიანთა მეგობრობას მოჰყვება დადებითი შედეგი“.

აქ უკვე მკითხველიც წრიალებს ხვლიკივით, ამ დროს კი მწერალი თხრობას წყვეტს და მოგვმართავს: „ხომ ისევ აქ ხართ? შეგზიზღდათ, არა? შეგზიზღდათ როგორ... მე მაპატიეთ, რა ვქნა, ასეა“. თუ გსურთ, გურამ დოჩანაშვილის სტილის განსაკუთრებულობაში დარწმუნდეთ, ეს მაგალითიც იკმარებს რომან „სამოსელი პირველიდან“.

ქართველი მწერალი გურამ დოჩანაშვილი თორმეტი წელი მუშაობდა ამ რომანზე. 1966 წელს დაიწყო და 1978 წელს დაასრულა. ეს მისი პირველი რომანი იყო. ავტორს ძალიან მაღალი მწვერვალების დაპყრობა დაუსახავს მიზნად. „სამოსელი პირველი“ ბიბლიური პარაბოლაცაა და შუა საუკუნეებისეული მეტაფორაც, სტალინურ ეპოქაზე შურისძიებაცა და გრაალის ლეგენდაც, მაგიური რეალიზმიცა და სასტიკი ხოცვა-ჟლეტის ამსახველი სურათიც. ის ეყრდნობა როგორც ქართულ ლიტერატურულ წყაროებს, ასევე ისეთი შორეული რეგიონების რეალობას, როგორიცაა ბრაზილიის უდაბური ადგილები. მარშალის სასახლის კარის მასხარის სიმღერაში არის ასეთი სიტყვები: „ის ბეჭედი ვიიპოვე დაა, ხოომ არ დაავიგვიაანეე...“ და, მართალია, არ ვიცით, იცნობდა თუ არა დოჩანაშვილი „ბეჭდების მბრძანებელს“, მაგრამ იმ უამრავი ლიტერატურული ალუზიის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რომლებიც ამ რომანში გვხვდება, არც ეს არის გამორიცხული. გარკვეული თვალსაზრისით, დოჩანაშვილმა საკაცობრიო წიგნი დაწერა.

ამავე დროს სიუჟეტი ძალიან სადაა. ფანტასტიკურ ქვეყანაში ცხოვრობს ახალგაზრდა დომენიკო, სოფლის უმდიდრესი კაცის შვილი, ცხოვრობს მშვიდ ერთფეროვნებაში, როცა უცებ მისტიკური ლტოლვილი გამოჩნდება. ის აღუძრავს დომენიკოს თავგადასავლების წყურვილს, და ასე მიდის ახალგაზრდა კაცი და მოგზაურობს სამ ქალაქში: მხიარულ, არტისტულ, ცოტა ტრაბახა ლამაზქალაქში — გარკვეული მინიშნებაა საქართველოს დედაქალაქ თბილისზე; ამორალურ, პარანოიკული წამებებითა და მაფიით სავსე ბეტანკურის კამორაში და, ბოლოს — კანუდოსში, თავისუფლებისა და სამართლიანობის ქალაქში. კანუდოსი ახალი იერუსალიმია, თეთრი თიხით ნაგები ლტოლვილი მწყემსების მიერ, რომელსაც „კონსელიერო“, მესიანური მრჩეველი, მართავს. ბეტანკურის მეომრების წინააღმდეგ საშინელი ბრძოლების შედეგად კანუდოსი ნანგრევებად იქცევა და უძღები შვილი, მონანიე დომენიკო, ბრუნდება მამასთან.

დასავლეთში ამ ეპოსს საერთოდ არ იცნობენ, მაგრამ იმდროინდელ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში მისი ავტორი რომანის გამოსვლისთანავე კლასიკოსი გახდა. ისეთ ქვეყანას, რომლის ფესვებიც ბერძნულ კოლხეთსა და არგონავტებს უკავშირდება, ანტიკურობასთან დაკავშირებისა არ ეშინია. სუზანე კიმმა და ნიკოლოზ ლომთაძემ ეს მრავალპლანიანი ნაწარმოები შვიდწლიანი დაძაბული შრომის შედეგად გერმანულად თარგმნეს. მართალია, გერმანელი მკითხველი მისი სახით გასართობ საკითხავს ვერ მიიღებს, მაგრამ ეს ნაწარმოები ერთგვარი გასაღები იქნება წიგნის ბაზრობაზე წარმოდგენილი სტუმარი ქვეყნის — საქართველოს — გასაცნობად. აი, ესაა სწორედ სამოსელი. ეს არის გამოძახილი 104-ე ფსალმუნის სიტყვებისა „ნათელია სამოსი, რომელიც გაცვია“, რომლის მიხედვით დოჩანაშვილი არაჩვეულებრივ მითს ქსოვს: დომენიკოს სოფლის მაცხოვრებლები წელიწადში ერთხელ თავიანთი ტანსაცმლის რომელიმე ნაწილს ცეცხლში აგდებენ. მათში თითქოს ადამიანების ისტორიებია ჩაქსოვილი და ეს ისტორიები კვამლთან ერთად ადის ზეცაში. იქ არიან დარჩენილნი ისინი, რომელთა წრიდანაც ოდესღაც სოფლის მაცხოვრებლები ჩამოვიდნენ. დომენიკოს მამას აქვს პირველი სამოსელი, იგი ყიდის შვილის გამგზავრებამდე მასზე დამაგრებულ ძვირფას ქვებს, რათა მისცეს მას მემკვიდრეობა, დაბრუნების მერე კი შვილს განსაკუთრებულ სახვევში ხვევს, რადგან სამოსელი, როგორც ის ამბობს, სიტყვაა. როგორ იქცევა დომენიკო? იგი მას ცეცხლში აგდებს, რათა მისი გმირობისა და ადამიანობის ამბებიც მაღლა ავიდეს. და ასე ყვება თავის თავგადასავალს.

ლიტერატურის, ანუ საკრალური სიტყვის გააზრება არაქართველთათვის არ არის მარტივი; აი, ქართველები კი ძალიან ამაყობენ იმით, რომ საკუთარი სარწმუნოება, რომელიც მსოფლიოს უძველეს ეკლესიათა რიგს ეკუთვნის, მონღოლების, ოსმანებისა და სპარსელებისაგან დაიცვეს. დამწერლობა მათთვის უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ გარკვეული მნიშვნელობის მქონე ნიშანთა კრებული. კავკასიის მრავალეროვნებიან რეგიონში, დიდი და ძლიერი ქვეყნების სიახლოვეს, ენა და ტექსტი კულტურული გადარჩენის საშუალებებია.

ფიზიკურ გადარჩენაზე ამით ჯერ კიდევ არაფერია ნათქვამი. 1956 წლის მარტში სტალინის კულტის წინააღმდეგ ნიკიტა ხრუშჩოვის ანგარიშსწორებას საქართველოში ხალხის მასობრივი ხოცვა-ჟლეტვა მოჰყვა. სტუდენტებმა დემონსტრაცია მოაწყვეს სტალინის, მათი თანამემამულის, დასაცავად და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ისინი დამარცხდნენ. დეკემბერში ახალგაზრდების ერთი ჯგუფი, სახელად გორგასლიანი, ავრცელებდა პროკლამაციებს ამ აჯანყების გასახსენებლად. ისინი დააპატიმრეს. ერთ-ერთი მათგანი იყო ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე გურამ დოჩანაშვილი. ტოტალიტარული სისტემის არაადამიანურობა მან ათწლეულების მერე ასახა და სიფრთხილის გამო ფანტასტიკის ჟანრში გადაიტანა. ქალაქ კამორაში ადამიანებს დანები აქვთ ჩაკერებული ტანსაცმელში და ერთმანეთს არასოდეს უყურებენ თვალებში, რადგან იქ არეკლილი საშინელების გაძლება არ შეუძლიათ. ამ უცნაური ჯოჯოხეთისა და მისი რიტუალების მეტაფორულობას სიმძაფრე არ დაუკარგავს, პირიქით, ის დროთა განმავლობაში უფრო დაიხვეწა, მისი ანტიპოდის — იდეალური ქალაქი კანუდოსის — სოციალურ უტოპიაზე მეტადაც კი.

იმავდროულად ქალაქ კანუდოსს, ისევე როგორც მარშალ ბეტანკურს, რეალური ისტორიული მოდელი უდევს საფუძვლად. კანუდოსი მართლაც დააარსა ერთმა მესიანელმა ქარიზმატიკოსმა, რომელიც თავის თავს „მრჩეველს“ უწოდებდა. იგი მდებარეობდა ბრაზილიის შტატ ბაიაში და ამ ახალშექმნილ ქალაქში იყო დაჩაგრული რელიგიური ფანატიკოსების ერთგვარი სექტა, რომელიც მე-19 საუკუნის ბოლოს შეიქმნა. სექტა ბრაზილიის ახალგაზრდა რესპუბლიკას უყურებდა როგორც ანტიქრისტეს და ვინმე მარშალ ბიტენკურის თუ ბეტენკურის მიერ სასტიკად იქნა განადგურებული. მარიო ვარგას ლიოსამ ამაზე დაწერა წიგნი „ბოლო ჟამის ომი“, თუმცა შეიძლება, დოჩანაშვილისათვის შთაგონების წყარო რომელიმე საბჭოთა ჟურნალში დაბეჭდილი სტატიაც ყოფილიყო.

მისი კანუდოსი არის ხსნის გზა — ფანტაზია, ტირანიისაგან თავისუფალი. ბეტანკურის მიერ სასტიკად დატანჯულები სიკვდილის მერე დაფასდებიან, რაც, ერთი მხრივ, ქრისტიანობის მოწამეთა კულტს მოგვაგონებს, მაგრამ მეორე მხრივ, საბჭოთა პროპაგანდასაც მსხვერპლის გაღების თაობაზე. ამასობაში იმ მოსაზრებამ, რომ ტანჯვას ყოველთვის აქვს აზრი და რომ სიყვარული მხოლოდ ტკივილისაგან წარმოიშობა, ცოტათი დაკარგა დამაჯერებლობა; ყოველ შემთხვევაში, საქართველოს გარეთ.

საქართველოში „სამოსელი პირველი“ ისევ ისე უყვართ და ორი წლის წინ სახელმწიფო ოპერის სცენაზეც დაიდგა. „არც ერთ სხვა ერს სპარსელების, თურქების და რუსების ძალაუფლების არეალში არ დაუკავშირებია კავკასიის ტრადიციები ასე მჭიდროდ ევროპულ კულტურასთან, მე-19 საუკუნის გაზაფხულთან, პოლონეთის განმათავისუფლებელ ბრძოლასთან, იტალიურ „რიზორგიმენტოსთან“, — წერდა ჟურნალისტი ქრისტიან შმიდტ-ჰოიერი.

საქართველოს დღევანდელობა მისი გმირული წარსულისა და ბრწყინვალე ეპოსების გაგრძელებას წარმოადგენს. სწორედ ამის დასტურია „სამოსელი პირველი“.



თარგმნა თამარ ჭუმბურიძემ

რედაქციისგან: *უცხოენოვან მკითხველს, რომელიც ახლა ეცნობა გურამ დოჩანაშვილის „სამოსელ პირველს“, კანუდოსის ხსენებისას შესაძლოა გაახსენდეს მარიო ვარგას ლიოსას „ბოლო ჟამის ომი“, რომელიც ასევე კანუდოსს უკავშირდება (რეცენზიის გერმანელი ავტორიც სწორედ ამ ნაწარმოებს იხსენებს); თუმცა უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ პერუელი ნობელიანტის წიგნს (1981 წელს გამოიცა) ქართველი მწერლის რომანი სამი წლით უსწრებდა (ავტორმა „სამოსელ პირველზე“ მუშაობა 1978 წელს დაასრულა).*

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტი **თამარ ჟურული**

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
9 772346 794004